# სარბიელი

საორტული გაზეთი | სამშაბათი 30 აპრილი 2002 №76 (1598) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივო შუშაკმა დინამო ტორპედოს გზაში დააჭია



## გიორგი ასანიძე წარმოგიდგენთ...

ქართველთა საამოდ გაირკვა, რომ ყოფილან ჩვენი ათლეტები, რომლებსაც არამცთუ კინკილა წარმატებების გასროლა ძალუძთ, არამედ შეუძლიათ, დიდი სპორტის რომელიმე დარგში მოზრდილი პერიოდის მანძილზე სეფესიტყვები ილაპარაკონ. ძალოსანმა გიორგი ასანიძემ ევროპის ფიცარნაგი დაიპყრო, თურქულ ანთალიაში მესამედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი და დაგვიმტკიცა, რომ ნიჭს ბევრი არც არა სჭირდება: მთავარია, იგი არ ჩაკლა, მისცე ელემენტარული საკვები და შედეგიც მოვა. ყოფითი პრობლემებით შეწუხებულმა ასანიძემ მაინც მოახერხა და მშრალზე დასვა კარგად ნაკვებ-ნაქაჩავებ-ნამასავები რუსები, პოლონელები და სხვები. წინ მსოფლიოს ჩემპიონატია და ნახსენებ ელემენტარულ საკვებზე ლაპარაკიც ზედმეტი უნდა იყოს. საჭიროა ყველა შესაძლო ხელშეწყობა და ეჭვი არ არის, თავისი საქმის ერთგული საჩხერელი ათლეტი საქართველოსთვის კიდევ არაერთ ოქროს გამოკვესავს.

მოულოდნელად თამაში კარგი სანახავი გამოდგა. „დინამო" — „ტორპედოზე" მოგახსენებთ, რომელმაც საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტური გაალამაზა. ივო შუშაკის ნავარჯიშევმა თბილისელებმა ანგარიშით და ცოტა თამაშის კლასითაც გადასძალეს რევაზ ძოძუაშვილის ქუთაისურები და სატურნირო ცხრილმა ხელად მომეტებული ინტრიგა შეიძინა. ახლა „ტორპედო" 4 ქულით უსწრებს წამოწეულ „დინამოს" და „ლოკომოტივს", ეს სხვაობა კი სულ ორ თამაშში შეიძლება მოისპოს.

მშვენივრად ითამაშეს მიქაძემ, ამისულაშვილმა და კანდელაკმა დედაქალაქელთაგან, სტუმრებში მალხაზ ასათიანი გამოირჩა, თუმც ორივე გუნდის ყველა ფეხბურთელმა მაგრად იბრძოლა და ესაა სწორედ სასიამოვნო, რადგან მხოლოდ ბრძოლით, კონკურენციით და აზარტით დაემსგავსება ჩვენი ჩემპიონატი რამეს და არა თაღლითობით, ჩაწყობებით და ნიჭიერ ფეხბურთელთა უცხოეთის უხეირო კლუბებში მასობრივი გაქცევით.

ერთი სიტყვით, შაბათს ეროვნულზე ალალი ქიშპი იყო. ქიშპი ყოფილა გასახდელებთან მოგება-წაგების თემაზე და კარგა გვარიანი ხმაური ისმოდა ფოთიდანაც, სადაც „კოლხეთმა" „მერანი" სულ ბოლო წუთზე გაამათრახა და ოთარ გაბელიას ნერვებმა ამას ვეღარ გაუძლო. მის ხმამაღალ კომენტარებს კოლეგა სოსო ფილია იმავე ნოტით გამოეხმაურა და რა დროს ამაზე ლაპარაკია, როცა დანიიდან ბევრად მნიშვნელოვანი ამბავი გავიგეთ: საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველსავე მატჩში აუტსაიდერის იარლიყი ჩამოიშორა, რადგან 1:1 ითამაშა ფავორიტად შერაცხულ გერმანელებთან.



„დინამო" — „ტორპედო". გივი კვარაცხელიამ (მარცხნივ) და ქუთაისელებმა თბილისელთა დაცვას ვერაფერი დააკლეს

# ევროპამ ზარი ითამაშა

მაშინ, როცა თბილისში მიწისძვრის შემდეგ შემქნილ საგანგებო შტაბში დარეკვა ჭირს, ევროპაში ტელეფონები გამართულად მუშაობს და იქაური მობილური ტელეფონებით ბევრი რამის გაგება შეიძლებოდა. კერძოდ:

ვისენტე დელ ბოსკეს ვალენსიიდან ჯერ შეატყობინეს, რომ „ვალენსია" აგებდა, თან კაციც გაუძევეს, რაც ფრიად ეამა და თავისი „რეალი" ეგებ უკვე გაჩემპიონებულად წარმოიდგინა. მაგრამ პირველ ზარს მეორე მოჰყვა და არცთუ სასიამოვნო — „მესტალიაზე" მასპინძლებს ორი საპასუხოს გატანა მოეხერხებინათ.

ამის პარალელურად რაფაელ ბენიტესის მობილურიც წკრიალებდა და ატყობინებდნენ, რომ „რეალს" გაუტანეს ერთი, ორი, სამი... მერე ეს ცნობა გადაჭედილ „მესტალიასაც" მოედო და საჩემპიონო ჟრიამულიც ატყდა, თუმცა „ვალენსია" ჯერ არ გამხდარა ჩემპიონი, მაგრამ როგორ გინდა, ამაში იქაური ქომაგი დაარწმუნო, რომელსაც არგუმენტად ოთხქულიანი უპირატესობა აქვს.



„ფრაიბურგის" მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ ლევან ცქიტიშვილი და ლევან კობიაშვილი აქეთ ანუგეშა

ორი ტურის წინ ლევერკუზენელ ქომაგსაც ასე ეგონა, ხუთი ქულით გაჭრილს ვინ დაგვეწევაო, მაგრამ შაბათს კლაუს ტოპმიოლერს ჰამბურგიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ იქაურთა გუნდი „დორტმუნდთან" მარცხდებოდა და რაკი თავად ტოპმიოლერის გუნდსაც ნიურნბერგში იგივე დღე ადგა, ლევერკუზენელთა მწვრთნელი ამ ცნობამ უზომოდ დაალონა — „ბაიერს" ლამის განაღდებული ბუნდესჩემპიონობა თვალსა და ხელს შუა ეცლება.

ნიურნბერგული მატჩის მსვლელობაზე ცნობებს სამი სხვა მწვრთნელიც ელოდა, რომელთაგან ორმაც — დორტმუნდელმა მათიას ზამერმა და ბაიერნელმა ოტმარ ჰიცფელდმა — დიდად გაიხარა, ახლა „დორტმუნდია" თითქმის ჩემპიონი, „ბაიერნს" კი შანსი გაუჩნდა.

მესამე, დალონებული მწვრთნელი კი ფოლკერ ფინკეა, რომლის „ფრაიბურგსაც" კიოლნში დამარცხებამ და „ნიურნბერგის" სამმა ქულამ ბუნდესლიგა დაატოვებინა. ამრიგად, გერმანიის უმაღლეს ეშელონში ერთი ქართველიც აღარაა — არჩილ არველაძეც თავისი „კიოლნიანად" მეორე ბუნდესლიგაში ჩაირიცხა, თუმც... ქართველები ახლა კი დარჩნენ უბუნდესლიგოდ, მაგრამ აკი ხმები დადის, ლევან კობიაშვილს „ლევერკუზენი" იწვევსო...

ტელეფონის წკრიალი იყო იტალიაშიც, სადაც ექტორ რაულ კუპერმა, მარჩელო ლიპიმ და ფაბიო კაპელომ ერთმანეთის გამარჯვებები შეიტყვეს. ერთი სიტყვით, მოსახდენი მოხდა — სკუდეტოსთვის ბრძოლას სამი გუნდი — „ინტერი", „იუვენტუსი" და „რომა" — ბოლო ტურამდე შემორჩა.

და თუ გაისად „მილანი" ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა, კახა კალაძის დამსახურებაც იქნება — ვერონაში ჩვენებური ჯერ საპენალტედ წააქციეს, მერე კი ორი საგოლე პასიც გააკეთა, რითაც სანსიროელები მეოთხე ადგილზე ალაზევა.

ინგლისში კი კლუბთა მენეჯერებმა მობილურების ფული დაზოგეს. „ლივერპულმა" შაბათ დღისით ითამაშა, „მანჩესტერმა" — საღამოს, „არსენალის" თამაში კი გუშინ გვიან ღამით დასრულდა. ჰოდა, დასარეკიც არავის ჰქონდა.

გაირკვა: „ლივერპული" ჩემპიონი ვეღარ გახდება, „მანჩესტერ იუნაიტედის" ბედი კი კვლავაც „არსენალზე" ჰკიდია.

ხოლო ჩვენებურს არც ინგლისურ პრემიერლიგაში ჰქონია ბედი, გიორგი ქინქლაძის „დერბიც" გავარდა, თუმც ეს უკვე ძველი ამბავია.



## კახა კალაძე: სიტყვას არ გადავალ!

საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „მილანის" მცველის კახა კალაძის 10 თვის წინ გატაცებული ძმა დღეს თუ არ გათავისუფლდა, ფეხბურთელი ხვალიდან ეროვნულ გუნდში აღარ ითამაშებს. მარტის დამდეგს კახა კალაძემ გააკეთა ულტიმატუმის ფორმის განცხადება, რომლის ვადაც სწორედ ხვალ, 1 მაისს იწურება. ლევან კალაძე კი ისევ გამტაცებელთა ხელშია.

**კახა კალაძე:** სათქმელი ვთქვი. თუ ჩემი ძმა ოჯახს 1 მაისამდე არ დაუბრუნდება, ნაკრებში აღარ ვითამაშებ. ლევანის ბედი, ეტყობა, არ აღარდებთ. მე კი სიტყვას არ გადავალ.

**კარლო კალაძე:** ვნახოთ, 1 მაისამდე ერთი დღეც დარჩა. ეგებ ლევანი დაგვიბრუნდეს.

**შსს პრეს-სამსახური:** გატაცებული ლევან კალაძის თაობაზე ახალი არაფერია. არანაირი ოფიციალური ცნობა არ გვაქვს.

**ვალერი ჩოლარია, სფფ-ის გენერალური მდივანი:** საქართველოს ნაკრებისთვის კალაძის უთამაშებლობა, რა თქმა უნდა, დიდი დანაკლისია. ამხანაგური მატჩები კიდევ არაფერი, ოფიციალური მატჩებისას კი კალაძის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება, ეს ჩვენთვის ტრაგედია იქნება.

**გიორგი ნემსაძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:** მიჭირს რაიმე კონკრეტულის თქმა. კალაძის სახით ეროვნული გუნდი დიდ ძალას დაკარგავს.

**ძოგბა ინასარიძე**

17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი
uefa european under 17 championship
დანია. 27 აპრილი-10 მაისი

# ქართველებმა გოლ-ღვიძლით დაიწყეს

**D ჯგუფი**

**28 აპრილი**

**გერმანია 1:1 საქართველო**

0:1 იაშვილი (46), 1:1 ტომიკი (65)

**გერმანია:** ადლერი, შონბერგი, სტიგმაიერი, შუონი, ციმენი, შუბერი, პოდოლსკი (ბოუერი 63), ბორკი, ტომიკი (ტროტი 70), სენესი (ფისტერმაიერი 49), გომესი

სათადარიგონი: რამელი, მიოლერი, ტეკანი, ბონერტცი

**მწვრთნელი:** იორგ დანიელი

**საქართველო:** ჩალაძე, კალაძე, მიქიაშვილი, ელიავა, შ. ქელიძე, ხოჯავა, იაშვილი (ყველაშვილი 75), კაპანაძე (გურული 41), ბარაბაძე, კვაბაძე, ფიფია (ლუჭაშვილი 72)

სათადარიგონი: ხუბუტია, კუტივაძე, ჯინჭარაძე, ბ. ქელიძე

**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**გაფრთხილება:** ტომიკი (34), ფიფია (49), ხოჯავა (61), ქელიძე (80)

**მსაჯები:** ა. კონსტანტინი (რუმინეთი); ა. ბოდეანი (მოლდოვა), შ. ნილობი (ისრაელი); ტ. ვილგაარდი (დანია)

**საქართველოს** ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებმა უცხოელთათვის ერთობ მოულოდნელად, ჩვენთვის კი სასიამოვნოდ დაიწყო ევროპის ჩემპიონატი. ქართველებმა D ჯგუფის ფავორიტად შერაცხულ გერმანელებს არაფერი დაუთმეს და დამსახურებულ ქულასაც გამოჰკრეს ხელი.

ჩვენი უცხოელი კოლეგების თქმით, ქართველებმა გერმანელთა შორეულ პასებზე აგებულ სწრაფ თამაშს ტექნიკური ბურთაობა დაუპირისპირეს, რამაც მეტოქე გვარიანად შებოჭა. თუმცა პირველი გოლის გატანა მაინც გერმანელებს შეეძლოთ — კევინ შონბერგის გრძელ პასს სენესი გამოეხმაურა, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორა.

ქართველთაგან ყველაზე მეტად თავდამსხმელმა სანდრო იაშვილმა გამოიჩინა თავი. მან ძალიან ბევრი იმუშავა და მეტოქისთვის დიდად სახიფათო იყო. იაშვილს პირველ ტაიმშივე შეეძლო ადლერის კარის დალაშქვრა, როდესაც ზაალ ელიავას მარცხნიდან ჩაწოდებულს თავი დაჰკრა, თუმცა მეკარე ადგილზე დახვდა ბურთს.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ორ მცველს შუა მოხვედრილმა იაშვილმა ზუსტად გაისროლა მეტოქის კარისკენ — ამჯერად ადლერი უძლური აღმოჩნდა და ქართველებიც 1:0 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ ინიციატივას გერმანელები დაეუფლნენ და დიდ წნეხშიც მოაქციეს მეტოქე.

კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი თითქოს კი უძალიანდებოდა მათ შეტევებს, თუმცა 65-ე წუთზე მაინც გატყდა. საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ზვიად ჩალაძემ უხეიროდ მოიგერია და ტომიკმაც შანსი გამოიყენა — 1:1. გერმანელებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ მარიო გომესის სახიფათოდ გასროლილი ოდნავ ასცდა ჩალაძის კარს.

გუშინ დანიაში დავუკავშირდით ქართული დელეგაციის ერთ-ერთ წევრს *ნიკა დოლიძეს*, რომელმაც ეს გვითხრა:

— გერმანელებთან კარგად ვითამაშეთ. ბიჭებმა მეტოქეს არაფერი დაუთმეს. სახიფათო მომენტები შევქმენით თუმცა, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. სანდრო იაშვილმა მართლაც ძალიან კარგად ითამაშა. მისი შეცვლა მხოლოდ ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო.

**— ლაშა ჭელიძეს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა თამაშის ნება არ დართეს...**

— ლაშა ჭელიძეს B ჰეპატიტი დაუდგინეს კიევის „დინამოში" ყოფნისას და ამ დაავადებას ახლაც მკურნალობს. როდესაც აქ შეგვეკითხნენ, რომელიმე ფეხბურთელი რაიმე სამკურნალო კურსს ხომ არ გადისო, ჩვენმა ექიმმაც ალალად უთხრა — ლაშა ჭელიძე ღვიძლს წამლობსო. მათაც გამოიკვლიეს და გათამაშების მთავარმა ექიმმა გადაწყვიტა, ჭელიძესთვის თამაში აეკრძალა. საქმე ისაა, რომ ეს დაავადება გადამდებია სისხლით და, ექიმის თქმით, დიდი შანსია, თამაშისას სხვა ფეხბურთელთან შეჯახებამ ცუდი შედეგი გამოიღოს.

**— დღეს პოლონეთთან გიწევთ თამაში...**

— პოლონელთა თამაში ვნახეთ. საკმაოდ ძალისმიერი გუნდია. დღევანდელი მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტია და მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ.

**ძაბა ზალამბერიძე**

**უნგრეთი 1:3 პოლონეთი**

0:1 ტარნოვსკი (8), 1:1 სელეი (28), 1:2 შეპანი (60პ), 1:3 სოლეცკი (68)

**უნგრეთი:** მატიუ, ტოროკი, იმრიკი, გ. შორვატი, კოდობონი, ვადუჩი, დენესი (მალი 72), დოსტლი, ტუსოუ (იერემიასი 66), სელეი, ვარგა

სათადარიგონი: მოლი, მოლნარი, რიბი, დ. შორვატი

**პოლონეთი:** ფაბიანსკი, კალინოვსკი, სტავორი, სოლეცკი, შეპანი, კოვალჩუკი, ტარნოვსკი (ბუტავა 62), ბეჟნიხი, კრუჩეკი (ლემანი 76), ბარტჩაკი, იურგელევიჩი

სათადარიგონი: სპაჩინსკი, ლატკოვსკი, იუჩიუკი, ფელინსკი, ბოროვჩუკი

**გაფრთხილება:** იურგელევიჩი (37), კალინოვსკი (76)

**გაძევება:** კოდობონი (56)

**მსაჯები:** რ. როსეტი (იტალია); ო. სამანიეგო (ესპანეთი), ბ. აბილდგაარდი; ფ. რონი (ორივე დანია)

**A ჯგუფი**

**27 აპრილი**

**დანია 4:4 ჰოლანდია**

**ფინეთი 2:3 ინგლისი**

**29 აპრილი**

**დანია 6:0 ფინეთი**

**ჰოლანდია 0:2 ინგლისი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 10:4 | 4 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 1 | 1 | 4:6 | 1 |
| ფინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | 0 |

**C ჯგუფი**

**27 აპრილი**

**ესპანეთი 4:1 ჩეხეთი**

**მოლდოვა 3:6 იუგოსლავია**

**29 აპრილი**

**ესპანეთი 4:2 მოლდოვა**

**ჩეხეთი 1:3 იუგოსლავია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 9:4 | 6 |
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:3 | 6 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 5:10 | 0 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

**B ჯგუფი**

**28 აპრილი**

**შვეიცარია 3:1 უკრაინა**

**პორტუგალია 0:2 საფრანგეთი**

საქართველოს 13 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
5 ტური

ბათუმი. დინამო. 27 აპრილი. 500 მაყურებელი. 16.00 საათი

## ბათუმი 0:1 ლოკომოტივი

0:1 დავითაშვილი (82)

**ბათუმი:** ქანტურია, კობიძე, მინდაძე, თურმანიძე, არჩვაძე, ხუჯაძე, ქაცარავა, დარჩიძე, რომანაძე (ტულუში 46), დ. ჯანაშია, აფხაზავა

სათადარიგონი: ი. ბალაძე, ჩიჩუა, ზ. გუბაზავა, ი. მახარაძე, გ. ჩხაიძე, ბეჟანიძე

**მწვრთნელი:** ასლან ბალაძე

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, ლ. სალუქვაძე, ონიანი, ზ. ლაცაბიძე, გელა ქორიძე (დათვაძე 67), ჭიჭვეიშვილი, კ. გოგიჩაიშვილი, რუსია (მოსჩილაძე 88), კაიდარაშვილი (დავითაშვილი 12)

სათადარიგონი: იგარდავა, მანჩხავა, ბერულიძე, სოსელია

**მწვრთნელი:** გია ჯიშკარიანი

**გაფრთხილება:** მინდაძე (12), ქორიძე (12)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი (სამივე თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი

ჯარიმა: 21-25; კუთხური: 4-3; კარისკენ დარტყმა: 4-3; კარში დარტყმა: 4-3; თამაშგარე: 2-7

# აქა ხარ, ჩემო სულიკო!

## ლოკომოტივმა დავითაშვილს თავზე აკოცა

**მამუკა კვანტალიანი ბათუმიდან**

**„ბათუმმა"** იავარქმნილ „ცენტრალურზე" ვერაფერი მოუხერხა სტუმრად ნაწვევ „ლოკომოტივს" და თამაშის ბოლო ათწუთეულში გაშვებული გოლის შემდეგ მეოთხე ადგილზე გასვლის შანსი შეიმცირა.

მატჩის მსვლელობისას რკინიგზელებმა არ იცოდნენ, რა მოხდებოდა „ეროვნულზე". მათ „დინამო" — „ტორპედოს" დაპირისპირებაში ნებისმიერი შედეგი ხელს აძლევდათ, თუმცა მთავარი გამარჯვება იყო და სტუმრებმა დიდი თავგანწირვის ფასად საწადელი აისრულეს.

თავიდანვე ვთქვათ, ორივე გუნდმა ცუდად ითამაშა და ამაში ფეხბურთელები როდი არიან დამნაშავენი. „ცენტრალური" შაბათს ხნულს უფრო წააგავდა. სტუმარ-მასპინძელს ბურთი დაჭერობანას ეთამაშებოდა და ფეხბურთელებს ხშირადაც აცუცურაკებდა. უკვე გასაგებია, „ბათუმი" ბოლო ხანებში გასვლით მატჩებში უკეთ რად გამოიყურება. „ცენტრალურზე" ხომ თამაში პრაქტიკულად შეუძლებელია.

„ლოკომოტივი" რომ მოსაგებად იყო ჩამოსული, ამას სტუმართა შემტევი შემადგენლობაც მოწმობდა. მასპინძელმაც თავიდანვე არაფერი დათმო და მოედანზე საკმაოდ ხისტი თამაში გაჩაღდა. ვითარება მსაჯის ლიბერალურმა დამოკიდებულებამაც დაძაბა. მეშკოვმა თავიდანვე გასაგდები არ გააგდო, გასაფრთხილებელსაც თავზე ხელი გადაუსვა და თამაშიც კინაღამ ხელჩართულ ბრძოლად გადააქცია.

უხეშობის პირველი მსხვერპლი სტუმართა ფორვარდი კაიდარაშვილი იყო. მოედნის ცენტრში ზურაბ არჩვაძემ უკნიდან ვარდნაში ლოკომოტიველის ფეხები მოძებნა და კაიდარაშვილი სულ მცირე, ორი კვირით „დასასვენებლად" გაისტუმრა.

...ერთი შეხედვით შემდრკალ რკინიგზელებს გელა ქორიძემ შეუძახა. თავად ხომ ბლომად ურტყა მასპინძლებს ფეხებში, თანაგუნდელებსაც მოდუნების საშუალებას არ აძლევდა და გუნდიც ერთ მუშტად შეკრა. სტუმრებმა რომ გაიმარჯვეს, ეს ქორიძის დამსახურებაცაა. მან მსაჯს, „ბათუმს" და მერე მის ქომაგსაც მოუგო ფსიქოლოგიური ომი. არადა, ერთ მომენტში, წითელი ბარათი მასზეც უპრიანი იქნებოდა.

პირველ ტაიმში მასპინძლები შეტევას ცდილობდნენ, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტის შექმნა თითქმის ვერ მოახერხეს. პირველად ტაიმის შუაში აყვირდნენ ქვის ფილებზე მოკალათებული მცირერიცხოვანი ქომაგები. მასპინძლები პენალტს მოითხოვდნენ, როცა ბურთი სალუქვაძეს მხარზე თუ მკლავზე მოხვდა, მაგრამ მეშკოვის სასტვენს „თავი არ შეუწუხებია".

მეორედ ვიტალი დარჩიძემ აალელვა რკინიგზელები. ბურთი ცენტრიდან წაილო, გზად ორიოდ სტუმარს გაუსწორდა და საჯარიმოში შეჭრილმა ჭვინტით დაურტყა ლომაიას. ბურთმა ძელს ჩაუქროლა.

ბათუმელთა ბოლო მომენტი თავად სტუმრებმა შექმნეს. ლომაიამ კარი აზგარიშმიუცემლად დატოვა, დაცვაც წამიერად დაიბნა და აფხაზავამაც კარისკენ დაარტყა, მაგრამ ბურთი გვარიანად აცილა მიზანს.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივმა" ძალიან მოინდომა. მწვრთნელთა ტანდემმა მასპინძელთა თამაშში ხარვეზებიც სწორად შენიშნა და შეცვლებიც ზედმიწევნით გამოიცნეს ჯიშკარიანმა და კოტრიკაძემ.

სალუქვაძე, ბალაშვილი, ორბელაძე და ჭიჭვეიშვილი — მართალია, თავი არც სხვებს დაუზოგავთ, მაგრამ ნახსენებმა ოთხეულმა დასკვნით ეტაპზე თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა.

მასპინძელთა თავკაცმა, მოწინააღმდეგე კოლეგებისგან განსხვავებით, შეცვლა ვერ გამოიცნო. ბალაძე გამოცდილ ტულუშს ენდო, ხოლო ერთ დროს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო შუახაზელმა მოლოდინი ვერ გაუმართლა. ტულუში მარცხენა ფლანგზე გაამწესა ბალაძემ. ალბათ, მწვრთნელმა შეტევის გამწვავება და დაცვაში გარჯაც დაავალა თემურს, თუმც ბალაძის რჩეულს 15 წუთში არაქათი გამოეცალა. მის წინააღმდეგ მოთამაშე გოგიჩაიშვილს კი ბოლო 25 წუთში გაეხსნა მეორე სუნთქვა.

...ბალაშვილმა ბურთი საკუთარი საჯარიმოს სიახლოვედან მოედნის ცენტრისკენ ამოიტანა. ჭიჭვეიშვილმა მეტოქე მოიშორა და მარცხნივ გოგიჩაიშვილს გაუჭრა. რკინიგზელთა კაპიტანმა ბურთი გაისწორა, ერთი მეურვე ჩამოიშორა და საჯარიმოში ჩააწოდა. იქ კი ბურთს დავითაშვილი ელოდა. „აბრეზა" ჰაერში აიწია და უნაკლო თავურით „ბათუმისა" და ეროვნული ნაკრების მეკარე უსაქმოდ დატოვა. ბურთი ჯერ ხარიხას გაეხახუნა და მერე შორეულ კუთხეში ჩაეშვა.

გასატანი მანამდეც ჰქონდათ რკინიგზელებს, მაგრამ დათვაძე-გოგიჩაიშვილის საზრიანი კომბინაციის შემდეგ ბურთი კარიდან არჩვაძემ გამოიტანა.

გოლის შემდეგ ფრთაშესხმულ „ლოკომოტივს" ანგარიშის შენარჩუნება არ გასჭირვებია. სტუმრებმა „ბათუმის" და მისი ქომაგის შემოტევებიც მოიგერიეს და მეშკოვმაც ჩასტვინა.

...რკინიგზელები სათითაოდ დავითაშვილს თავზე კოცნიდნენ, მასპინძელთა გასახდელიდან კი სერიოზული საუბრის და კამათის ხმა გამოდიოდა.

საქართველოს 13 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე ეტაპი
5 ტური

**I-VI ადგილები**

# მედოევმა ქიზიყს უმაღლესი დაანახა

ქობულეთი. 28 აპრილი. 16.00 საათი
ცენტრალური. 1500 (ტევადობა 12 000)

## ქობულეთი 0:1 მილანი

0:1 მედოევი (75)

**ქობულეთი:** გაბუნია, ანჯაფარიძე, ბეგეშიძე, ბეგლარ თედორაძე, თალაკვაძე, სიხარულიძე, ბაღუნაიშვილი, ვალიჩავა (დ. ჯინჭარაძე 74), ჯ. ბერიძე, კალანდაძე, ჯინჯიხაძე

სათადარიგონი: გოგუა; ჩახუნაშვილი, ოქრომჭედლიძე, გოგმაჩაძე, თ. კვირკველია

**მწვრთნელი:** ვალერიან ჩხარტიშვილი

**მილანი:** ნაცოფია, დიმიტრიშვილი, ტარულაშვილი, ბარამიძე, მეტონიძე, მ. სამხარაძე, ქარჩავა, მოსიაშვილი (მებონია 87), ვარამაშვილი (ქალიაშვილი 35), გოლეთიანი, მედოევი

სათადარიგონი: გრძელიძე, გამცემლიძე, ეგაძე, როსტიაშვილი, ჩიტაური

**მწვრთნელი:** სოსო ბარამიძე

**გაფრთხილება:** გოლეთიანი (45), ნაცოფია (62)

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ტ. ცირდავა (გურჯაანი), ა. სამხარაძე, დ. სანაია (ორივე სოხუმი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ჯ. გაბისონია

ჯარიმა: 16-29; კუთხური: 5-3; კარისკენ დარტყმა: 3-5; კარში დარტყმა: 1-4; თამაშგარე: 2-4

**პაატა კვანტალიანი ქობულეთიდან**

**სასწაული** უნდა მოხდეს, წნორის „მილანმა" უმაღლესი ლიგის საგზური რომ ვერ მოიპოვოს. ასეთ სასწაულს ნაჩვევი არიან კახელები, შარშან ხომ ზღაპარში გაუშვეს შანსი ხელიდან, ამიტომაც საკვირაო წარმატება უხმაუროდ აღნიშნეს, მატჩის მერევე თქვეს, მოდუნების უფლება მანამდე არ გვაქვს, სანამ პირველლიგელებად ვითვლებითო.

რთული მატჩი ჰქონდა „მილანს" მესამეადგილოსან „ქობულეთთან" და ერთობ გაუჭირდათ სტუმრებს მსაჯ-მასპინძელთა ზეწოლით პირველ ტაიმში, მაგრამ გაუძლეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

სტუმართა მოთამაშე მწვრთნელმა სოსო ბარამიძემ ბევრად მობილიზებული გუნდი აწვია „ქობულეთს". „მილანმა" მოედნის თითოეულ მონაკვეთზე თავდაუზოგავად იბრძოლა, კონტრშეტევებით ბევრი ჩხვლიტა მასპინძლები და საგოლედ კართანაც არ გაიკარა მეტოქე. არადა, პირველი ტაიმი ერთი შეხედვით კარგს არაფერს უქადდა „ქიზიყის სიამაყეს", რადგან სწრაფი ვარამაშვილი მოისაკლისა ტრავმის გამო და მესხიც მასპინძელთა სასარგებლოდ სტვენდა. ქობულეთელთაგან იუბილარი კაპიტანი ჯუმბერ ბერიძე გამოირჩეოდა, მაგრამ თანაგუნდელები ვერაფრით მოიყვანა ბრძოლის იშტაზე.

ცალკე უნდა ითქვას ზაზა მედოევზე. ამ გონიერმა ფეხბურთელმა ფუტკარივით იმუშავა. ტანმორჩილმა ფორვარდმა ტანმაღალ ქობულეთელებს თავბედი აწყევლინა „მეორე სართულზე" და „დაბლაც" გვარიანად გატანჯა. გოლიც ლამაზი გამოუვიდა — ბარამიძის ჯარიმიდან ჩაწოდებულს გაწოლილი თავურით შეეგება და გაბუნიამ შორეულ კუთხეში შეფრენილ ბურთს თვალიღა გააყოლა. მანამდეც და მერეც „ქობულეთს" საგოლე შანსი არ ჰქონია, „მილანი" მონდომებით იჭერდა ბურთს და დარჩენილ დროში ლაშა გოლეთიანს ანგარიშის გაზრდაც შეეძლო, ოთხიოდე მეტრიდან თავური რომ არ გასცუდებოდა.

მარცხით სავალალო დღეში ჩავარდნენ ზღვისპირელები. უმაღლეს ლიგაში პირდაპირ ანაცვლებას ვინ ჩივის, მესამე ადგილიც სათუო გაუხდათ. დარჩენილ ტურებში ჩხარტიშვილის გუნდს დიდი ძალისხმევა დასჭირდება გადათამაშების საგზურის მოსაპოვებლად.

**თსუ 2:1 ლოკომოტივი 3**

**ცხინვალი 1:2 დილა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 5 | 0 | 0 | 9:0 | 38 |
| დილა | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 37 |
| ქობულეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 30 |
| თსუ | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | 29 |
| ლოკომოტივი 3 | 5 | 1 | 0 | 4 | 8:8 | 23 |
| ცხინვალი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:12 | 18 |

**VII-XI ადგილები**

**ხობი 2:1 ლაზიკა**

**მერანი 2 1:2 დინამო 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | 24 |
| ლაზიკა | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 20 |
| ხობი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:8 | 17 |
| სამტრედია | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 13 |
| მერანი 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:11 | 11 |

თბილისი. ეროვნული. 5 000 (ტევადობა 70 900). 27 აპრილი. 16 საათი

## დინამო 1:0 ტორპედო

1:0 მიქაძე (9)

დინამო: ზოიძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კანდელაკი (ა. სახვაძე 82), კარლოსი, გოგობერიშვილი, ბურდული, დარასელია (მაზიაშვილი 88), ანჩაბაძე, გ.გ. მიქაძე
სათადარიგონი: გვარამაძე, მანჯგავა, ხიზანიშვილი, მ. ბობოხიძე, შავგულიძე
მწვრთნელი: ივო შუშაკი

ტორპედო: სტურუა, აბრამიძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, თოდუა, ქემოკლიძე (მ. ბაბუნაშვილი 53), დიდავა (ახალკაცი 82), კვარაცხელია, პოროშინი (გოგიჩაიშვილი 82), მ. ასათიანი, ზვ. ქუთათელაძე
სათადარიგონი: ტოგონიძე, გამეზარდაშვილი, აკოფიანი, ძამსაშვილი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

გაფრთხილება: კანდელაკი (81), აბრამიძე (85)

მსაჯები: მ. მაღალურაძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ჯარიმა: 13-10; კარისკენ დარტყმა: 6-3; კარში დარტყმა: 5-2; კუთხური: 5-3; თამაშგარე: 2-4



ქუთაისელი მალხაზ ასათიანის (№20) მონდომებამ „ტორპედოს" ვერ უშველა

# ტორპედო ზიგფრიდმა დაზაფრა

დავით თავართქილაძე

**შაბათს** ჩვენი „ეროვნული" დასველდა, წვიმამ მეორე ტაიმში მოუსწრო ჩემპიონთა ბრძოლას და თავის საყვარელ წითელ ჰალსტუხში გამოწკეპილ შუშაკსაც თავი ყინჩად ეჭირა. „დინამოს" ფანებისთვის ხომ ხორვატი ივო ახლა ზიგფრიდია, რომელმაც დრაკონი დაამარცხა.

გურმანული ეპოსის გმირი, ნიბელუნგების ბელადი ზიგფრიდი ქართულ საფეხბურთო სინამდვილეში — ხმამაღლა და, იქნებ, სასაცილოდაც ჟღერს, მაგრამ შუშაკმა ერთი რამ უკვე ნამდვილად დაიმსახურა — კარგი მწვრთნელის რეპუტაცია საქართველოში.

„ტორპედომ" ერთი რეალური საგოლე მომენტიც კი ვერ შეუქმნა შუშაკის გუნდს, მაგრამ რევაზ ძოძუაშვილის ბიჭებმა მაგრად იბრძოლეს, ეპიზოდებში ისე უჭერდნენ მარწუხებს „დინამოს", რომ გოლი ირაკლი ზოიძეს კარში ვითომდა მწიფდებოდა, თუმც მასპინძელთა დაცვის ხაზი შეუნგრეველი აღმოჩნდა.

ჩინებულად ითამაშა ალეკო ამისულაშვილმა, რომელიც დაცვიდან ხშირად ოდნავ წინ, მარცხენა ფლანგისკენ ინაცვლებდა, საიდანაც ყველაზე უფრო ლონივრად ურტყამდა „დინამოს" „ტორპედო". ქუთაისელებს იქ გივი დიდავასი ეიმედებოდათ, რომელსაც შეტევათა ორგანიზებაში მალხაზ ასათიანი უმაგრებდა ზურგს. საპირისპირო ფლანგზე კი „ტორპედომ" ფაქტობრივად უარი თქვა, თუ არ ჩავთვლით ერთ ეპიზოდს პირველ ტაიმში, როცა სევასტი თოდუამ კარლოსი გააბითურა და მწვავედ ჩააწოდა დინამოელთა საჯარიმოში.

მარჯვენა ფრთიდან „ტორპედო", ალბათ, უფრო იმიტომაც ცდილობდა „დინამოს" გათელვას, რომ შუშაკმა მარცხენა ნახევარმცველად ილია კანდელაკი გაამწესა არჩილ სახვაძის მაგივრად. კანდელაკი მაგრად იდგა და შეტევაშიც ერთვებოდა, ასე რომ, შუშაკი არც ამაში შეცდა.

აუცილებლად უნდა შევაქოთ მალხაზ ასათიანი. ამ უნიჭიერესმა ფეხბურთელმა ჩემპიონთა ბრძოლა ძალიან გაალამაზა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე შუშაკმაც აღნიშნა, ჩემი აზრით, ასათიანი ერთ-ერთი მშვენიერი ფიგურაა „ტორპედოშიო".

მოედნის ცენტრში ხშირად „ტორპედო" იმარჯვებდა, მაგრამ მთლიანობაში „დინამოს" ძალამ გადაწონა. არ არის საუკეთესო ფორმაში ალეკო გოგობერიშვილი, თუმც ინტელექტის და გამოცდილების ხარჯზე საქმეს თავი გაართვა.

და რაც ყველაზე მთავარია — სწრაფ თამაშში „დინამომ" „ტორპედოს" აშკარად აჯობა.

კიდევ ერთხელ დაგვანახა გიორგი მიქაძემ თუ ვინ არის. მისი მოულოდნელი, ცბიერი, ძლიერი და ზვიად სტურუას კარის ცხრიანში შორიდან გატანილი გოლი ერთ რამედ ღირდა.

შემდეგ ანჩაბაძემ სცადა ცაციათი სტურუას დამწუხრება, მაგრამ ქუთაისელმა კუთხურზე უკუაგდო ოციოდ მეტრიდან დარტყმული, მერე სტურუამ დარასელიას ჩახვეული კუთხური გააუვნებლა.

„ტორპედომ" გივი კვარაცხელიას შორეული, მაგრამ არაზუსტი დარტყმით უპასუხა, საშუალო დისტანციიდან კი მიხეილ მახვილაძემ ვერ გაასწორა მიზანი.

შემდეგ კვლავ „დინამოს" ჯერი დადგა — მოედნის ცენტრში გათამაშებულ სწრაფ კომბინაციას ლადო ბურდულის მიერ ძელსგარტყმული ბურთი მოჰყვა, ხოლო გიორგი მიქაძემ მაკრატელათი ააცილა სტურუას კარს.

ტაიმის მიწურულს ისევ კვარაცხელიამ სცადა, „დინამოსთვის" შორიდან გაეტანა გოლი, მაგრამ ზოიძემ ხელებში გააქვავა ბურთი.

შესვენების შემდეგ „ტორპედომ" უფრო შმაგად შეუტია. გააქტიურდნენ ასათიანი და დიდავა, მაგრამ ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ თამაში გათანაბრდა და საგოლე მომენტი ისევ „დინამომ" შექმნა — კონტრშეტევისას დარასელიამ ბურდულს გაუჭრა პასი, რომელიც მარცხნიდან შეიჭრა „ტორპედოს" საჯარიმოში, მაგრამ სტურუამ უკიდურეს კუთხეში დარტყმული ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მალე გოგობერიშვილი-ბურდული-დარასელიას კომბინაციას უნდა მოჰყოლოდა გოლი, მაგრამ ვიტალიმ ახლოდან ვერ გაარტყა მიზანში.

სტუმრებმა ყველაზე სახიფათო იერიში მაშინ მიიტანეს „დინამოზე", როცა დიდავამ მარჯვნიდან ჩაუწოდა მცველთაგან უმეთვალყურეოდ დარჩენილ ზვიად ქუთათელაძეს, მაგრამ ქუთაისელი ფორვარდის დარტყმულს 11-მეტრიანის ნიშნულთან გიორგი შაშიაშვილი გადაეფარა.

„დინამოს" კი ერთხელაც მიეცა გატანის შანსი. მიქაძემ და ანჩაბაძემ მოახერხეს, დარასელია სტურუასთან პირისპირ დატოვეს, მაგრამ დინამოელი არ მიახლოვებია „ტორპედოს" მეკარეს, მყისვე დაარტყა და ააცილა.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ, ასეთ საინტერესო თამაშს გულშემატკივართა სიმცირე ნამდვილად არ ეკადრებოდა.

ნამატჩევს „დინამოელთა" ხორვატი მწვრთნელი, ცხადია, კმაყოფილი იყო.

*ივო შუშაკი:*

— მძიმე მატჩი გახლდათ. დაცვაში ორგანიზებულად ვითამაშეთ და კონტრშეტევებიც განვახორციელეთ. ტაქტიკა წარმატებული გამოდგა, თუმც ასპროცენტიანი საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ არც მეტოქისთვის მიგვიცია ამის საშუალება. ჩემი ბიჭები ბოლომდე დაიხარჯნენ და მათ ამას ვულოცავ. მინდა, მადლობა ვუთხრა გულშემატკივრებს — მათ გარეშე ვერ გავიმარჯვებდით.

— დარასელიამ, ძალიან კარგად ითამაშა. ბევრს მოძრაობდა და პარტნიორებს თავისუფალ სივრცეს უქმნიდა. სამწუხაროა, რომ საგოლე მომენტები ვერ გამოიყენა, აქ იღბლის ფაქტორიც არის.

— რომ გავიგეთ, რომ მეტოქეს პირველი მეკარე არ ეყოლებოდა, ჩვენს ფეხბურთელებს ვთხოვე, შეძლებისდაგვარად შორიდან ურტყით-მეთქი. საერთოდ, შორეული დარტყმები დადებითი მომენტია.

*რევაზ ძოძუაშვილი:*

— არანორმალური უნდა იყო, რომ ასეთი მატჩი არ მოგეწონოს. ორივე გუნდის ფეხბურთელებმა ყველაფერი ჩადეს თამაშში.

— რამდენიმე დღის წინ თასის ნახევარფინალი ვითამაშეთ და ფეხბურთელებმა ძალები სრულად ვერ აღიდგინეს. ყოველ მეოთხე დღეს თამაში არ შეიძლება, კალენდარი გადასახედია. ფეხბურთელებს ფსიქოლოგიურად დასვენებაც ხომ სჭირდებათ.



რევაზ ძოძუაშვილი და ივო შუშაკი





სოსო ფილიამ და ოთარ გაბელიამ ერთმანეთს სიტყვა არ შეარჩინეს

ფოთი. ფაზისი. 1 500 (ტევადობა 6 000). 27 აპრილი. 16.00 საათი

## კოლხეთი 1:0 მერანი

1:0 ფაჩულიძე (90)

კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია (ახვლედიანი 46), მ. ქობულაძე, ნარსია, ფაჩულიძე, კვირკველია, კვეტენაძე, გუჩუა (ქუტიძე 77), ე. გვასალია (დ. ოდიკაძე 77), დაუშვილი, წიჭნიძე
სათადარიგონი: ქვაჩაძე, ტორჩინავა, ქანტურიძე, პაპავა
მწვრთნელი: სოსო ფილია

მერანი: ნაქეურია, გოგიტიძე, გუჯაბიძე, ქინქარაული, ხიზანიშვილი, გ. ილურიძე, ბაჯელიძე (კაკაშვილი 86), კოშკაძე, დ. ბოლქვაძე, დ. ფირცხალაიშვილი (კ. მეტრეველი 89), ი. შენგელია,
სათადარიგო: გ. გაბელია
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ა. დოჟრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

ჯარიმა: 10-16; კუთხური: 9-3; კარისკენ დარტყმა: 9-8; კარში დარტყმა: 6-5; თამაშგარე: 2-3

# ფოთი — შფოთი

## ფილია: გაბელია თამაშს ცალი თვალით უყურებს! გაბელია: ფილიას მსაჯებთან ვერავინ მიასწრებს

პაატა კვანტალიანი ფოთიდან

„კოლხეთი" — „მერანის" დრამატული შეხვედრა ნამატჩევს სკანდალში გადაიზარდა. ფეხბურთელების საათნახევრიან ბრძოლას, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მწვრთნელებს შორის კონფლიქტი მოჰყვა.

ბოლო ორი წლის მანძილზე „მერანმა" პირველად დაიდგა უნაგირი „ფაზისზე". არ აგებდა აქამდე ავჭალური კლუბი „კოლხეთთან" საგარეო მატჩებში და შაბათსაც არ ჰქონდა წასაგები. „მერანი" მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა, რამდენჯერმე გასატანიც ჰქონდა და იღბალსაც რომ არ ემტყუნა პატრონმიტოვებული გუნდისთვის, მოიგებდა კიდეც, მაგრამ ფოთელმა ფაჩულიძემ მატჩის ბოლო წუთზე მძლავრად მოიქნია და სიხარულისგან ჭენებით ჩაურბინა თავჩახრილ მერანელებს. „ბათუმის" საშინო მარცხით კოლხთა მოგებას ორმაგი ფასი დაედო, რაკილა „ინტერტოტოს" პერსპექტივა გაუჩნდათ.

ბოლოს კი სკანდალურ პრესკონფერენციაზე ვთქვათ. მომხდარს კომენტარი არ სჭირდება.

**ოთარ გაბელია:** საიდან მოიყვანეს ეს ურუშაძე. არც კი გამეგო, ასეთი მსაჯი თუ არსებობდა. დაგვღუპა მისმა მოქმედებამ. ასეთი მსაჯობა რომ არის, მაგიტომაა ჩვენი საქმე კარგად.

**სოსო ფილია:** თამაშს ვერ ვიხსენებ ისეთს, ოთარ გაბელია კმაყოფილი დარჩენილიყოს მსაჯობით. სულ მსაჯებზე როგორ უნდა წუწუნებდე, ოთარი დღეს, ეტყობა, ცალი თვალით უყურებდა თამაშს. ფოთიდან სხვანაირი გასაშვები ხარ შენ.

**ოთარ გაბელია:** შენ ჩემზე რა უნდა თქვა, მსაჯებთან მისვლას ვერავინ გასწრებს.

ძაფი ამ სიტყვების შემდეგ გაწყდა. სოსო ფილიამ ირონიული ტონი შეიცვალა, დაპირისპირებულმა მწვრთნელებმა ორიოდე „ტკბილი" სიტყვა გაცვალეს, გაბელია სკამიდან წამოიჭრა და საპრესკონფერენციო დარბაზის დატოვებას შეეცადა. ფილია კოლეგას საქმის გასარჩევად თავის კაბინეტში ეპატიჟებოდა, მაგრამ კონფლიქტი დროულად გამოჩენილმა გამშველებლებმა ჩააცხრეს...

### I-VI ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 4 | 0 | 1 | 7:4 | 38 |
| დინამო | 5 | 5 | 0 | 0 | 6:0 | 34 |
| ლოკომოტივი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:4 | 34 |
| კოლხეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 24 |
| ბათუმი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:7 | 22 |
| მერანი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:8 | 17 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 15 - პოროშინი | ტორპედო |
| 14 - დავითაშვილი | ლოკომოტივი |
| 12 - წიწიბაძე | კოლხეთი |
| 11 - ზ. ქუთათელაძე | ტორპედო |

## VII–XII ადგილები



[illegible] ფოტო

ვიტელი თენგიზ კობიაშვილი ბოლნისელ გიორგი ქორიძეს კინაღამ გადაახტა

მცხეთა. არმაზი. 150 (ტევადობა 3 000). 27 აპრილი. 15.30 საათი

### ვიტ ჯორჯია 2:1 სიონი

| | |
|---|---|
| 1:0 ნუწუნავა (14), 1:1 ქორიძე (38), 2:1 დილმელაშვილი (81პ) | |
| ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, კობიაშვილი, მუჯირი, გველესიანი, ფეიქრიშვილი (კვაბაძე 46), ლ. ნოზაძე (დ. დოლიძე 64), დილმელაშვილი, ადამია, ვ. გოჩაშვილი, ნუწუნავა (ბესიკ თედორაძე 82), მელქაძე. სათადარიგონი: მამარდაშვილი, მ. ცქიფურიშვილი, იმედაშვილი, მალიჩავა. მწვრთნელი: ჯანი კარნევალი | სიონი: ელკოვი, სიდამონიძე, პაპიძე, ლ. ამბიძე (მინდიაშვილი 46), კარიაული, ბარნოვი (ჩაგელიშვილი 86), მოსეშვილი (ბ. შენგელია 46), ხუჭუა, ისიანი, გაბისკირია, გიორგი ქორიძე. სათადარიგონი: დალაქიშვილი, შაკიაშვილი, ნინუა, ა. ბურნაძე. მწვრთნელი: თემურ მახარაძე |
| გაფრთხილება: ხუჭუა (74), თედორაძე (86), მუჯირი (89) | |
| მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), კ. თბილელი (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ქუთაისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია | |
| ჯარიმა: 21-11; კუთხური: 6-3; კარისკენ დარტყმა: 7-2; კარში დარტყმა: 5-3; თამაშგარე: 4-6 | |

## სიტყვით გატანილი

**კახა შალამბერიძე მცხეთიდან**

**შაბათს** მცხეთაში ისეთი გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს, რომლებმაც თავის ქუდში შეყოფა დანარჩენებს დაასწრეს და ახლა მოვალეობის მოხდის მიზნითღა თუ თამაშობენ. აბა, თუ სასწაული არ მოხდა, „ვიტ ჯორჯიას" და „სიონს" უმაღლესი ლიგიდან რაღა გააგდებს?

ჰოდა, ამიტომაც, ცოტა გასაკვირი იყო, ისე ეკვეთნენ მეტოქეები ერთმანეთს. მაგრამ ეს უფრო მათ ჟინიანობაზე ითქმის, თორემ მთელ შეხვედრაში იმდენი ტექნიკური წუნი იყო...

დასტურად მატჩის პირველი სახიფათო მომენტიც იკმარებს — მე-6 წუთზე „სიონის" შეტევა მარცხენა ფლანგიდან ისიანმა წამოიწყო, მცველს გასცდა და საჯარიმოშიც ჩააწოდა. პასს უმეთვალყურეოდ დარჩენილი ლაშა ამბიძე გამოეხმაურა, მაგრამ ბურთს ფეხი ააცილა. სამაგიეროდ, „იმედგაცრუებულმა" ბურთმა იქვე მდგომი გიორგი ქორიძე მოძებნა, თუმცა მისი დამორჩილება ვერც მან შეძლო და სახიფათო მომენტიც ამით განიმუხტა.

მალე ქორიძემ მაინც შეძლო გოლის გატანა, თუმცა ამან „არმაზის" ორნულიანი ტაბლოს მუშაკები ვერ დაასაქმა — გოლი თამაშგარეს გამო არ ჩაითვალა.

ამასობაში „ვიტ ჯორჯიამაც" გამოიღვიძა და რაც ვერ შეძლო ქორიძემ, იმის გაკეთება კახა ნუწუნავამ მოახერხა. გოლში ლომის წილი ვეტერინართა ათმა ნომერმა ვლადიმერ გოჩაშვილმა დაიდო, რომელმაც საჯარიმოში იოლად მოატყუა ორი მცველი და თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ჩააწოდა — მელქაძის თავური მეკარემ უკუაგდო, ნუწუნავას დამატებული კი ბადეში გაეხვია — 1:0.

უფრო საინტერესო კი ამ გოლამდე მომხდარი ეპიზოდი იყო: სტუმარმა კახა სიდამონიძემ ვეტერინართა თავდამსხმელს ბურთი აართვა და მოსაგერიებლად ემზადებოდა, როცა თანაგუნდელმა დაუძახა — აუტზე გადააგდეო. სიდამონიძესაც ეგონა, ვინმე დაშავდაო და ბურთს გვერდითი ხაზი გადააკვეთინა. იქედან ჩაწოდებული კი გოჩაშვილმა მიიღო და...

ტაიმის ბოლოს გიორგი ქორიძემ უკვე წესების სრული დაცვით გაიტანა გოლი და ანგარიში გაათანაბრა. საგოლე პასი შალვა ისიანმა გააკეთა და ქორიძემაც თავით დალაშქრა მასპინძელთა კარი — 1:1.

მეორე ნახევარი თანაბარ თამაშში გაილია. „სიონი" ფრეზე ყაბულს იყო და უკან დაიხია. ვეტერინარებმაც შეტევა სცადეს, თუმცა ერთი-ორჯერ სტუმართა მწვავე კონტრშეტევის გამო გასინჯეს და უფრო ფრთხილად მოეკიდნენ საქმეს.

იმ მომენტებში კი ქორიძემ ისეთი სისწრაფით ჩაუქროლა მცველებს, რომ სტადიონზე შეკრებილი მცირერიცხოვანი მაყურებელი გაოგნებული კითხულობდა — ეს როგორ შეძლოო. ერთი ასეთი გარბენის შემდეგ კი ქორიძემ ხუჭუა შეატოვა მეკარეს, მაგრამ მან ბურთი ვერ შეაკავა და ჭურაძემ დაასწრო.

მატჩი ფრისკენ მიდიოდა, მაგრამ 81-ე წუთზე „ვიტ ჯორჯიას" დაწინაურების კარგი შანსი მიეცა და გამოიყენა კიდეც. საჯარიმოში შეჭრილი ვლადიმერ გოჩაშვილი ხუჭუასთან ჭიდილში დაეცა და ფანიაშვილმა პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი. ბოლნისელთა დავა-კამათი ამაო იყო... დილმელაშვილმა აუღელვებლად გამოიყენა ბოძებული შანსი — 2:1.

„სიონმა" შტურმის მოწყობა კი სცადა ჭურაძის კართან, მაგრამ ბევრი არაფერი გამოუვიდა. მასპინძლებმა გაძლეს და მარაგს სამი ქულაც შემატეს.

## პირიქითაც ალაღ იყო

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

**ორი იმერული** კლუბი უმაღლესში დასარჩენად იბრძვის. ქვეექვსეულში კი, მოგეხსენებათ, ისეთი ვითარებაა, ამათგან ერთი განწირული „გურიას" ბედს თუ არ გაიზიარებს და ლიგიდან პირდაპირ არ გავარდება, გადათამაშებას მაინც ვერ ასცდება. მოკლედ, „26 მაისზე" შეყრილ გუნდებს ერთმანეთისთვის დასათმობი არაფერი ჰქონდათ და თამაშის ხასიათიც აქედან გამომდინარეობდა. მატჩს დაძაბულობა არ მოჰკლებია და მართალია, იგი „სამგურალმა" მოიგო, მაგრამ პირიქითაც რომ მომხდარიყო, გასაკვირი არ იქნებოდა.

წყალტუბოელებმა დებიუტში იხეირეს, როცა სტუმრები საკუთარ ნახევარზე დაჯარიმდნენ. კახა ჯანაშიამ მარჯვნიდან ოსტატურად ჩააწოდა ბურთი მეტოქის საჯარიმოში და იქ შალვა ლონლაძემ იმარჯვა, მაღალ ნახტომში მოხდენილი თავურით კუთხეში გაიტანა. სწრაფმა გოლმა მასპინძლებს, ერთის მხრივ, საბოლოო გამარჯვების რწმენა გაუორკეცა, მეორე მხრივ, კი ცუდადაც იმოქმედა. „სამგურალმა" უმალ უკან დაიხია, მთელი ყურადღება დაცვაზე გადაიტანა. ზესტაფონელებმაც აღარ დაახანეს და უპირატესობას დაეუფლნენ, სტუმრები თავიანთი ლიდერისა და მეგოლის, ენდელაძის არყოფნაშიც (ზვიადი სიმამრს გლოვობდა) წინ საკმაოდ გააზრებულად და სახიფათოდ მოქმედებდნენ და უკვე მე-6 წუთზე კინაღამ გაათანაბრეს. ვარდიაშვილი საჯარიმოსთან ახლოს პირითი ხაზიდან თითქოს ჩაწოდებას აპირებდა, არადა, დარტყმა გამოუვიდა და ბურთიც ახლო ცხრიანში მიემართებოდა — ბოლო წამს ბოდოკიამ გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე. მეორედ იყო და, სტუმრებმა გატანის რეალური შანსი გაუშვეს ხელიდან მე-15 წუთზე — კობესაშვილმა საჯარიმოს შიგნიდან უძლიერესი დარტყმით ხარიხა შეაზანზარა.

წყალტუბო. 26 მაისი. 800 (ტევადობა 12 000). 27 აპრილი. 16.00 საათი

### სამგურალი 2:1 მეტალურგი

| | |
|---|---|
| 1:0 ლონლაძე (3), 1:1 გაბრიჭიძე (44), 2:1 დარსაძე (72) | |
| სამგურალი: ბოდოკია, შეყრილაძე, ფრანგიშვილი, დ. ჭელიძე, კოპალიანი, ი. ხაჭაპურიძე (ლ. ქობულაძე 73), შ. ლონლაძე, კ. ჯანაშია (ჯინჭარაძე 88), კიკვიძე (ფუტკარაძე 54), დარსაძე, ხუნდაძე. სათადარიგონი: ო. ბობოხიძე, ზვ. ფხაკაძე, ქადაგიძე, ვაჩიბერაძე. მწვრთნელი: გია გიგატაძე | მეტალურგი: ა. ლაბაძე, მემარნიშვილი, ბაქრაძე, მერებაშვილი, მაღლაკელიძე, გაბრიჭიძე, კობესაშვილი (კრავეიშვილი 75), სულაკაძე, გუნაძე, კაციაშვილი, ვარდიაშვილი. სათადარიგონი: მერკვილიშვილი, მ. ლონლაძე, ორმოცაძე, ცნობილაძე, გურეშიძე, ჭოხონელიძე. მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე |
| გაფრთხილება: ჯანაშია (16), მემარნიშვილი (60), შეყრილაძე (68), ბოდოკია (76), დარსაძე (80) | |
| მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე | |
| ჯარიმა 27-16, კუთხური 3-3, კარისკენ დარტყმა 5-5, კარში დარტყმა 6-6, თამაშგარე 4-8 | |

ამასობაში წყალტუბოელები მიხვდნენ, რომ ოდენ ყრუ დაცვით ფონს ვერ გავიდოდნენ და იქით შეუტიეს. ათწუთიან მონაკვეთში მასპინძლებს სამჯერ შეეძლოთ ანგარიშის გაორება. ჯერ ხუნდაძეს მართებდა გატანა, კოპალიანმა იგი ავთო ლაბაძესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ მეკარემ ფორვარდს აჯობა. მერე ჯანაშიას მიერ საჯარიმოდან დარტყმულმა კარის ჯვარედინს წაჰკრა. ამ ეპიზოდიდან წუთში კი ისევ ხუნდაძე აღმოჩნდა კარგ პოზიციაში, თუმცა მიზანში ვერც ამჯერად მოარტყა. ჰოდა, მალევე ანგარიშიც გათანაბრდა. ზესტაფონელთა ვეტერანმა გაბრიჭიძემ იშვიათი სილამაზის გოლი გაიტანა, დაახლოებით 30 მეტრიდან ანაზდეული დარტყმით ცხრიანში ჩაუსვა ბურთი ყურადღებამოდუნებულ „სამგურალის" კარის დარაჯს.

ამ პრინციპულ მატჩში ფრე მასპინძლებისთვის ვერაფერი ნუგეში იყო. სტუმრებს კი ქულა, ცხადია, არ აწყენდათ, მაგრამ ისინი მეტისთვის იყვნენ მონდომებულნი და მეორე ნახევარიც უშეღავათო გამოდგა. 52-ე წუთზე სულაკაძე კარგად გაისარჯა მარცხენა ფლანგზე და ზუსტად გაგზავნა საჯარიმოში შეჭრილი ვარდიაშვილისკენ, მაგრამ რად გინდა, ამან სულ ახლოდან ბოდოკიას ვერ ააცილა. ხუთ წუთში მსგავსი მომენტი უკვე „მეტალურგის" კართან შეიქმნა. ვერც კოპალიანმა დაუფასა დარსაძეს გადაცემა. შვიდიოდე მეტრიდან ხარიხას გადააცილა თავური. შუა ტაიმში სტუმართა მრავალსვლიან კომბინაციას სულაკაძე აგვირგვინებდა, თუმცა არც მას გაუმართლა. გოლის ჯერი კი მაინც დადგა და იგი მასპინძლებმა გაიტანეს. მართალია, ხუნდაძის დარტყმული ხარიხამ აისხლიტა, მაგრამ გაღმოვარდნილს დარსაძემ ძლიერად უთავაზა მარცხენა კუთხეში. ბევრი მცდელობის მიუხედავად სტუმრებმა თამაში ველარ გადაარჩინეს.

მატჩის შემდეგ ზესტაფონელები ჩიოდნენ, პირველ ტაიმში ორი პენალტი გვეკუთვნოდა, არბიტრმა კი მასპინძლები დაინდოთ. სტუმრები იმასაც საყვედურობდნენ მსაჯს, მეორე ტაიმი 45 წუთში რომ ჩაატია. სადღაც მართალიცაა, მეორე ტაიმში ოთხი შეცვლა გაკეთდა, ოთხი ფეხბურთელიც გააფრთხილეს, ბოდოკიაც დროის გაყვანისთვის დაისაჯა. ეტყობა, შილაკაძეს ეს ამბავი სულაც გადაავიწყდა.

## რასაც გასცემ, იოლად დაიბრუნებ

**გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან**

**რუსთავის** „გორდა" ერთადერთი გუნდი იყო, რომელსაც „გურიამ" პირველ ეტაპზე ორივე მატჩი მოუგო. იგივეს განმეორება გურულებს რომ ახლა არ ძალუძთ, ეს ფაქტია. ამჯერად ყველაფერი უკულმა შეტრიალდება და ექვს ქულას უკვე რუსთაველები ჩაიჯიბავენ. ამის ნახევარი საქმე შაბათს უკვე გააკეთეს, როცა მეტოქე მისსავე მოედანზე დაამარცხეს.

წლეულს ლანჩხუთს ვინც ესტუმრა, ყველა სამქულადამშვენებული დაბრუნდა შინ, ოღონდ უბრძოლველად გურულებს ერთი მატჩიც კი არ დაუთმიათ. თუმც ქვემო ქართლელებმა დაგეგმილი სამი ქულა ისე იოლად მოიპოვეს, საკვირველიც იყო. საკვირველი კი იმიტომ, რომ „გორდას" თამაში ასეთი ანგარიშით მოგების საწინდარი არ უნდა ყოფილიყო.

რაც დრო გადის, ის ერთადერთი ნათელი წერტილიც, რომელიც გურულებს ბრძოლისუნარიანობის სახით ჯერ კიდევ შემორჩენოდათ, თანდათან ნელდება და საქმისადმი უგერგილო მიდგომა თვალნათლივ სწორედ შაბათს წარმოჩინდა მათ ქმედებაში. რამაზ ფირცხალაიშვილის შეგირდებს თითზე ჩამოსათვლელ ეპიზოდებში თუ მიეცათ გატანის მეტ-ნაკლები შანსი და ისიც სტუმარი მცველების დაუდევრობის ხარჯზე.

სტუმრები თავიდანვე მიეძალნენ შეტევაში და უკვე მეხუთე წუთზე ჯელაძემ ძელიც შეაზანზარა. ასისტენტობა მას შორეული პასით გიორგი კილასონიამ გაუწია, რომელიც ერთი თავით მაღლა იდგა დანარჩენებზე. გიორგი უნარიანად ხელმძღვანელობდა გუნდს. ყველა გოლში ხომ თავისი წილი დაიდო და თავად ორი გაიტანა.

მიუხედავად რუსთაველთა დიდი უპირატესობისა, გოლი მაინც მოგვიანებით გავიდა. 27-ე წუთზე კილასონიამ კუთხური ჩააწოდა. ჟვანიამ ბურთი უხეიროდ და ჯელაძისკენ მოიგერია, რომელსაც ათიოდ მეტრიდან გატანა არ გასჭირვებია.

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე 200 (ტევადობა 22 000). 27 აპრილი. 16.00 საათი

### გურია 1:5 გორდა

| | |
|---|---|
| 0:1 ჯელაძე (27), 0:2 ჟვანია (52ა.კ.), 1:2 ფაცურია (70პ), 1:3 ჯელაძე (74), 1:4, 1:5 კილასონია (84, 87) | |
| გურია: ჩომახიძე, მ. სალუქვაძე, განევი, ჟვანია, ფაცურია, კუკულაძე, ჯიქიძე, ლ. ჩხაიძე, სულაქველიძე (კიკაჩეიშვილი 46), ნაროუშვილი (გალოგრე 46), გურამ იმნაიშვილი. სათადარიგონი: ჭაფოძე, ჩხარტიშვილი. მწვრთნელი: რამაზ ფირცხალაიშვილი | გორდა: ბათიაშვილი, ბერიძე (თავბერიძე 72), ზ. ცქიფურიშვილი, ჭანკოტაძე, კუდელაშვილი, ზვ. ლაბაძე (ლ. ხმალაძე 78), მელაძე, კ. ალადაშვილი, გ. კილასონია, დ. გოდერძიშვილი (ბუკია 56), ა. ჯელაძე. სათადარიგონი: ბედიაშვილი, კეტიშვილი, აფშილავა, ებრალიძე. მწვრთნელი: თენგიზ კაცია |
| გაფრთხილება: სალუქვაძე (20), ჯიქიძე (23), განევი (42), მელაძე (72) | |
| მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა | |
| ჯარიმა: 14-13; კუთხური: 3-7; კარისკენ დარტყმა: 1-6; კარში დარტყმა: 2-10; თამაშგარე: 7-8 | |

პირველ ტაიმში მხოლოდ ეს იყო. დანარჩენი კი მეორე ტაიმმა დაიტია. მის დასაწყისშივე გურულებმა კინაღამ გაათანაბრეს. კიკაჩეიშვილის ფლანგურ ჩაწოდებას სტუმარი ლაბაძე ვარდნით შეეგება და ლამის საკუთარი კარი დალაშქრა. „გორდა" ავტოგოლისაგან ძელმა იხსნა. ხუთიოდ წუთში ტყუპისცალი ეპიზოდი უკვე „გურიას" კართან შეიქმნა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჟვანიამ შეძლო ის, რაც ლაბაძემ ვერ მოახერხა.

ორი ბურთით დაწინაურებული „გორდა" ოდნავ მოეშვა და დაისაჯა კიდეც. მასპინძელთა ერთ-ერთი შეტევისას ცქიფურიშვილს ბურთი ხელზე მოხვდა და ავთო შალამბერიძემ პენალტიც დანიშნა, ფაცურიამ ეს შანსი აუღელვებლად გამოიყენა.

თუმც ოთხიოდ წუთში ოდნავ გაღვივებული ინტრიგა ჯელაძემ ჩააქრო, როცა კვლავ კილასონიას უზადო პასი გამოიყენა და მეორედ აილო ჩომახიძის კარი.

ბოლო წუთებში კი კილასონიამ სულ გაილაღა. ჯერ იყო და, მეტოქის საჯარიმოში მცველებს სულ აურია გზაკვალი. სამ მათგანს ცეკვა-ცეკვით ჩაუარა და მეკარეს მიადგა, ისიც ეფექტური ფინტით სახტად დატოვა და კარის ხაზთან მისულმა ბურთიც მშვიდად შეაგორა.

სამ წუთში უკვე მარჯვენა ფლანგიდან შეუტია რუსთაველთა ლიდერმა და ჯელაძის მისამართით პასიც არ დაიზარა, თუმც ბურთი კარში ისე შეგორდა, ჯელაძის ფეხი არც შეხებია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:5 | 27 |
| სიონი | 5 | 3 | 0 | 2 | 12:5 | 22 |
| გორდა | 5 | 3 | 1 | 1 | 11:7 | 17 |
| სამგურალი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:3 | 16 |
| მეტალურგი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 16 |
| გურია | 5 | 0 | 0 | 5 | 2:15 | 8 |

# ჩემპიონი ცნობ...




ტოტენჰემი — ლივერპული. მაიკლ ოუენს საგოლედ არ მოაქნევინეს

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXVII ტური

**ევერტონი 1:2 ბლექბერნი**

0:1 იანსენი (10), 1:1 ჩედვიკი (51), 1:2 კოული (63)
ევერტონი: ჟერარი, პისტონე, სტაბსი, ვეირი, უოტსონი, ანსუორთი (ბლომკვისტი 82), ჯემილი, გრავესენი, ალექსანდერსონი (რაძინსკი 74), ქ. კემპბელი, ნ. ჩედვიკი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ბლექბერნი: ფრიდელი, უნსალი (ნ. იოჰანსონი 64), ბერგი, შორტი, მ. ტეილორი, ფლიტკროფტი, თუგაი (გილესპი 64), დანი, დაფი, იანსენი, ენდი კოული
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: სტაბსი, იანსენი, კოული, ანსუორთი
მსაჯი: უინტერი
34 976 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:1 საუთჰემპტონი**

1:0, 2:0 ვასელი (7, 41), 2:1 ბიტი (52)
ასტონ ვილა: ენკელმანი, მ. დილანი, მელბერგი, სტონტონი, ჟ. რაიტი, ჰიცლსბერგერი, ბერი (ჯ. სამუელი 65), სტოუნი (მ. ჰაჯი 65), ჯ. ბოატენგი, კრუში (ხ. ანხელი 65), ვასელი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
საუთჰემპტონი: მოსი, დოდი, ლუნდეკვამი, პ. უილიამსი, ბრიჯი, ტელფერი, დელაპი, ფერნანდესი (ტესემი 46), ა. სვენსონი, ბიტი, ორმეროდი (პ. დევისი 80)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: სტონტონი, ტესემი, მელბერგი
მსაჯი: ელერი
35 255 მაყურებელი

**ჩარლტონი 2:2 სანდერლენდი**

1:0 იუელი (1), 1:1 კილბეინი (2), 1:2 ფილიპსი (10), 2:2 ლისბი (82)
ჩარლტონი: დ. კელი, რუფუსი, კონჩესკი (პ. ბაუელი 46), იანგი, ჟორჟე კოსტა, ჯ. რობინსონი (მ. სვენსონი 73), გ. სტიუარტი, კინსელა (ლისბი 68), პარკერი, ჯ. იოჰანსონი, იუელი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
სანდერლენდი: სორენსენი, გრეი (მაკკარტნი 76), დ. უილიამსი, კრადოკი, ბიორკლუნდი, კილბეინი, მაკატირი, ტორლველი, ბატლერი, ფილიპსი (მბომა 79), ნ. ქუინი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: კილბეინი, კინსელა, ჟორჟე კოსტა, მაკატირი, ქუინი
მსაჯი: უოლსტენჰოლმი
26 614 მაყურებელი

**დერბი ქაუნთი 0:1 ლიდსი**

0:1 ბოიერი (16)
დერბი ქაუნთი: პოომი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, ჯექსონი, უ. ბარტონი, ბოერტიენი, ლი, ძანიძანი (ბოლდერი 46), ლ. მორისი (ევატი 21), კრისტი, შტრუპარი (მ. რობინსონი 76)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, მატეო, რ. ფერდინანდი, ჰარტი, ბოიერი, ბაკე, ს. ჯონსონი, კიუელი (ბეტი 87), ფაულერი (რობი კინი 21), სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ბოერტიენი, ევატი
მსაჯი: პოლი
30 735 მაყურებელი

**ფულემი 0:0 ლესტერი**

ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ბრევეტი, მელვილი, გომა, ლეგვინსკი (საჰა 62), გოლდბეკი (კოლინზი 62), შ. დევისი, მალბრანკი, მარლე, ჰეილსი
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
ლესტერი: უოქერი, როუეტი, ფ. სინკლერი, როჯერსი, მ. ელიოტი, დავიდსონი (ს. ოუქსი 19), სევიჯი, იზეტი, ლ. მარშალი, ჰიპერი, დიკოვი (სტივენსონი 76)
მწვრთნელი: დეივ ბასეტი
გაფრთხილება: ლეგვინსკი, როუეტი, იზეტი, დიკოვი, გომა, სევიჯი, ჰეილსი
მსაჯი: იეტსი
21 016 მაყურებელი

**იფსვიჩი 0:1 მანჩესტერი**

0:1 ვან ნისტელროი (45პ)
იფსვიჩი: ე. მარშალი, ბრემბლი, მაკგრილი, ჰრეიდარსონი, კლეპამი, ფინიდი (უილნისი 53), ტ. მილერი, ჰოლანდი, ჰერალტა, როიზერი (დ. ბენტი 70), მ. ბენტი (ა. არმსტრონგი 85)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
მანჩესტერი: კეროლი, ფ. ნევილი, ბრაუნი, ოში, ირვინი, ბათი, როი კინი, მაიკლ სტიუარტი (სქოულზი 46), ლ. ჩედვიკი (სილვესტრი 79), ვან ნისტელროი (სოლსკიაერი 60), ფორლანი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ჰრეიდარსონი, მაკგრილი
მსაჯი: სტაილზი
28 433 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:2 ჩელსი**

0:1 კოული (38), 0:2 ზენდენი (43)
მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი, ეჰიოგუ, კუპერი, კუდრუ, გრინინგი, ინსი, მასტო (ნემეტი 46), ველანი, უინდასი (დოუნინგი 46), კარბონე (დებევე 46)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, ტერი, დესაი, გალასი, გრონკიაერი (დალა ბონა 79), ლამპარდი, პეტი (იოკანოვიჩი 72), ზენდენი, ჯ. კოული (სტანიჩი 76), ძოლა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ველანი, ზენდენი, სტოკდეილი, ინსი
მსაჯი: ნაითი
28 686 მაყურებელი

**ნიუკასლი 3:1 ვესტ ჰემი**

0:1 დეფო (20), 1:1 შირერი (41), 2:1 ლუა-ლუა (53), 3:1 რობერი (65)
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი (დისტინი 46), დაბიზასი, ბერნარი, სპიდი, რობერი, სოლანო, დაიერი (ჯენასი 83), ლუა-ლუა (კორტი 83), შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, ი. პირსი, რეპკა, დეილი, ლაბანტი (დ. გარსია 82), ტ. სინკლერი (უინტერბერნი 71), ჯ. კოული, კარიკი, ლომასი, კანო, დეფო
მწვრთნელი: გლენ როედერი
გაფრთხილება: პირსი, დისტინი, კანო
მსაჯი: დარკინი
52 127 მაყურებელი

**ტოტენჰემი 1:0 ლივერპული**

1:0 პოიეტი (41)
ტოტენჰემი: კელერი, ტარიკო, პერი, ე. გარდნერი, ტეტჩერი, ანდერტონი, პოიეტი, კლემენსი, ს. დევისი, შერინგემი, ივერსენი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ლივერპული: დუდეკი, ზავიერი (ბერგერი 68), ჰიპია, ანრი, კარაგერი, დ. მერფი (ლიტმანენი 82), ჰამანი, რიისე, შმიცერი, ოუენი, ჰესკი (ანელკა 64)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: პერი, რიისე
მსაჯი: ჯონსი
36 017 მაყურებელი



ევერტონი — ბლექბერნი. სტუმარი მეტ იანსენი (№10) და ალან სტაბსი სამკვდროდ გადაეჯაჭვნენ

**ბოლტონი — არსენალი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-16 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

ბოლო ხანია, თითქოს გადაწყვეტილია, რომ ლონდონის „არსენალს“ ველარავინ შეუშლის ხელს პრემიერლიგის ჩემპიონობაში. „არსენალივე“ იბრძვის ასოციაციის თასისთვის, რათა სამწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაიბრუნოს დუბლი.

შაბათს საქმე ისე იყო, რომ მეთოფეთა ორივე მდევარი ბეწვზე ეკიდა. „ლივერპულს“ გაუწყდა ის ბეწვი, „მანჩესტერმა“ კი კვლავ გადადო ჩემპიონის აშკარად გამოცხადების საკითხი. „ლივერპული“ ლონდონში დამარცხდა, სადაც კარგად ორგანიზებულმა „ტოტენჰემმა“ ნამდვილი ბრძოლა გაუმართა, გამომგონებლობაშიც დაჩაგრა და თავიც გადაირჩინა. თამაშის ერთადერთი გოლი პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანა პოიეტმა. ამ გოლში მთავარი მარცხენა ფლანგზე მარჯვენა ფეხით მოჯადოქრე დარენ ანდერტონის ირიბად აჭრილი კროსი იყო, რომელსაც ორი ტოტენჰემელი აცდა, მაგრამ მესამემ კარში გადაგზავნა ბურთი.

ჟერარ ულიეს გუნდმა ვერ მოახერხა ბურთის მოწინააღმდეგის კარის ხაზზე დატრიალება, თუმცა მენეჯერს ხელი არ ჩაუქნევია: „პირველი ნახევარი 2:0 უნდა მოგვეგო, პირიქით კი მოხდა. ავი დღე იყო ჩვენთვის, უკან დიდი სეზონი დაგვრჩა. ფეხბურთი მოულოდნელობითაა სავსე. მე ვამაყობ ჩვენი ფეხბურთელებით, ჩვენ კვლავ ვიბრძვით ჩემპიონობისთვის“.

ჩემპიონობისთვის კი კვლავ იბრძვის „მანჩესტერი“, რომელიც ამ კვირის ორშაბათს „არსენალს“ უმასპინძლებს. შარშან ასეთი მასპინძლობა 6:1 დასრულდა, მაგრამ შაბათს „იუნაიტედს“ არაფერი აწყობდა მოგების გარდა, ყოველგვარი სხვა შედეგი მეთოფეთა ჩემპიონობას ორშაბათსვე გააფორმებდა ბოლტონში. „მანჩესტერი“ სტუმრობდა „იფსვიჩს“, რომელიც ლიგაში დასარჩენად ჯახირობს და ამ საქმეში მეტოქედ „სანდერლენდი“ ჰყავს, რომელიც თითქოსდა უგებდა „ჩარლტონს“, მაგრამ მაინც ქულის ამარა დარჩა.

იფსვიჩში კი ერთადერთი გოლი გავიდა, ისიც სადავო. მასპინძელთა მენეჯერმა ჯორჯ ბარლიმ ამ გოლს „სასაცილო გადაწყვეტილების შედეგი“ უწოდა. პირველ ტაიმს დამატებულ დროში, ორ მცველს შუა მოქცეული რუუდ ვან ნისტელროი ჩაწოდებული ბურთისკენ გაიწია და ნახტომში გაიშხლართა ბალახზე. მსაჯმა პენალტი დანიშნა და იმავ ვან ნისტელროიმ შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა.

სხვა დიდად გადამწყვეტი თამაშები არც ყოფილა. ეს არის, რომ ვილელმა დარიუს ვასელმა თავისი დუბლით კიდევ უფრო მოიმაგრა პოზიცია სვენ გორან ერიკსონის ნაკრებში, ხოლო ბლექბერნელმა ენდი კოულმა ამ კლუბში თავისი მეათე (18 თამაშიდან) გოლით, იმავ ერიკსონს შეახსენა, კორეა-იაპონიაში მეც მინდაო.

ალან შირერმა კვლავ გაიტანა, „ნიუკასლმა“ ამ სეზონში მერამდენედ შემოატრიალა თამაში და „ვესტ ჰემს“ მოუგო. შირერისთვის ეს 203-ე პრემიერლიგური გოლი იყო, ლომანა ტრეზორ ლუა-ლუასთვის კი მხოლოდ მესამე. თუმცა, აქვე ითქვას, ზედიზედ მესამე სამ მატჩში.

ლი ბოიერის მოხდენილმა გოლმა „ლიდსს“ დერბიში მოაგებინა, „ჩელსიმ“ კი სტუმრად სძლია „მიდლსბროს“. ლონდონელთაგან პირველი ბურთი პრემიერლიგის მეოთხე კოულმა, კარლტონ კოულმა შეაგდო.

**ირაკლი გამყრელიძე**




იფსვიჩი — მანჩესტერი. მასპინძლებმა რუუდ ვან ნისტელროი საპენალტოდ წააქციეს

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 35 | 23 | 9 | 3 | 72:33 | 39 | 78 | 18 | 11 | 4 | 3 | 38:22 | 16 | 37 | 17 | 12 | 5 | 0 | 34:11 | 23 | 41 |
| 2 მანჩესტერი | 36 | 24 | 4 | 8 | 87:44 | 43 | 76 | 17 | 11 | 1 | 5 | 40:16 | 24 | 34 | 19 | 13 | 3 | 3 | 47:28 | 19 | 42 |
| 3 ლივერპული | 36 | 22 | 8 | 6 | 58:27 | 31 | 74 | 17 | 10 | 5 | 2 | 24:11 | 13 | 35 | 19 | 12 | 3 | 4 | 34:16 | 18 | 39 |
| 4 ნიუკასლი | 37 | 21 | 8 | 8 | 73:49 | 24 | 71 | 19 | 12 | 3 | 4 | 40:23 | 17 | 39 | 18 | 9 | 5 | 4 | 33:26 | 7 | 32 |
| 5 ჩელსი | 37 | 17 | 13 | 7 | 65:35 | 30 | 64 | 18 | 11 | 4 | 3 | 42:18 | 24 | 37 | 19 | 6 | 9 | 4 | 23:17 | 6 | 27 |
| 6 ლიდსი | 37 | 17 | 12 | 8 | 52:37 | 15 | 63 | 18 | 8 | 6 | 4 | 30:21 | 9 | 30 | 19 | 9 | 6 | 4 | 22:16 | 6 | 33 |
| 7 ტოტენჰემი | 37 | 14 | 8 | 15 | 48:51 | -3 | 50 | 19 | 10 | 4 | 5 | 32:24 | 8 | 34 | 18 | 4 | 4 | 10 | 16:27 | -11 | 16 |
| 8 ვესტ ჰემი | 37 | 14 | 8 | 15 | 46:56 | -10 | 50 | 18 | 11 | 4 | 3 | 30:13 | 17 | 37 | 19 | 3 | 4 | 12 | 16:43 | -27 | 13 |
| 9 ასტონ ვილა | 37 | 11 | 14 | 12 | 43:46 | -3 | 47 | 19 | 8 | 7 | 4 | 22:17 | 5 | 31 | 18 | 3 | 7 | 8 | 21:29 | -8 | 16 |
| 10 მიდლსბრო | 37 | 12 | 9 | 16 | 35:46 | -11 | 45 | 19 | 7 | 5 | 7 | 23:26 | -3 | 26 | 18 | 5 | 4 | 9 | 12:20 | -8 | 19 |
| 11 ფულემი | 37 | 10 | 14 | 13 | 36:41 | -5 | 44 | 19 | 7 | 7 | 5 | 21:16 | 5 | 28 | 18 | 3 | 7 | 8 | 15:25 | -10 | 16 |
| 12 ბლექბერნი | 36 | 11 | 10 | 15 | 49:47 | 2 | 43 | 18 | 7 | 6 | 5 | 30:20 | 10 | 27 | 18 | 4 | 4 | 10 | 19:27 | -8 | 16 |
| 13 ევერტონი | 37 | 11 | 10 | 16 | 42:53 | -11 | 43 | 19 | 8 | 4 | 7 | 26:23 | 3 | 28 | 18 | 3 | 6 | 9 | 16:30 | -14 | 15 |
| 14 ჩარლტონი | 37 | 10 | 13 | 14 | 38:49 | -11 | 43 | 19 | 5 | 6 | 8 | 23:30 | -7 | 21 | 18 | 5 | 7 | 6 | 15:19 | -4 | 22 |
| 15 საუთჰემპტონი | 37 | 11 | 9 | 17 | 43:53 | -10 | 42 | 18 | 6 | 5 | 7 | 20:21 | -1 | 23 | 19 | 5 | 4 | 10 | 23:32 | -9 | 19 |
| 16 ბოლტონი | 36 | 9 | 13 | 14 | 43:58 | -15 | 40 | 18 | 5 | 7 | 6 | 20:29 | -9 | 22 | 18 | 4 | 6 | 8 | 23:29 | -6 | 18 |
| 17 სანდერლენდი | 37 | 10 | 9 | 18 | 28:50 | -22 | 39 | 18 | 7 | 6 | 5 | 17:15 | 2 | 27 | 19 | 3 | 3 | 13 | 11:35 | -24 | 12 |
| 18 იფსვიჩი | 37 | 9 | 9 | 19 | 41:59 | -18 | 36 | 19 | 6 | 4 | 9 | 20:24 | -4 | 22 | 18 | 3 | 5 | 10 | 21:35 | -14 | 14 |
| 19 დერბი ქაუნთი | 37 | 8 | 5 | 24 | 32:62 | -30 | 29 | 19 | 5 | 4 | 10 | 20:26 | -6 | 19 | 18 | 3 | 1 | 14 | 12:36 | -24 | 10 |
| 20 ლესტერი | 37 | 4 | 13 | 20 | 28:63 | -35 | 25 | 18 | 2 | 7 | 9 | 13:33 | -20 | 13 | 19 | 2 | 6 | 11 | 15:30 | -15 | 12 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 23 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 23 |
| ანრი (არსენალი) | 22 |
| შირერი (ნიუკასლი) | 22 |
| ოუენი (ლივერპული) | 18 |
| სოლსკიაერი (მანჩესტერი) | 17 |

**XXXVIII ტური**

11 მაისი

| | |
|---|---|
| არსენალი | ევერტონი |
| ბლექბერნი | ფულემი |
| ჩელსი | ასტონ ვილა |
| ლიდსი | მიდლსბრო |
| ლესტერი | ტოტენჰემი |
| ლივერპული | იფსვიჩი |
| მანჩესტერი | ჩარლტონი |
| საუთჰემპტონი | ნიუკასლი |
| სანდერლენდი | დერბი ქაუნთი |
| ვესტ ჰემი | ბოლტონი |

**პირველი დივიზიონი**

**პლეი ოფი**

I მატჩები

**ბირმინგემი 1:1 მილუოლი**

1:0 ბ. ჰიუზი (56), 1:1 დაბლინი (80)

*საპასუხო მატჩი გაიმართება 2 მაისს*

**ნორვიჩი 3:1 ვულვერჰემპტონი**

0:1 სტარიჯი (22), 1:1 რივერსი (56), 2:1 მაკვეიგი (72), 3:1 მაკეი (90)

*საპასუხო მატჩი გაიმართება 1 მაისს*

**მეორე დივიზიონი**

**პლეი ოფი. I მატჩები**

ჰადერსფილდი — ბრენტფორდი 0:0; სტოკ სიტი — კარდიფი 1:2

*საპასუხო მატჩები გაიმართება 1 მაისს*

**მესამე დივიზიონი**

**პლეი ოფი. I მატჩები**

ჰარტლპული — ჩელტენჰემი 1:1; რაშდენი — როჩდეილი 2:2

*საპასუხო მატჩები გაიმართება 30 აპრილს*

# აჩრდილი დადის უნტერჰახინგის...
# ფრაიბურგი ხავსს მოსწყდა



REUTERS

ნიურნბერგი — ლევერკუზენი. მასპინძლებმა მიხაელ ბალაკის გატარება არ ინდომეს

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XXXIII ტური

**კიოლნი 2:0 ფრაიბურგი**
1:0 კულმანი (26), 2:0 შერცი (86)
კიოლნი: პრიოლი, სონგი (კელერი 87), ჩიკონი, სიხონე, ბალიტში, ვოიგტი, კულმანი, ლოტნერი (კრიიცი 71), შპრინგერი, ბარანეკი (შერცი 63), კურტი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ფრაიბურგი: როისი, კონდე, დიარა, შ. მიულერი, ცილი (ცხადაძე 78), ჰერმელი (ა. ცაიერი 61), კობიაშვილი, კულიბალი, ვ. ბუტი, რამდანე, სელიმი (ბრუნსი 46)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ჩიკონი, ლოტნერი, რამდანე, დიარა, კონდე
მსაჯი: კრუგი
30 000 მაყურებელი .

**ჰამბურგი 3:4 დორტმუნდი**
0:1 ამოროზო (36პ), 0:2 როსიცკი (38), 1:2 ვიკი (42პ), 1:3 ამოროზო (63), 2:3 პოოგმა (80), 2:4 იან კოლერი (86), 3:4 მეიერი (90)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ჰერჩი, პოოგმა, იუჟფალუში, ფუკალი (ბენჯამინი 69), ვიკი (კეტელაერი 81), ჰოლერბახი, გროთი, ბარბარეზი (ანტარი 43), მეიერი, რომეო
მწვრთნელი: კურტ იარა
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, მეცელდერი, როიტერი, ჰაინრიხი, კელი (ოლისე 89), რიკენი (იურგენ კოლერი 43), ო. ადო, როსიცკი, იან კოლერი, ამოროზო (ევერტონი 90)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ბარბარეზი, ვიორნსი, ჰოლერბახი, ადო, ვიორნსი, მეიერი, იუჟფალუში, ამოროზო
გაძევება: ჰერჩი (35), ვიორნსი (42)
მსაჯი: ფანდელი
55 340 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:0 ლევერკუზენი**
1:0 ნიკლი (23)
ნიურნბერგი: კამპა, სანე, ნიკლი, პასლაკი (ლ. მიულერი 55), კოში (შტელე 75), ლარსენი, ფრაი, იაროლიმი, კრჟინოვეკი, კაკაუ, რინკი (ჟუნიორი 70)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, პლასენტე (ნოივილი 46), რამელო (სებესკენი 61), ბ. შნაიდერი, ბაშტურქი, ბალაკი, ზე რობერტო, ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: ფრაი, ბალაკი, ბაშტურქი, ნოივილი, პლასენტე, რამელო
მსაჯი: მერკი
44 416 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 0:1 ბაიერნი**
0:1 ბილიშკოვი (33 ს.გ.)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი, ბილიშკოვი, შნოორი, ვაიზერი, ჰ. ზარპეი, კარჰანი, პონტე, დ. მუნტიანუ (პეონორი 67), თესკოვიაკი (გ. პეტროვი 56), კლიმოვიჩი (ტ. მარიჩი 18)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ბაიერნი: კანი, კუფური, რ. კოვაჩი, სანიოლი, ლიზარაზუ, ფინკი, ჰარგრივსი (იერემისი 46), სალიჰამიჯიჩი, შოლი (სანტა კრუზი 67), ელბერი (ნ. კოვაჩი 73), კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ლიზარაზუ, იერემისი, ზარპეი, პიზარო
მსაჯი: ბერგი
20 400 მაყურებელი

**ჰერტა 2:0 შალკე**
1:0 პრეეცი (50), 2:0 ალვეში (53)
ჰერტა: კირალი, სვერისონი (მარქსი 46), სიმუნიჩი, შმიდტი, ჰარტმანი, დარდაი, ბაინლიხი, მარსელინიო, ალვეში (ნოიენდორფი 75), პრეეცი, გოორი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
შალკე: რეკი, ვან ჰოოგდალემი, ვალდოხი, მატელანი, უდე კამპუსი, ვან კერკჰოვენი, მიოლერი, ვერმანტი, ასამოა (ჯორჯევიჩი 61), ე. მპენზა (აგალი 57), სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
გაფრთხილება: შმიდტი, პრეეცი, ასამოა, ვალდოხი, უდე კამპუსი
მსაჯი: შტაინბორნი
55 000 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 4:0 კოტბუსი**
1:0 ლოკვენცი (25), 2:0, 3:0 კლოზე (37, 47), 4:0 ლოკვენცი (48)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. რამზი, ჰენგენი, კნავსი, რიდლი, ხრისტოვი (ო. მარშალი 65), ბასლერი (ბიელიცა 82), მალცი, ლინკორნი (რატინიო 77), კლოზე, ლოკვენცი
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
კოტბუსი: ა. ლენცი, და სილვა, მატიუში, ჰუჯოროვიჩი, აკრაპოვიჩი, მირიუტა (ლატუნდი 77), რეგეკამპფი, კალუჟნი, კობილანსკი (ბრიოტერი 54), რაიხენბერგერი, ბრაზილია (იუნგნიკელი 54)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: კალუჟნი, ჰუჯოროვიჩი, და სილვა, მატიუში
მსაჯი: შტარკი
40 600 მაყურებელი

**ვერდერი 3:2 ზანქტ პაული**
0:1 რანი (5), 0:2 მეგლე (16), 1:2 ფრინგსი (50), 2:2 ბოდე (54), 3:2 ფრინგსი (78)
ვერდერი: ფ. როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ფ. ერნსტი (ბოროვსკი 76), სკრიპნიკი (კლასნიჩი 73), ველატე (ბანოვიჩი 46), ლოსტეში, ფრინგსი, აილტონი, ბოდე
მწვრთნელი: თომას შაფი
ზანქტ პაული: ჰენცლერი, რანი, გიბსი, სტანისლავსკი, ამადუ ტრულსენი, კოლინგერი (რატი 82), ა. მაიერი (ბარისი 73), მეგლე, პაჩინსკი, მარკაო (ალბრეხტი 76)
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
გაფრთხილება: აილტონი, ლისტეში, ალბრეხტი, ბანოვიჩი, რანი, ბანოვიჩი
გაძევება: ბანოვიჩი (90)
მსაჯი: შტრამპე
35 600 მაყურებელი

**მიუნხენი 3:3 შტუტგარტი**
0:1 დანდი (20), 0:2 მაისნერი (45), 1:2, 2:2 მაქსი (62პ, 60), 2:3 მაისნერი (63), 3:3 ბორიმიროვი (79)
მიუნხენი: იენჩი, ვოტავა (ბიროვკა 72), ტ. ჰოფმანი (ვიზინგერი 46), კურცი, დიდენი (აგოსტინო 46), რისეტი, ჩერნი, მ. ვაისენბერგერი, ბორიმიროვი, შუკერი, მაქსი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, ვენცელი, სოლდო, მაისნერი, გლეში, ბალაკოვი, ზაიცი (ადემარი 88), დანდი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: კურცი, რისეტი, მაქსი, ჰილდებრანდი, ზაიცი, რისეტი, მაისნერი
გაძევება: რისეტი (84)
მსაჯი: ფროილიხი
30 000 მაყურებელი

**ჰანზა 1:1 მიონხენგლადბახი**
1:0 ჰილი (9), 1:1 დემო (17)
ჰანზა: კლევერი, იასერი, იაკობსონი, ჰილი, ემარა, ლანცი (ვაილანდტი 90), ჰირში, მაული, როდლევიჩი, არვიდსონი (ლანგე 84), ბაიერლე (ბაუმგარტი 71)
მწვრთნელი: რალფ ვეჰი
მიონხენგლადბახი: მელკა, ებერლი, კორელი, შტასინი, [illegible] (ლანზინგერი 67), [illegible] 67), [illegible] ერი ([illegible])
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: ბაუმგარტი, შტასინი
მსაჯი: ალბრეხტი
25 800 მაყურებელი

„ფრაიბურგი" მაინც გავარდა. შაბათს არჩილ არველაძის „კიოლნმა" მოუგო და... თითქოს დააწყვეტინა. „ზანქტ პაულიც" დაემატათ და ეს სამეული გაისად მეორე ბუნდესლიგაში ითამაშებს. არადა, ფოლკერ ფინკეს გუნდს რომ არ წაეგო, ბოლო ტურში ხავსს ერთხელაც მოეჭიდებოდა. კიოლნის „მიუნგერსდორფზე" ფრაიბურგელებს არ გაუმართლათ, ჟინიანობას ვერ დაუწუნებდით, ერთხელ შტეფან მიულერის თავური ხარიხას მოხვდა, მეორედ კი მასპინძელთა კამერუნელმა რიგობერტ სონგმა თავის საჯარიმოში ლევან კობიაშვილი მოცელა, მაგრამ მსაჯმა რატომღაც პენალტი არ დანიშნა. ეს ამბავი 83-ე წუთზე მოხდა, ამ დროისთვის ანგარიში ჯერაც 1:0 იყო და მატჩის გადარჩენა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ... მაგრამ „ფრაიბურგს" იმით რა შეემატა, რომ გერმანულმა მედიამ არბიტრი კრუგი მკაცრად გააკრიტიკა, ხოლო „კიკერმა" ის თითქმის უმდაბლესი 4,5 ქულით შეაფასა? თუმცა გულწრფელნი ვიყოთ და „ფრაიბურგის" დაქვეითებას მთლად მსაჯებს ნუ დავაბრალებთ, მით უმეტეს, რომ „კიოლნმაც" კაცურად იბრძოლა და კულმან-შერცის გოლებიც ალალი იყო.

თუ ქვედა ნაწილში ყველაფერი გაირკვა და მოულოდნელობაც თითქოს არაფერი მომხდარა, ლიდერებში დიდი არეულ-დარეულობაა. ერთი რამ გადაწყდა, „დორტმუნდი", „ლევერკუზენი" და „ბაიერნი" გაისად ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ. აი, ბუნდესლიგის გამარჯვებულის საკითხი კი, წინა წლების არ იყოს, ისევ ბოლო ტურისთვის გადაიდო, ხოლო ლევერკუზენელები, ჩანს, მანამ არ მოისვენებენ, სანამ მენეჯერ რაინერ კალმუნდს გულს არ გაუხეთქავენ. ამ ჩასუქებული კაცისთვის გერმანიის ჩემპიონობა სანუკვარი ოცნება ყოფილა, ამ მიზნისთვის თავის დროზე ოჯახიც დაუნგრევია და გულის სამი მძიმე შეტევაც გადაუტანია. აკი მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა თქვა კიდეც თუ ტიტული ვერ მოვიპოვეთ, ვინმლო კალმუნდმა ეს ვეღარ გადაიტანოსო...

და აჰა, „ბაიერი" კვლავაც ჩაფლავდა. ამ კვირანახევრის წინ ლევერკუზენელები „დორტმუნდს" ხუთი ქულით უსწრებდნენ და თითქოს მათ ჩემპიონობას წყალი აღარ გაუვიდოდა, მაგრამ ჯერ „ვერდერთან" წააგეს, ახლა „ნიურნბერგთან" და ბოლო ტურის წინ მათიას ზამერის გუნდს ერთი ქულით ჩამორჩნენ. არადა, შუა კვირაში, მანჩესტერთან „ოლდ ტრეფორდზე" დადგმული საუცხოო სალიგო წარმოდგენა, თითქოს ასეთი სევდიანი ეპილოგის საბაბს არ იძლეოდა.

აბა, ახლა გერმანულ პრესას რა გააჩუმებს. კიდევ ერთხელ გაიხსენეს „უნტერჰახინგის" ისტორია. მოგეხსენებათ, შარშანწინ ბოლო ტურში „ლევერკუზენს" ჩემპიონობისთვის ერთი ქულაღა სჭირდებოდა, მაგრამ პატარა უნტერჰახინგში მოულოდნელად წააგო და ჩემპიონი „ბაიერნი" გახდა. ახლა გერმანელები უნტერჰახინგსა და ნიურნბერგს შორის საერთოს მოძებნას ცდილობენ, ორივე ხომ ბაიერნის მიწის ქალაქებია და ერთმანეთს 170 კილომეტრითაა დაშორებული. ჰოდა, ჩანს, ამ 170 კილომეტრში „ბაიერი" მეორედ ჩაიკარგა. არადა, ნიურნბერგამდე „ლევერკუზენი" ათი ტურის მანძილზე ლიდერობდა და „ფრანკენშტადიონზეც" წარმატების არაერთი შანსი ჰქონდა.

განსაკუთრებით არ უმართლებდა ბულგარელ დიმიტარ ბერბატოვს. პირველ ტაიმში ჩინებული მომენტი ვერ გამოიყენა და ბურთი ხარიხას ზემოთ გააფრინა, დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე კი ძელს მოარტყა. თავისი გოლი მიხაელ ბალაკმაც შეაგდო, მაგრამ სტუმართა პროტესტის მიუხედავად მსაჯმა სამართლიანად არ ჩათვალა, ბურთის მიღების დროს ბალაკი თამაშგარეში იყო.

მასპინძელთაგან კი გამორჩეულად ყოფილი ლევერკუზენელი, გაგერმანელებული ბრაზილიელი პაულო რინკი ცდილობდა, რამდენჯერმე მიზანთანაც ახლოს იყო, მაგრამ როგორც ყოველთვის, ბოლოს სიზუსტე ღალატობდა. მოსახდენი კი 23-ე წუთზე მოხდა, იაცეკ კრჟინოვეკმა საჯარიმოში ჩაჰკიდა და ჩეხმა მცველმა მარეკ ნიკლმა შვიდი მეტრიდან თავურით მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

სტუმართა თამაში შესვენების შემდეგ მოედანზე ოლივერ ნოივილის გამოჩენამ გაახალისა, შნაიდერი, ბალაკი და ბაშთურქი უკეთ რომ გარჯილიყვნენ, ეგებ გოლიც გასულიყო, მაგრამ არაფერი შეცვლილა, „ბაიერი" ზედიზედ მეორედ დამარცხდა, ხოლო „ნიურნბერგი" ამ გამარჯვებით ბუნდესლიგაში დარჩა.

კალმუნდი ამჯერად ინფარქტს გადარჩა, ტოპმიოლერმა კი თქვა: „ბოლო ტურში თავს დავდებთ და „ჰერტას" მოვუგებთ. მართალია, ჩემპიონობის ამბავი მხოლოდ ჩვენს ხელთ აღარ არის, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ „დორტმუნდი" „ვერდერთან" წაიფორხილებს. ბრემენელები ხომ ლიდერებთან ძლიერად თამაშობენ, თანაც უეფას თასის საგზურისთვის იბრძვიან. მართალი ვიყავი, როცა ვამბობდი, ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევაო".

„დორტმუნდმა" დრამატულ მატჩში გაიმარჯვა ჰამბურგის „აოლ არენაზე". პირველ ტაიმში მსაჯმა ორივე გუნდი კაცნაკლული დატოვა. ჯერ მასპინძელი ინგო ჰერჩი, მერე კი სტუმართა ქრისტიან ვიორნსი გააძევა. თანაც ორივე წითელ ბარათს თერთმეტმეტრიანები მოჰყვა, რომლებიც ზუსტად დაარტყეს მარსიო ამოროზომ და რაფაელ ვიკიმ. ამოროზო სულაც საუკეთესო გახლდათ შეხვედრაში, ორი ხომ თავად შეაგდო და ერთიც ტომაშ როსიცკის გაატანინა.

მოგვიანებით მსაჯმა თავისი ადგილიდან მათიას ზამერიც მიაბრძანა. ზამერი რატომღაც სერგი ბარბარესზე გაბრაზდა და აუტის ხაზთან მდგარმა, ლაზათიანი დარტყმით ბურთი ზურგში გაარტყა. „რას ვიზამ, ჩემი ფეხბურთელები მოედანზე ნერვებს უკეთ მოერივნენ, ვიდრე მე სათადარიგოთა სკამზე. ჩემპიონობის ბედი კი ჯერ არ გადაწყვეტილა. მარტივად ვიტყვი, გაიმარჯვებს ის, ვისაც ბოლო ტურის შემდეგ ყველაზე მეტი ქულა მოუგროვდება" — დასძინა თამაშის მერე ზამერმა.

„ბაიერნს" კი ისევ გაუჩნდა ჩემპიონობის შანსი. შაბათს ვოლფსბურგში მარინო ბილიშკოვის ავტოგოლით მოიგო და მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდს ათქმევინა: „ბოლო ტურში ლიდერები მძლავრი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოექცევიან. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს და თავისუფლად ვითამაშებთ. თანაც არაერთხელ დაგვიმტკიცებია, რომ რთული ვითარებიდან გამოძრომა შეგვიძლია. მოკლედ, ფინიშს მოუთმენლად ველი და ვიმედოვნებ, ჩემპიონები ისევ ჩვენ გავხდებით".

„ბაიერნი" „დორტმუნდს" ორი, ხოლო „ლევერკუზენს" ერთი ქულით ჩამორჩება.

**სოლომონ ბულისაშვილი**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დორტმუნდი | 33 | 20 | 7 | 6 | 60:32 | 28 | 67 | 16 | 11 | 3 | 2 | 29:11 | 18 | 36 | 17 | 9 | 4 | 4 | 31:21 | 10 | 31 |
| 2 ლევერკუზენი | 33 | 20 | 6 | 7 | 75:37 | 38 | 66 | 16 | 13 | 1 | 2 | 44:12 | 32 | 40 | 17 | 7 | 5 | 5 | 31:25 | 6 | 26 |
| 3 ბაიერნი | 33 | 19 | 8 | 6 | 62:23 | 39 | 65 | 16 | 11 | 5 | 0 | 39:8 | 31 | 38 | 17 | 8 | 3 | 6 | 23:15 | 8 | 27 |
| 4 ჰერტა | 33 | 18 | 7 | 8 | 60:36 | 24 | 61 | 17 | 13 | 2 | 2 | 40:13 | 27 | 41 | 16 | 5 | 5 | 6 | 20:23 | -3 | 20 |
| 5 შალკე | 33 | 18 | 7 | 8 | 51:34 | 17 | 61 | 16 | 13 | 2 | 1 | 37:12 | 25 | 41 | 17 | 5 | 5 | 7 | 14:22 | -8 | 20 |
| 6 ვერდერი | 33 | 17 | 5 | 11 | 53:41 | 12 | 56 | 17 | 11 | 2 | 4 | 29:21 | 8 | 35 | 16 | 6 | 3 | 7 | 24:20 | 4 | 21 |
| 7 ლაუტერნი | 33 | 17 | 5 | 11 | 59:49 | 10 | 56 | 17 | 11 | 4 | 2 | 39:21 | 18 | 37 | 16 | 6 | 1 | 9 | 20:28 | -8 | 19 |
| 8 შტუტგარტი | 33 | 12 | 11 | 10 | 43:40 | 3 | 47 | 16 | 7 | 5 | 4 | 21:13 | 8 | 26 | 17 | 5 | 6 | 6 | 22:27 | -5 | 21 |
| 9 მიუნხენი | 33 | 14 | 5 | 14 | 55:57 | -2 | 47 | 17 | 8 | 3 | 6 | 31:33 | -2 | 27 | 16 | 6 | 2 | 8 | 24:24 | 0 | 20 |
| 10 ვოლფსბურგი | 33 | 12 | 7 | 14 | 55:48 | 7 | 43 | 17 | 9 | 3 | 5 | 34:18 | 16 | 30 | 16 | 3 | 4 | 9 | 21:30 | -9 | 13 |
| 11 ჰამბურგი | 33 | 10 | 10 | 13 | 48:53 | -5 | 40 | 17 | 7 | 6 | 4 | 35:25 | 10 | 27 | 16 | 3 | 4 | 9 | 13:28 | -15 | 13 |
| 12 გლადბახი | 33 | 9 | 12 | 12 | 39:49 | -10 | 39 | 16 | 6 | 5 | 5 | 19:17 | 2 | 23 | 17 | 3 | 7 | 7 | 20:32 | -12 | 16 |
| 13 კოტბუსი | 33 | 9 | 8 | 16 | 34:57 | -23 | 35 | 16 | 8 | 4 | 4 | 25:18 | 7 | 28 | 17 | 1 | 4 | 12 | 9:39 | -30 | 7 |
| 14 ჰანზა | 33 | 9 | 7 | 17 | 33:51 | -18 | 34 | 17 | 6 | 6 | 5 | 20:18 | 2 | 24 | 16 | 3 | 1 | 12 | 13:33 | -20 | 10 |
| 15 ნიურნბერგი | 33 | 9 | 4 | 20 | 31:55 | -24 | 31 | 17 | 7 | 3 | 7 | 21:23 | -2 | 24 | 16 | 2 | 1 | 13 | 10:32 | -22 | 7 |
| 16 ფრაიბურგი | 33 | 6 | 9 | 18 | 33:61 | -28 | 27 | 16 | 5 | 5 | 6 | 21:23 | -2 | 20 | 17 | 1 | 4 | 12 | 12:38 | -26 | 7 |
| 17 კიოლნი | 33 | 6 | 8 | 19 | 23:59 | -36 | 26 | 17 | 5 | 5 | 7 | 16:21 | -5 | 20 | 16 | 1 | 3 | 12 | 7:38 | -31 | 6 |
| 18 ზანქტ პაული | 33 | 4 | 10 | 19 | 35:67 | -32 | 22 | 16 | 4 | 4 | 8 | 17:25 | -8 | 16 | 17 | 0 | 6 | 11 | 18:42 | -24 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაქსი (მიუნხენი) | 18 |
| ამოროზო (დორტმუნდი) | 18 |
| აილტონი (ვერდერი) | 17 |
| ელბერი (ბაიერნი) | 16 |
| ბალაკი (ლევერკუზენი) | 15 |
| პიზარო (ბაიერნი) | 15 |
| კლოზე (კაიზერსლაუტერნი) | 15 |

**XXXIV ტური**
4 მაისი

| | | |
|---|---|---|
| გლადბახი | - | მიუნხენი |
| შალკე | - | ვოლფსბურგი |
| ლევერკუზენი | - | ჰერტა |
| ზანქტ პაული | - | ნიურნბერგი |
| დორტმუნდი | - | ვერდერი |
| ფრაიბურგი | - | ჰამბურგი |
| კოტბუსი | - | კიოლნი |
| შტუტგარტი | - | ლაუტერნი |
| ბაიერნი | - | ჰანზა |

### მეორე ბუნდესლიგა
### XXXIII ტური

**მაინცი 1:1 ფიურტი**
0:1 მესენმუტლი (49), 1:1 ტიურკი (64)
ფიურტი: რაიხოლდი, სურმანი, ბოი, მამიჩი, ჰილებრანდი, რაიხელი, დიასამიძე (ტიური 81), ბატისტა (დვორაკი 62), ამანატიდისი, კიოი, მესენმუტლი
მწვრთნელი: ბოიგენ ჰახი
მსაჯი: ვაინერი
15 500 მაყურებელი

**ალენი 0:1 აინტრახტი**
0:1 ჩენ-იანგი (83)

**ბაბელსბერგი 1:2 ზაარბრიუკენი**
0:1 კოვაჩი (39), 1:1 ბალუშინსკი (42), 1:2 მუტცელბერი (49)

**ბოხუმი 2:1 უნიონი**
1:0 ბაკლი (9), 1:1 დივაჩი (16), 2:1 ფარენჰორსტი (89)

**ჰანოვერი 4:1 დუისბურგი**
1:0 ნდიაიე (43), 2:0 კრისი (8), 3:0 შტენდელი (19), 4:0 ნდიაიე (45), 4:1 ებერსი (49)

**ვალდჰოფი 2:1 კარლსრუე**
1:0 ტრარესი (9პ), 2:0 ბუნდეა (64), 2:1 ფრიცი (72)

**ობერჰაუზენი 0:0 არმინია**

**როიტლინგენი 3:1 შვაინფურტი**
1:0 გარსია (4), 2:0 ფრომერი (28), 2:1 რეგელე (35პ), 3:1 ფრომერი (44)

**უნტერჰახინგი 2:0 ალემანია**
1:0 ზაიფერტი (32), 2:0 როსლერი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰანოვერი | 33 | 21 | 9 | 3 | 88:36 | 72 |
| მაინცი | 33 | 18 | 10 | 5 | 65:35 | 64 |
| არმინია | 33 | 18 | 8 | 7 | 65:37 | 62 |
| ბოხუმი | 33 | 18 | 8 | 7 | 66:48 | 62 |
| ფიურტი | 33 | 16 | 11 | 6 | 61:36 | 59 |
| უნიონი | 33 | 15 | 8 | 10 | 58:40 | 53 |
| აინტრახტი | 33 | 14 | 11 | 8 | 51:43 | 53 |
| ალენი | 33 | 14 | 6 | 13 | 59:67 | 48 |
| როიტლინგენი | 33 | 13 | 5 | 15 | 50:53 | 44 |
| დუისბურგი | 33 | 11 | 10 | 12 | 55:53 | 43 |
| ვალდჰოფი | 33 | 11 | 9 | 13 | 41:48 | 42 |
| ალემანია | 33 | 12 | 4 | 17 | 40:64 | 40 |
| ობერჰაუზენი | 33 | 10 | 9 | 14 | 51:48 | 39 |
| უნტერჰახინგი | 33 | 10 | 8 | 15 | 40:46 | 38 |
| კარლსრუე | 33 | 10 | 8 | 15 | 42:51 | 38 |
| შვაინფურტი | 33 | 6 | 6 | 21 | 30:69 | 24 |
| ზაარბრიუკენი | 33 | 5 | 7 | 21 | 26:71 | 22 |
| ბაბელსბერგი | 33 | 4 | 5 | 24 | 38:81 | 17 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
31-ე ტური: მაგდებურგი — ქემნიცი 0:0; ვერლი — დრეზდენი 4:2; ოსნაბრიუკი — იურდინგენი 2:0; ბრაუნშვაიგი — კილი 3:0; აპე — მიუნსტერი 3:0. ვატენშაიდი — ვერდერი (მ), დიუსელდორფი — ლიუბეკი დღეს გაიმართება, ლევერკუზენი (მ) — პადერბორნი და ესენი — ფორტუნა ხვალ გაიმართება

### სამხრეთ რეგიონალლიგა
31-ე ტური: ელვერსბერგი — ბურგჰაუზენი 1:1; ტრიერი — ერფურტი 2:3; ფულდა — ვეჰენი 2:2; [illegible] — ჰოფენჰაიმი 1:0; ოფენბახი — დარმშტადტი 1:0. ზიგენი — კაიზერსლაუტერნი (მ) დღეს გაიმართება, შტუტგარტი (მ) — აალენი 7 მაისს, მანჰაიმი — ანსბახი და რეგენსბურგი — ბაიერნი (მ) 8 მაისს გაიმართება



REUTERS სან სებასტიანიდან

სოსიედადი — რეალი. ბასკებმა ლუშ ფიგუ და მადრიდელები წამოაქციეს

# რეალს რა? წიხლის კვრა!

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. XXXVI ტური

**ვალენსია 2:1 ესპანიოლი**

0:1 ტამუდო (29პ), 1:1, 2:1 ბარახა (68, 79)

ვალენსია: კანისარესი, აიალა, ჯუკიჩი, კარბონი, ალბელდა, ბარახა, ვისენტე (კილი გონსალესი 66), რუფეტე, აიმარი, ანგულო (ფ. აურელიო 57), მისტა (ხუან სანჩესი 76)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ესპანიოლი: არგესო, როტჩენი, სოლდევილა, რიკარდო, ნავასი, ალექს ფერნანდესი, რობერი, პაულუ სოუზა (მორალესი 74), პაჩეკო (პალენსია 65), დე ლუკასი, ტამუდო

მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი

გაფრთხილება: აიალა, ალექს ფერნანდესი, როხერი, როტჩენი

გაძევება: კარბონი (30)

მსაჯი: მენდიზა კანტალეხო

50 000 მაყურებელი

**სოსიედადი 3:0 რეალი**

1:0 კოვაჩევიჩი (58პ), 2:0 ხოხლოვი (84), 3:0 დე პაულა (90)

სოსიედადი: ვესტერველდი, კვარმე, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ტაიფური, დე პედრო (არანბურუ 77), ხოხლოვი, ხაურეგი, იდიაკესი, კოვაჩევიჩი (დე პაულა 77)

მწვრთნელი: რობერტო ოლაბე

რეალი: სესარი, სალგადო (ჯერემი 54), რობერტო კარლოსი, კარანკა, ი. ელგერა, მაკელელე (სოლარი 71), ფ. კონსეისაო, მუნიტისი (სავიო 59), ზიდანი, რაული, ფიგუ

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფრთხილება: იდიაკესი, ხაბი ალონსო, სალგადო, მაკელელე

მსაჯი: პერეს პერესი

29 000 მაყურებელი

**ბარსელონა 4:1 ვილიარეალი**

0:1 ვიქტორი (16), 1:1 ლუის ენრიკე (54), 2:1 მოტა (55), 3:1 კლუივერტი (67), 4:1 სავიოლა (71)

ბარსელონა: ბონანო, ფ. დე ბური, კრისტენვალი, პუიოლი (ფერნანდო 77), ხავი, კოკუ, როჩემბაკი, ლუის ენრიკე (ჯოვანი 74), მოტა, კლუივერტი, სავიოლა

მწვრთნელი: კარლეს რექსაჩი

ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ხავი როჩა, ბალესტეროსი (გიარო 64), უნაი, გალკა, ამორი (გრასია 74), ხორხე ლოპესი, კალეხა, ვიქტორი (პალერმო 61)

მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

გაფრთხილება: ამორი, სავიოლა, კიკე ალვარესი, კოკუ, გრასია

მსაჯი: გონსალეს ვასკესი

40 000 მაყურებელი

**დეპორტივო 2:2 მალაგა**

0:1 დარიო სილვა (28), 1:1 ნაიბეტი (39), 2:1 ფრანი (77), 2:2 დელი ვალდესი (82პ)

დეპორტივო: მოლინა, რომერო, ნაიბეტი, ექტორი, მაურო სილვა, ფრანი, სკალონი, სერხიო (ტრისტანი 57), ვიქტორი (ემერსონი 71), ვალერონი (პანდიანი 90), მაკაი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

მალაგა: პედრო კონტრერასი, ბრავო, ვალკარსე, მიგელ ანხელი (ზარატე 72), ლარაინსარი, ხოსემი, მუსამბა (ლეკო 72), რომერო, ხერარდო, დელი ვალდესი (კანაბალი 90), დარიო სილვა

მწვრთნელი: ხოაკინ პერირო ლუკასი

გაფრთხილება: მიგელ ანხელი, სერხიო, ხოსემი, პედრო კონტრერასი, რომერო, სკალონი, ზარატე, ნაიბეტი, ნაიბეტი, ხერარდო

გაძევება: ნაიბეტი (86)

მსაჯი: ტელიეს სანჩესი

28 000 მაყურებელი

**სევილია 2:0 ალავესი**

1:0, 2:0 სალასი (43, 56)

სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დ. კასტედო, პაბლო ალფარო, ნიეგუსი, ფრანსისკო, ვ. სალასი (ალფონსო 89), ტომასი, კასკერო (ტორადო 87), გალიარდო, ტოედტლი (ოლივერა 79)

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

ალავესი: ერერა, კარმონა, ტელიესი, ლორენსი, იბონ ბეგონია (რუბენ ნავარო 46), ჯელი (მარა 57), პაბლო, კრუიფი, ასტუდილიო, ტურიელი, ივან ალონსო (დესიო 61)

მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო

გაფრთხილება: ტოედტლი, კარმონა, პაბლო ალფარო, პაბლო ალფარო, კასტედო

მსაჯი: პუენტეს ლეირა

40 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 4:2 ბილბაო**

1:0 პერაგონი (18), 2:0 ბოლიჩი (52), 2:1 ურუტია (59), 3:1 მიჩელი (63), 4:1 კორინო (79პ), 4:2 ესკურო (85)

რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, დე კინტანა (ფერონი 83), ალკასარი, ერნანდესი, კორინო, ივარ დორადო (ელდერი 67), მიჩელი, კვედო, პაბლო სანსი, პერაგონი, ბოლიჩი (ბოლო 67)

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

ბილბაო: არანსუბია, ალკორტა, კარლოს გარსია, დელ ჰორნო (ხავი გონსალესი 54), ანტორ ოკიო, მურილიო (ესკურო 63), ურუტია, იესტე, ალკისა (გერერო 74), ტიკო, ურსაისი

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: პერაგონი, ბოლიჩი, დე კინტანა

გაძევება: ერნანდესი (64), ურსაისი (64)

მსაჯი: ფერნანდეს მარინი

15 500 მაყურებელი

**სარაგოსა 0:1 სელტა**

0:1 ხესული (53)

სარაგოსა: ლაინესი, კუარტერო (გამელი 60), კომლიენოვიჩი, პაკო ხემესი, ესკერდინია, გარიტანო (კორონა 55), ხოსე იგნასიო, მარკოს ვალესი (ბილიჩი 74), აკუნია, ხუანელე, მილოშევიჩი

მწვრთნელი: მარკოს ალონსო

სელტა: კავალიერო, კასერესი, მენდესი, იაგო, ჯოვანელა, ვაკასი, მოსტოვოი (ველასკო 65), გუსტავო ლოპესი (ედუ 71), ხესული, ლუქსენი, კატანია (კოირა 89)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: ხუანელე, პაკო ხემესი, კავალიერო, ჯოვანელა, გუსტავო ლოპესი

მსაჯი: ლოსანტოს ომარი

34 000 მაყურებელი

**მალიორკა 1:3 ბეტისი**

0:1 ბენხამინი (9), 0:2 ჟოაუ ტომასი (52), 0:3 ამატო (80), 1:3 ლუკე (88)

მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, სივიერო, ოლაიზოლა, ნადალი, კამპანო (კარლოსი 63), იბაგასა (მიკი 26), რობლესი (პავუნოვიჩი 56), მარკოსი, ეტოო, ლუკე

მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი

ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ვარელა, ტაისი (კანიასი 56), ხუანიტო, რივასი, კაპი, იტო, დენილსონი, ბენხამინი (მერინო 71), ჟოაუ ტომასი (ამატო 79)

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: ოლაიზოლა, სივიერო, კაპი, კამპანო, კანიასი, კარლოსი

გაძევება: ლეო ფრანკო (24)

მსაჯი: კარმონა მენდესი

22 000 მაყურებელი

**ტენერიფე 1:5 ვალიადოლიდი**

0:1 ფერნანდო სალესი (12), 0:2, 0:3 ლუის გარსია (27, 73), 1:3 მარიონი (76), 1:4 ფერნანდო სალესი (84), 1:5 ჩემა (88)

ტენერიფე: ხულიო იგლესიასი, ალექსისი, ლუსენბოლი, მუსტაფა (ხაიმე 33), ხავი ვენტა, ბასავილბასო, ხორდი (რუბენი 40), მარტი, ბინუ, მარიონი, ხისკო (უგო მორალესი 52)

მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე

ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია, მარკოსი, გასპარი, მარიო, ტორეს გომესი, ხესუსი (რიკეტი 79), ფერნანდო სალესი, ფერნანდო, ტოტე (ჩემა 85), ლუის გარსია (ესებიო 75)

მწვრთნელი: პეპე მორე

გაფრთხილება: მარიონი, ხესუსი, უგო მორალესი, ფერნანდო სალესი

მსაჯი: ლოპეს ნიეტო

19 000 მაყურებელი

**ოსასუნა 3:2 ლას პალმასი**

0:1 პაბლო ლაგო (23), 1:1 ივან როსადო (35), 2:1 პუნიალი (45), 2:2 ტევენეტი (76პ), 3:2 პაბლო კონტრერასი (81)

ოსასუნა: უნსუე, იანგუსი, კრუჩაგა, ხოსეჩო, პაბლო კონტრერასი, ალფრედო, პუნიალი, ფერნანდო, განსედო, ლეკუმბერი (არმენტანო 10; ჩანო 83), ივან როსადო (ალოიზი 90)

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

ლას პალმასი: ო. კინტანა, ალვარო (ტევენეტი 64), სარასუა, შურერი, ანხელი, ალბერტო, სუმვისი, ედუ ალონსო, ხორხე (სოკორო 58), პაბლო ლაგო, ორლანდო (რუბენი 36)

მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი

გაფრთხილება: პუნიალი, სუმვისი, ფერნანდო, ხოსეჩო, სარასუა, ივან როსადო, იანგუსი, ალფრედო, საბინო, ედუ ალონსო

მსაჯი: მეია დავილა

18 389 მაყურებელი

**ამ უქმეებზე** ბარსელონას „კატალუნია მონტმელოზე" საშინელი სისწრაფით ჩაიქროლა ფორმულა 1-ის მორიგმა ეტაპმა, ხოლო მიხაელ შუმახერმა თითქმის წუთით ჩამოიტოვა დანარჩენები. „კატალუნია მონტმელოდან" რამდენიმე კილომეტრის დაშორებით კი, „კამპ ნოუზე" ერთ წუთში „ბარსელონამ" ორჯერ საგოლედ ჩაუქროლა „ვილიარეალს".

თუმცა თავიდან „ბარსელონას" შუმახერობისა არაფერი ეტყობოდა — მცველებმა ვერ ივარგეს და ვიქტორმა მე-16 წუთზე სტუმრები წინ გაიყვანა. პირველ ტაიმში საინტერესო მეტი არაფერი მომხდარა. აი, შესვენების მერე „ბარსელონას" მოტორი „ფერარივით" ამუშავდა და ლუის ენრიკესა და ტიაგო მოტას ზედიზედ გატანილი გოლები მოჰყვა. ამის მერე, რაკი თავი სამშვიდობოს დაიგულა, „ბარსამ" სიჩქარეს უკლო და ლაღი თამაშით ორი გოლიც მიამატა, რომელთა ავტორებიც პატრიკ კლუივერტი და ხავიერ სავიოლა გახდნენ.

გამოხდა ხანი, უფრო ზუსტად კი ერთი დღე და კატალონიელებს ხასიათი წაუხდათ — „სელტამ" სულელური გოლით სტუმრად „სარაგოსა" დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ თანაბარქულიანობისას ესპანეთში უპირატესობა ურთიერთშეხვედრებში უკეთეს შედეგს ენიჭება, რითაც გალისიელები კატალონიელებს სჯობნიან. გოლი კი ასე გავიდა: ხესულიმ კუთხურიდან ბურთი კარისკენ ჩააწვია, მეკარე სესარ ლაინესს ხელზე მოხვდა და ბადეში აფართხალდა.

ახლა კი ტურის მთავარი ამბები გავარჩიოთ, რაკილა მკითხველიც, ალბათ, უკვე გვსაყვედურობს, მოყოლა თავიდან უნდა დაიწყოო.

თავში (ამ შემთხვევაში ცხრილის თავში) კი გაირკვა, რომ „დეპორტივო" ოფიციალურად ჩამოშორდა საჩემპიონო რბოლას, ხოლო მადრიდის „რეალს" საამისოდ მიზერული შანსიღა შერჩა. სხვა სიტყვებით, „ვალენსია" ფაქტობრივად ესპანეთის ჩემპიონია, რაც 1971 წლის მერე არ ღირსებია (სხვათა შორის, მაშინ „ვალენსიამ" ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის წყალობით გაუსწრო თანაბარქულიან „ბარსელონას").

მაგრამ კაცი იმედი ცოცხლობსო და რობერტო კარლოსს მოვუსმინოთ: „ვალენსიას" ურთულესი მატჩები ელის „მალაგასთან" და „ბეტისთან" და ეგებ დამარცხდეს, ჩვენ კი ექვსი ქულის აღებას ვეცდებით".

ახლა ვითარება გავარჩიოთ. „ვალენსიას" და „რეალს" ურთიერთშეხვედრებში თანაფარდობა აქვთ და თუ სეზონიც ერთნაირი ქულებით ჩაამთავრეს, უკვე ბურთების შეფარდებას დაითვლიან. ამ მაჩვენებლით კი მადრიდელები სჯობნიან — რვა ბურთით მეტი აქვთ გატანილი. შესაბამისად, „რეალი" რომ გაჩემპიონდეს, ორივე თამაში უნდა მოიგოს, ხოლო „ვალენსიამ" ვერც ერთი, ანუ ორ ქულაზე მეტი ვერ დააგროვოს. ისე, რობერტო კარლოსისა არ იყოს, „ვალენსიას" მართლაც მძიმე მატჩები ელის — „მალაგა" უეფას თასზე გასასვლელად იბრძვის, „ბეტისი" კი ჩემპიონთა ლიგისთვის. თუმცა ცხადია, ორ ტურში ოთხქულიანი უპირატესობის გაფლანგვა მაინც ნაკლებ მოსალოდნელად მოჩანს.

არადა, „მესტალიაზე" მატჩი ისე დაიწყო, „რეალი" უკეთესს ვერც ინატრებდა. 29-ე წუთზე ესპანიოლელმა რაულ ტამუდომ სანტიაგო კანისარესს პენალტი გაუტანა, ხოლო ერთ წუთში ამადეო კარბონიმ კიკე დე ლუკასს სახეში იდაყვი ჩასცხო, რისთვისაც გააძევეს. მაგრამ „ვალენსიას" 1971 წელი ახსოვდა, უკან დასახევი გზა არ ჰქონდა და რამდენიმე ისეთი მომენტი გააფუჭა, ვერც გატანა გეჯერა ადვილი რომ იყო. და მაინც [illegible] გატყდა, რუბენ ბარახამ „ესპანიოლს" ორი ბურთი გაუტანა და „სოსიედადი" — „რეალის" მატჩის შედეგის გათვალისწინებით „მესტალიას" ისეთი ჟრიამული აატეხინა, თითქოს „ვალენსია" უკვე გამხდარიყო ჩემპიონი.

სან სებასტიანში აღარაფერი დარჩენილიყო „ბაიერნისა" და „ბარსელონას" მძლეველი „რეალისგან". დედაქალაქელებს პირველ ტაიმში კი ჰქონდათ უპირატესობა, რომელიც შესვენების მერე სამი გაშვებული გოლით გაქრა. ასე რომ, საუკუნოვან იუბილეზე „რეალი", მგონი...

ხოლო „დეპორტივოს" ჩემპიონად გახდომის ისედაც მცირე შანსი მალაგელი დელი ვალდესის გვიანმა პენალტმა საბოლოოდ დაუკარგა.

ცხრილის ბოლოში კი არაფერი გარკვეულა — სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ერთი გავარდნილის ვინაობაც არ არის ცნობილი.

და კიდევ, „ვალენსიასა" და „ბარსელონას" მატჩების ტაიმბოლებზე რომ ჩასულიყავით ფსონს, ყოველი ლარი ცხრაასად გექცეოდათ.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | | | | | | | |
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვალენსია | 36 | 19 | 12 | 5 | 47:27 | 20 | 69 |
| 2 | რეალი | 36 | 19 | 8 | 9 | 69:41 | 28 | 65 |
| 3 | დეპორტივო | 36 | 18 | 8 | 10 | 59:41 | 18 | 62 |
| 4 | სელტა | 36 | 16 | 12 | 8 | 63:43 | 20 | 60 |
| 5 | ბარსელონა | 36 | 17 | 9 | 10 | 62:36 | 26 | 60 |
| 6 | ბეტისი | 36 | 15 | 14 | 7 | 42:29 | 13 | 59 |
| 7 | ალავესი | 36 | 16 | 3 | 17 | 40:43 | -3 | 51 |
| 8 | მალაგა | 36 | 12 | 14 | 10 | 42:41 | 1 | 50 |
| 9 | ბილბაო | 36 | 13 | 10 | 13 | 50:63 | -13 | 49 |
| 10 | ვალიადოლიდი | 36 | 13 | 9 | 14 | 43:53 | -10 | 48 |
| 11 | სევილია | 36 | 12 | 11 | 13 | 48:39 | 9 | 47 |
| 12 | ესპანიოლი | 36 | 13 | 8 | 15 | 46:52 | -6 | 47 |
| 13 | სოსიედადი | 36 | 12 | 7 | 17 | 44:52 | -8 | 43 |
| 14 | რაიო ვალეკანო | 36 | 11 | 10 | 15 | 44:52 | -8 | 43 |
| 15 | ოსასუნა | 36 | 10 | 11 | 15 | 35:47 | -12 | 41 |
| 16 | ვილიარეალი | 36 | 10 | 10 | 16 | 44:53 | -9 | 40 |
| 17 | ლას პალმასი | 36 | 9 | 12 | 15 | 39:48 | -9 | 39 |
| 18 | მალიორკა | 36 | 10 | 9 | 17 | 38:51 | -13 | 39 |
| 19 | სარაგოსა | 36 | 9 | 9 | 18 | 33:51 | -18 | 36 |
| 20 | ტენერიფე | 36 | 9 | 8 | 19 | 29:55 | -26 | 35 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შინ | | | | | | |
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | 18 | 13 | 4 | 1 | 26:8 | 18 | 43 |
| 2 | 18 | 14 | 4 | 0 | 48:14 | 34 | 46 |
| 3 | 18 | 12 | 4 | 2 | 37:13 | 24 | 40 |
| 4 | 18 | 10 | 5 | 3 | 35:19 | 16 | 35 |
| 5 | 18 | 11 | 5 | 2 | 42:17 | 25 | 38 |
| 6 | 18 | 11 | 5 | 2 | 26:10 | 16 | 38 |
| 7 | 18 | 10 | 1 | 7 | 22:20 | 2 | 31 |
| 8 | 18 | 8 | 7 | 3 | 24:18 | 6 | 31 |
| 9 | 18 | 6 | 6 | 6 | 22:28 | -6 | 24 |
| 10 | 18 | 9 | 4 | 5 | 23:17 | 6 | 31 |
| 11 | 18 | 6 | 6 | 6 | 25:18 | 7 | 24 |
| 12 | 18 | 12 | 2 | 4 | 33:18 | 15 | 38 |
| 13 | 18 | 8 | 5 | 5 | 30:21 | 9 | 29 |
| 14 | 18 | 10 | 3 | 5 | 26:19 | 7 | 33 |
| 15 | 18 | 6 | 6 | 6 | 19:20 | -1 | 24 |
| 16 | 18 | 8 | 6 | 4 | 28:20 | 8 | 30 |
| 17 | 18 | 7 | 8 | 3 | 23:16 | 7 | 29 |
| 18 | 18 | 6 | 5 | 7 | 22:22 | 0 | 23 |
| 19 | 18 | 6 | 6 | 6 | 20:22 | -2 | 24 |
| 20 | 18 | 6 | 5 | 7 | 19:27 | -8 | 23 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სტუმრად | | | | | | |
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | 18 | 6 | 8 | 4 | 21:19 | 2 | 26 |
| 2 | 18 | 5 | 4 | 9 | 21:27 | -6 | 19 |
| 3 | 18 | 6 | 4 | 8 | 22:28 | -6 | 22 |
| 4 | 18 | 6 | 7 | 5 | 28:24 | 4 | 25 |
| 5 | 18 | 6 | 4 | 8 | 20:19 | 1 | 22 |
| 6 | 18 | 4 | 9 | 5 | 16:19 | -3 | 21 |
| 7 | 18 | 6 | 2 | 10 | 18:23 | -5 | 20 |
| 8 | 18 | 4 | 7 | 7 | 18:23 | -5 | 19 |
| 9 | 18 | 7 | 4 | 7 | 28:35 | -7 | 25 |
| 10 | 18 | 4 | 5 | 9 | 20:36 | -16 | 17 |
| 11 | 18 | 6 | 5 | 7 | 23:21 | 2 | 23 |
| 12 | 18 | 1 | 6 | 11 | 13:34 | -21 | 9 |
| 13 | 18 | 4 | 2 | 12 | 14:31 | -17 | 14 |
| 14 | 18 | 1 | 7 | 10 | 18:33 | -15 | 10 |
| 15 | 18 | 4 | 5 | 9 | 16:27 | -11 | 17 |
| 16 | 18 | 2 | 4 | 12 | 16:33 | -17 | 10 |
| 17 | 18 | 2 | 4 | 12 | 16:32 | -16 | 10 |
| 18 | 18 | 4 | 4 | 10 | 16:29 | -13 | 16 |
| 19 | 18 | 3 | 3 | 12 | 13:29 | -16 | 12 |
| 20 | 18 | 3 | 3 | 12 | 10:28 | -18 | 12 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტრისტანი (დეპორტივო) | 19 |
| მორიენტესი (რეალი) | 18 |
| კატანია (სელტა) | 17 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 17 |
| სავიოლა (ბარსელონა) | 16 |
| ტამუდო (ესპანიოლი) | 16 |

### XXXVII ტური

5 მაისი

ბარსელონა - ესპანიოლი
ვილიარეალი - სარაგოსა
სელტა - სევილია
ალავესი - რაიო ვალეკანო
ბილბაო - ოსასუნა
ლას პალმასი - ტენერიფე
რეალი - მალიორკა
ვალიადოლიდი - სოსიედადი
ბეტისი - დეპორტივო
მალაგა - ვალენსია

## მეორე დივიზიონი

### XXXVIII ტური

**ელჩე 0:0 ესტრემადურა**

**ატლეტიკო 3:3 ხიმნასტიკი**

0:1 ალბერტ ტომასი (10), 1:1, 2:1 დიეგო ალონსო (17, 70), 2:2 კუელიარი (74), 3:2 კორეა (81), 3:3 კუელიარი (90)

**პოლი ეხიდო 1:1 ხერესი**

0:1 ანტონიო (37), 1:1 არპონი (68)

**კორდობა 0:4 რასინგი**

0:1 ბოდიპო (36), 0:2, 0:3 გერერო (48, 61პ), 0:4 ხულიო ალვარესი (89)

**უელვა 1:2 ლეგანესი**

1:0 რაულ მოლინა (3), 1:1 ფედე მარინი (50), 1:2 დარმონი (75)

**სალამანკა 0:1 ლევანტე**

0:1 ხავი პენია (90)

**ბადახოსი 0:1 ეიბარი**

0:1 კორტინა (69)

**ნუმანსია 1:0 ხაენი**

1:0 სუფო (52)

**ალბასეტე 2:1 ბურგოსი**

1:0 პადილია (45), 1:1 პენდინი (63), 2:1 მიკელი (66)

**მურსია 1:1 ოვიედო**

1:0 აგილარი (45პ), 1:1 ხავი პარედესი (46)

**სპორტინგი 5:3 ფეროლი**

1:0 ვილა (10), 1:1 დიავარა (20), 2:1 იაკობი (28ს.კ.), 3:1 სოტო (43), 4:1 დორადო (45), 4:2 გროზდიჩი (53), 4:3 რედონდო (68), 5:3 ისმაელი (71)

**მადრიდის** „ატლეტიკო" სეზონის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე მეოთხეადგილოსან „ულვასგან" დაუწეველი შეიქნა, რაც მადრიდელთა პრიმერადივიზიონში დაბრუნებას ნიშნავს.

„ატლეტიკო" შაბათს „ხიმნასტიკ ტარაგონას" მასპინძლობდა და მოგების შემთხვევაში, სხვა მატჩების შედეგების გაუთვალისწინებლად აღზევდებოდა უმაღლეს დივიზიონში, მაგრამ ბოლო წუთზე გაშვებულმა გოლმა მადრიდელთა ზეიმი ერთი დღით გადადო. კვირას კი მადრიდულმავე „ლეგანესმა" სტუმრად დასცა „უელვა" და ატლეტიკოელთა საქმეც გააკეთა.

ხოლო გავარდნილი, პრიმერადივიზიონის მსგავსად, სეგუნდაშიც ჯერ არავინაა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 38 | 21 | 9 | 8 | 61:38 | 72 |
| რასინგი | 38 | 18 | 12 | 8 | 57:36 | 66 |
| ხერესი | 38 | 18 | 9 | 11 | 38:35 | 63 |
| უელვა | 38 | 15 | 15 | 8 | 41:31 | 60 |
| ვიედო | 38 | 13 | 19 | 6 | 38:30 | 58 |
| ელჩე | 38 | 15 | 12 | 11 | 49:39 | 57 |
| სპორტინგი | 38 | 14 | 13 | 11 | 50:44 | 55 |
| ალბასეტე | 38 | 15 | 10 | 13 | 42:36 | 55 |
| ბურგოსი | 38 | 12 | 15 | 11 | 30:32 | 51 |
| ეიბარი | 38 | 12 | 14 | 12 | 37:26 | 50 |
| სალამანკა | 38 | 12 | 14 | 12 | 46:47 | 50 |
| ლეგანესი | 38 | 12 | 14 | 12 | 36:39 | 50 |
| ფეროლი | 38 | 14 | 7 | 17 | 54:55 | 49 |
| კორდობა | 38 | 12 | 10 | 16 | 41:47 | 46 |
| ბადახოსი | 38 | 13 | 7 | 18 | 37:47 | 46 |
| ნუმანსია | 38 | 11 | 12 | 15 | 39:49 | 45 |
| ლევანტე | 38 | 10 | 14 | 14 | 38:51 | 44 |
| მურსია | 38 | 9 | 15 | 14 | 31:38 | 42 |
| ესტრემადურა | 38 | 10 | 12 | 16 | 33:41 | 42 |
| პოლი ეხიდო | 38 | 10 | 12 | 16 | 34:44 | 42 |
| ხიმნასტიკი | 38 | 9 | 12 | 17 | 36:45 | 39 |
| ხაენი | 38 | 10 | 9 | 19 | 28:46 | 39 |

# იტალია

## სერია A. XXXIII ტური

### ვერონა 1:2 მილანი

1:0 მუტუ (28), 1:1 ინძაგი (65), 1:2 პირლო (82)
სერჯინიომ ვერ გაიტანა პენალტი (48, ძელი)
ვერონა: ფერონი, დაინელი, ძანჩი, მ. კანავარო, კასეტი, იტალიანო (მაცოლა 78), ლ. კოლუჩი, სერიჩი (ადაილტონი 90), კამორანეზი, მუტუ, ფრიკი (მ. კოსატო 68)
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
მილანი: აბიატი, შამოტი, ლაურსენი (ჰელვეგი 34; ხოსე მარი 81), მალდინი, კალაძე, გატუზო (კონტრა 57), ამბროზინი, სერჯინიო, პირლო, შევჩენკო, ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კამორანეზი, მუტუ, პირლო, სერიჩი, კონტრა, ჰელვეგი
მსაჯი: ფარინა
22 314 მაყურებელი

### ინტერი 3:1 პიაჩენცა

1:0 კორდობა (7), 1:1 მატუზალემი (36), 2:1 რეკობა (70), 3:1 რონალდო (80)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, სორონდო, გრეშკო (გეორგატოსი 89), ზეედორფი (ს. კონსეისაუ 67), დი ბიაჯო, კ. ძანეტი, რეკობა, რონალდო (კალონი 82), ვიერი
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
პიაჩენცა: ორლანდონი, საკეტი, კარდონე, ლამაკი (ა. ლუკარელი 89), ტოსტო, სომეზე, ვოლპი (სტატუტო 82), მატუზალემი, დი ფრანჩესკო, ჰუბნერი, გაუტიერი (მოჯი 81)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კორდობა, სომეზე, ჰუბნერი, საკეტი, სომეზე, გრეშკო
გაძევება: სომეზე (69), მატუზალემი (80)
მსაჯი: ბორიელო
80 000 მაყურებელი

### იუვენტუსი 5:0 ბრეშა

1:0 ტრეზეგე (8), 2:0 დელ პიერო (71), 3:0 ტრეზეგე (75), 4:0 დელ პიერო (80), 5:0 ტრეზეგე (90)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, იულიანო, მონტერო, ტაკინარდი (ტუდორი 78), დავიდსი (პარამატი 80), ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე, ზალაიეტა (ძამბროტა 46)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ბრეშა: კასტელაცი, ბონერა, კალორი, მანგონე, სუსი, ბინოტო, ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი (რ. ბაჯო 66), გვარდიოლა (ილანა 54), ბაკინი, ტონი (ტარე 75)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ბონერა, მონტერო, ტუდორი, ბონერა, კალორი, სუსი, ა. ფილიპინი
გაძევება: კარლო მაცონე (8, „ბრეშას“ მწვრთნელი), ბონერა (60)
მსაჯი: რაკალბუტო
50 000 მაყურებელი

### რომა 5:0 კიევო

1:0, 2:0, 3:0 მონტელა (25, 34, 51პ), 4:0 ემერსონი (74), 5:0 კასანო (82)
რომა: ანტონიოლი, პანუჩი (ძებინა 72), ვ. სამუელი, ალდაირი (სივილია 87), კაფუ, ტომაზი, ემერსონი, ფ. ლიმა, ბატისტუტა, დელვეკიო, მონტელა (ა. კასანო 77)
მწვრთნელი: იტალო გალბიატი (თანაშემწე)
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, დანა, ლეგროტალიე, ს. ლანა, ერიბერტო, კორინი (ლორენცი 52), პეროტა (ბარონე 33), ფრანჩესკინი (კ. მარენდინი 46), მარაცინა, კორადი
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: პეროტა, ერიბერტო, ლიმა
მსაჯი: კოლინა
75 000 მაყურებელი

### ბოლონია 2:0 ლაციო

1:0 სინიორი (60), 2:0 ბეკა (88)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ფრეზი, მ. კასტელინი, ბრიგა, ბეკა, ოლივე, ტარანტინო, ძაული (გამბერინი 71), სინიორი (ბრიოსკი 79), ხ. კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა, ფ. კოუტუ, ფავალი, კასტრომანი (პობორსკი 27), ლივერანი (სიმეონე 46), ჟანიკედა, დ. სტანკოვიჩი, ფიორე (კ. ლოპესი 69), კრესპო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ლივერანი, პალიუკა, სიმეონე, ოლივე, პანკარო, კოუტუ, ნესტა
გაძევება: ფალკონე (70)
მსაჯი: ტრენტი
28 000 მაყურებელი

# სამი გამარჯვება სრულ ბედნიერებამდე



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — ბრეშა. დავიდ ტრეზეგემ სტუმრებს ჰეთ თრიქი უთავაზა

### ატალანტა 2:1 პერუჯა

0:1 ტედესკო (16), 1:1 ბერეტა (36), 2:1 ძაური (68)
ატალანტა: ტაიბი, პაგანინი, კარერა, სალა (ნატალი 45), ფოლიო, დ. ძენონი (ბელინი 45), ბერეტა, ძაური, დონი, როსინი, პინარდი (დაბო 73)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
პერუჯა: ო. კორდობა, რეზაეი, დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო (გატი 24), ბლაზი (ბერეტონი 69), ბაიოკო, გროსო, ბაცანი (ფუზანი 54), ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: მილანეზე, დი ლორეტო
მსაჯი: როდომონტი
15 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 1:2 პარმა

1:0 ადრიანო (4), 1:1, 1:2 დი ვაიო (81, 90)
ფიორენტინა: მ. კასანო, ადანი, პიერინი, მორეტი (ფედელი 69), ტორიჩელი, დი ლივიო, ჯ. ამორუზო, პალომბო, ტაროცი (აგოსტინი 61), ადრიანო, მიატოვიჩი (ე. გონსალესი 65)
მწვრთნელი: ლუჩანო კიარუჯი
პარმა: ს. ფრეი, სარტორი, ბოგოსიანი (მარკიონი 65), ბენარივო, დიანა, აპია (მიკუ 46), ლამუში, ჟუნიორი, ნაკატა, დი ვაიო, შუქური (ბონაცოლი 46)
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
მსაჯი: მესინა
5 000 მაყურებელი

### ლეჩე 1:2 უდინეზე

0:1 დი მიკელე (10), 1:1 ჯაკომაცი (69), 1:2 დი მიკელე (90პ)
ლეჩე: ფრეცოლინი, სავინო, სტოვინი (ჯორჯეტი 76), სილვესტრი, ტონეტო, პიანჯერელი, კონტიკო, ჟუარესი, ჯაკომაცი, ჩევანტონი (ცომერონტიჩი 64), ვუცინიჩი
მწვრთნელი: დელიო როსი
უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, ძამბონი, თ. მანფრედინი, მარტინესი, პინცი, მარკოს პაულუ, პინედა, ალმირონი (ნომვეტე 73), სოზა, დი მიკელე
მწვრთნელი: ჯამპიერო ვენტურა
მსაჯი: საკანი
11 000 მაყურებელი

### ვენეცია 1:1 ტორინო

1:0 მანიერო (73), 1:1 გალანტე (90)
ფერანტემ ვერ გაიტანა პენალტები (53, ძელი; 88, მეკარე)
ვენეცია: ჯ. როსი, პავანი (ბალეელო 73), ბილიკა, ცვიტანოვიჩი, ბრესანი, მარასკო, მ. ვარსია, ბეტარინი, მაგალიანესი (რუკავინა 64), დე ფრანჩესკო (ვანუკი 59), მანიერო
მწვრთნელი: ალფრედო მანი
ტორინო: სორენტინო, ლ. გარსია, ფატორი (მარტინელი 81), გალანტე, კომოტო, ასტა, ვერგასოლა, სკარკილი (მასპერო 55), მ. კასტელინი (კალიარელა 71), ფერანტე, ფრანკო
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: ფატორი, რუკავინა, ვერგასოლა, კომოტო
მსაჯი: დატილო
6 908 მაყურებელი

სკუდეტოს სამივე მაძიებელი მოწინააღმდეგეს რომ დაეძგერა, ბდღვირი ადინა. ყველაზე მეტად კიდევ „ინტერს“ გაუჭირდა, თორემ „იუვენტუსმა“ და „რომამ“ 5:0 მოიგეს.

„ინტერმა“ ბოლოს გაილაღა, თორემ დასაწყისში „პიაჩენცასგან“ გვარიან წინაალმდეგობას წააწყდა. მართალია, ანგარიში გახსნა — ივან კორდობამ იყოჩაღა — მაგრამ ბრაზილიელმა და სილვა მატუზალემმა გაუთანაბრა. თუმცა მოგვიანებით, როგორც მოგახსენეთ, ალვარო რეკობამ და რონალდომ თითო გაიტანეს და შედეგად, „შავ-ლურჯები“ ჩემპიონატის ბოლო ტურს ცხრილის სათავეში ხვდებიან.

კაცმა რომ თქვას, „ინტერს“ ამოცანა პიაჩენცელების, ვინჩენცო სომეზესა და ზემოხსენებული მატუზალემის გაძევებამაც ძალიან გაუადვილა.

ტურინში, „იუვენტუსმაც“ თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა, ოღონდ „ინტერისგან“ განსხვავებით აღარ გაუშვია, პირიქით, მიაყოლა და მიაყოლა. პირველი გოლი დელ პიეროს კუთხურიდან ტრეზეგეს თავურს მოჰყვა, რის მერეც „ბრეშას“ ნერვიული მწვრთნელი კარლო მაცონე მსაჯმა სალვატორე რაკალბუტომ სათადარიგოთა სკამიდან გააძევა. გავიდა დრო და რაკალბუტომ წითელი ბარათი ბრეშელ მცველს, დანიელე ბონერასაც აუფრიალა, რასაც დელ პიეროსა და ტრეზეგეს კიდევ ოთხი გოლი მოჰყვა, რომელთაგან ორი დელ პიეროსი გახლდათ, ფრანგმა თავდამსხმელმა კი ჯამში ჰეთ თრიქი მიითვალა და სეზონში უკვე 23 დაუგროვდა.

ხოლო რომში „რომა“ მეოთხე ადგილზე გასვლის მსურველ „კიევოს“ ებდღვნა და გაბდღვნა კიდეც. ხუთიდან სამი გოლი ვინჩენცო მონტელამ გაიტანა, თითო ბრაზილიელმა ემერსონმა და ანტონიო კასანომ. ისე, პირველ ტაიმში მონტელამ კიდევ გაიტანა ერთი, ოღონდ ამ ეპიზოდში ბურთმა კარის ხაზი რომ გადაკვეთა, ვერც თანამსაჯმა შენიშნა და ვერც პიერლუიჯი კოლინამ.

ტურის დამთავრების შემდეგ „ინტერის“ არგენტინელმა თავკაცმა, ექტორ რაულ კუპერმა გვარიანი იუმორის გრძნობა გამოამჟღავნა: „იმედი მაქვს, ბოლო ტურში სამივენი გავიმარჯვებთ და ბედნიერები ვიქნებით“.

„რომას“ პრესკონფერენციაზე დისკვალიფიცირებული ფაბიო კაპელოს ასისტენტი იტალო გალბიატი წარმოადგენდა: „ერთადერთი, რაც დაგვრჩენია ის არის, რომ ბოლო ტურში დღევანდელივით ვითამაშოთ, დღეს კი, უნდა გითხრათ, რომ ბრწყინვალენი ვიყავით. მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერი ჩვენს მოწინააღმდეგეთა ხელშია“.

ჯერ კიდევ ჩემპიონთა პრეზიდენტმა, ფრანკო სენსიმ კი სხვაგვარად თქვა: „ფაქტია, სკუდეტო დავკარგეთ და ეს იმ ათ სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაში მოხდა, გამარჯვება რომ ვერ შევძელით. გულდასაწყვეტია, მით უფრო, რომ ჯამში მაინც კარგად ვითამაშეთ და კონკურენციაც გვარიანი გავწიეთ“.

„იუვენტუსის“ მწვრთნელი მარჩელო ლიპი: „როგორც ადრე ვთქვი, ბოლომდე კარგად უნდა ვითამაშოთ, ეს არის და ეს. დავიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდება“.

მაგრამ მოგეხსენებათ, სკუდეტოსთვის ბრძოლის გარდა დიდ ინტერესს მეოთხე, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი კიდევ ერთი ადგილისთვის ატეხილი ამბავიც იწვევს. აქაურ კონკურენტთა შორის, როგორც მოგახსენეთ, „კიევო“ გაიჭყლიტა, ტურინში 0:5 წააგო. სხვა კი ის იყო, რომ „ბოლონიამ“ „ლაციოს“ სძლია 2:0 და ვინაიდან, ვერონაში „მილანმა“ [illegible] ტურის წინ [illegible] ლიან [illegible].

„ფიორენტინა“ მართალია, უკვე გავარდნილი იყო, მაგრამ „პარმასთან“ შეხვედრაში თავიდან იყოჩაღა და მეოთხე წუთზევე გახსნა ანგარიში — გოლი „ინტერიდან“ ნასესხებმა ბრაზილიელმა ადრიანომ შეაგდო — თუმცა მერე სტუმართა მოტივაციამ თავისი გაიტანა და მარკო დი ვაიოს ორი მიზნიანი დარტყმით (დი ვაიოს 19 გოლი აქვს შეგდებული) სერია A-ში შეინარჩუნა ადგილი.

მე-17 გოლი შეაგდო გავარდნილმა ვენეციელმა ფილიპო მანიერომ, მაგრამ „ტორინოსთან“ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ გამოდგა, რადგან ტურინელმა მცველმა ფაბიო გალანტემ ანგარიში გაქვითა.

სერია A-ში დარჩა „უდინეზეც“, რომელმაც დავიდე დი მიკელეს ფეხით „ლეჩეს“ ორი გოლი შეუგდო და მართალია, პასუხად ურუგვაელი გილერმო ჯაკომაცისგან ერთი მიიღო, 40 ქულა დააგროვა. ახლა იკითხავთ, უდინელებმა ბოლო ტურში რომ წააგონ, „ვერონამ“ ფრედ ითამაშოს, „ბრეშამ“ კი მოიგოს, სამივეს ხომ 40 ქულა ექნება და „უდინეზეს“ დარჩენას გადაჭრით რატომ ამბობთო. გიპასუხებთ: „უდინეზეს“ ორივე კონკურენტთან პირად შეხვედრებში აქვს უკეთესი ბალანსი.

ბაჩუნა ძიძია

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ინტერი | 33 | 20 | 9 | 4 | 60:31 | 29 | 69 | 17 | 11 | 3 | 3 | 33:17 | 16 | 36 | 16 | 9 | 6 | 1 | 27:14 | 13 | 33 |
| 2 იუვენტუსი | 33 | 19 | 11 | 3 | 62:23 | 39 | 68 | 17 | 13 | 3 | 1 | 38:11 | 27 | 42 | 16 | 6 | 8 | 2 | 24:12 | 12 | 26 |
| 3 რომა | 33 | 18 | 13 | 2 | 57:24 | 33 | 67 | 17 | 13 | 4 | 0 | 33:8 | 25 | 43 | 16 | 5 | 9 | 2 | 24:16 | 8 | 24 |
| 4 მილანი | 33 | 13 | 13 | 7 | 44:33 | 11 | 52 | 16 | 6 | 8 | 2 | 22:14 | 8 | 26 | 17 | 7 | 5 | 5 | 22:19 | 3 | 26 |
| 5 ბოლონია | 33 | 15 | 7 | 11 | 40:37 | 3 | 52 | 17 | 12 | 2 | 3 | 28:17 | 11 | 38 | 16 | 3 | 5 | 8 | 12:20 | -8 | 14 |
| 6 კიევო | 33 | 13 | 12 | 8 | 55:51 | 4 | 51 | 16 | 8 | 5 | 3 | 28:20 | 8 | 29 | 17 | 5 | 7 | 5 | 27:31 | -4 | 22 |
| 7 ლაციო | 33 | 13 | 11 | 9 | 46:35 | 11 | 50 | 16 | 9 | 6 | 1 | 34:16 | 18 | 33 | 17 | 4 | 5 | 8 | 12:19 | -7 | 17 |
| 8 ატალანტა | 33 | 12 | 9 | 12 | 40:48 | -8 | 45 | 17 | 6 | 6 | 5 | 22:23 | -1 | 24 | 16 | 6 | 3 | 7 | 18:25 | -7 | 21 |
| 9 ტორინო | 33 | 10 | 13 | 10 | 37:38 | -1 | 43 | 16 | 7 | 5 | 4 | 23:17 | 6 | 26 | 17 | 3 | 8 | 6 | 14:21 | -7 | 17 |
| 10 პერუჯა | 33 | 12 | 7 | 14 | 36:46 | -10 | 43 | 16 | 9 | 4 | 3 | 22:15 | 7 | 31 | 17 | 3 | 3 | 11 | 14:31 | -17 | 12 |
| 11 პარმა | 33 | 11 | 8 | 14 | 41:46 | -5 | 41 | 16 | 7 | 6 | 3 | 20:14 | 6 | 27 | 17 | 4 | 2 | 11 | 21:32 | -11 | 14 |
| 12 უდინეზე | 33 | 11 | 7 | 15 | 41:50 | -9 | 40 | 16 | 4 | 5 | 7 | 19:24 | -5 | 17 | 17 | 7 | 2 | 8 | 22:26 | -4 | 23 |
| 13 პიაჩენცა | 33 | 10 | 9 | 14 | 46:43 | 3 | 39 | 16 | 7 | 1 | 8 | 27:18 | 9 | 22 | 17 | 3 | 8 | 6 | 19:25 | -6 | 17 |
| 14 ვერონა | 33 | 11 | 6 | 16 | 41:50 | -9 | 39 | 17 | 9 | 3 | 5 | 23:18 | 5 | 30 | 16 | 2 | 3 | 11 | 18:32 | -14 | 9 |
| 15 ბრეშა | 33 | 8 | 13 | 12 | 40:52 | -12 | 37 | 16 | 4 | 8 | 4 | 25:26 | -1 | 20 | 17 | 4 | 5 | 8 | 15:26 | -11 | 17 |
| 16 ლეჩე | 33 | 6 | 10 | 17 | 36:53 | -17 | 28 | 17 | 3 | 6 | 8 | 19:24 | -5 | 15 | 16 | 3 | 4 | 9 | 17:29 | -12 | 13 |
| 17 ფიორენტინა | 33 | 5 | 7 | 21 | 29:61 | -32 | 22 | 17 | 3 | 6 | 8 | 16:23 | -7 | 15 | 16 | 2 | 1 | 13 | 13:38 | -25 | 7 |
| 18 ვენეცია | 33 | 3 | 9 | 21 | 29:59 | -30 | 18 | 17 | 2 | 6 | 9 | 17:26 | -9 | 12 | 16 | 1 | 3 | 12 | 12:33 | -21 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 23 |
| ჰუბნერი (პიაჩენცა) | 22 |
| ვიერი (ინტერი) | 21 |
| დი ვაიო (პარმა) | 19 |
| მანიერო (ვენეცია) | 17 |
| დონი (ატალანტა) | 16 |

### XXXIV ტური

5 მაისი

კიევო - ატალანტა
ბრეშა - ბოლონია
პერუჯა - ფიორენტინა
ლაციო - ინტერი
უდინეზე - იუვენტუსი
მილანი - ლეჩე
ტორინო - რომა
პარმა - ვენეცია
პიაჩენცა - ვერონა

## სერია B

### XXXIII ტური

**ვიჩენცა 3:1 სალერნიტანა**
1:0 კრისტალინი (11), 2:0 სგრინა (43), 3:0 შვოკი (73), 3:1 არკადიო (89პ)

**ანკონა 0:1 კალიარი**
0:1 კამარატა (69)

**კომო 2:0 ბარი**
1:0, 2:0 ოლივეირა (15, 56)

**კოზენცა 1:0 კროტონე**
1:0 ძანოლო (6)

**ჯენოა 1:0 პალერმო**
1:0 კარპარელი (90)

**მესინა 1:1 პისტოიეზე**
1:0 იანუცი (37), 1:1 მუსლიმოვიჩი (69)

**მოდენა 2:0 სამპდორია**
1:0 ფერარი (37), 2:0 ფაბრინი (78)

**ნაპოლი 1:1 რეჯინა**
0:1 სავოლდი (5), 1:1 ვიდიგალი (42)

**ტერნანა 2:1 ჩიტადელა**
1:0 ბრევი (49), 1:1 სტურბა (80), 2:1 მიკოლი (90)

**სიენა — იმპოლი**
წუთელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-16 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოდენა | 33 | 18 | 10 | 5 | 50:18 | 64 |
| კომო | 33 | 18 | 8 | 7 | 43:29 | 62 |
| ემპოლი | 32 | 17 | 9 | 6 | 53:27 | 60 |
| რეჯინა | 33 | 16 | 10 | 7 | 43:29 | 58 |
| ნაპოლი | 33 | 15 | 11 | 7 | 41:32 | 56 |
| სალერნიტანა | 33 | 14 | 9 | 10 | 51:48 | 51 |
| ვიჩენცა | 33 | 12 | 11 | 10 | 47:44 | 47 |
| პალერმო | 33 | 12 | 9 | 12 | 40:45 | 45 |
| ჯენოა | 33 | 10 | 14 | 9 | 35:30 | 44 |
| ბარი | 33 | 10 | 11 | 12 | 34:44 | 41 |
| კოზენცა | 33 | 11 | 7 | 15 | 40:50 | 40 |
| ანკონა | 33 | 11 | 7 | 15 | 34:46 | 40 |
| კალიარი | 33 | 8 | 15 | 10 | 31:32 | 39 |
| მესინა | 33 | 8 | 14 | 11 | 32:35 | 38 |
| სამპდორია | 33 | 9 | 11 | 13 | 37:43 | 38 |
| ტერნანა | 33 | 7 | 16 | 10 | 41:45 | 37 |
| სიენა | 32 | 9 | 9 | 14 | 28:39 | 36 |
| ჩიტადელა | 33 | 8 | 9 | 16 | 41:51 | 33 |
| პისტოიეზე | 33 | 6 | 12 | 15 | 31:44 | 30 |
| კროტონე | 33 | 4 | 10 | 19 | 35:56 | 22 |

## სერია C1/a

33-ე ტური: ალძანო — ლუკეზე 1:0; არეცო — კარარეზე 2:1; ჩეზენა — ალბინოლეფე 1:1; ლუმეცანე — სპალ 0:4; მონცა — რეჯანა 2:2; პიზა — ლეკო 1:1; სპეცია — პადოვა 1:0; ტრევიზო — ლივორნო 1:2; ვარეზე — ტრიესტინა 2:2

## სერია C1/b

33-ე ტური: ბენევენტო — ავოლა 0:1; კატანია — დი სანგრო 2:1; ფერმანა — ლატინა 1:0; ჯულიანოვა — ასკოლი 2:1; ლოდიჯანი — აველინო 0:1; ნოჩერინა — ტორესი 1:0; პესკარა — პატერნო 2:3; სორა — ტარანტო 1:1; ვიტერბეზე — კროტე 1:1

# იტალიის ჩემპიონატი
## ოცდამეცამეტე ტურის მატჩი
## ვერონა 1:2 მილანი
კახა კალაძე: 90 წუთი

# ანჩელოტის მწარე წარსული

„მილანის" ორივე გოლი კახა კალაძის პასით გავიდა — ერთ შემთხვევაში ინძაგიმ ისარგებლა, მეორეში პირლომ. გარდა ამისა, პირლომ ერთხელ ძელს გაარტყა ბურთი, ხოლო სერჯინიომაც მეორე ტაიმის დასაწყისში პენალტიდან ასევე ძელი შეაწუხა — კალაძის წაქცევისთვის დანიშნული.

მაგრამ ეს ყველაფერი მას მერე მოხდა, რაც „ვერონამ" ანგარიში გახსნა: 30-ე წუთზე რუმინელმა ადრიან მუტუმ ქვემეხისებური გასროლით დალაშქრა აბიატის კარი.

ახლა ცოტა ვრცლად: „მილანს" „ბენტეგოდის" სტადიონზე 1992 წლის 13 იანვრის შემდეგ ანუ მთელი ათი წელიწადი არ მოუგო. საინტერესოა, რომ მაშინ „შავ-წითლების" ერთადერთი გოლი გუნდის დღევანდელმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ გაიტანა, უფრო სწორად კი ანჩელოტიმ დაარტყა, ბურთი ყოფილ მილანელს იკარდის მოხვდა და „ვერონას" კარში შევარდა.

კვირას კი კარლო ანჩელოტიმ, რომელსაც ათი წლის წინ მხოლოდ ფეხის მარჯვედ ქნევა ევალებოდა, იფიქრა, ვარიანტები თვალა და ასე ამჯობინა: 4 აპრილის მერე უთამაშებელი პაოლო მალდინი ცენტრალურ მცველად განამწესა. მოედანზე იყო გამოჯანმრთელებული სერჯინიოც, ხოლო რუი კოშტას არყოფნაში ინძაგის და შევჩენკოს უკან პირლოს დაევალა მოქმედება. ცნობისთვის: შევჩენკოს 3 თებერვლის შემდეგ გოლი არ გაუტანია.

გოლის გატანის შემდეგ „ვერონას" გამოსარჩევი აღარაფერი გაუკეთებია. „მილანმა" სივრცეები შეზღუდა და სწორადაც მოიქცა. შესვენების შემდეგ, როგორც მოგახსენეთ, საჯარიმოში კალაძე წააქციეს, რისთვისაც პენალტი დაინიშნა, მაგრამ სერჯინიომ ძელს გაარტყა, ამას მაინც მოჰყვა მილანელთა ორი გოლი.

მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ განაცხადა: „საბოლოოდ მაინც არაფერია გარკვეული. ჩემპიონატის დამთავრებამდე ხომ 90 წუთია. ჩვენი კონკურენტი, „ბოლონია" ბრეშაში თამაშობს და ძნელი ამოცანის გადაჭრა ელის, მაგრამ ჩვენც არ უნდა გავილაღოთ, რადგან „ლეჩე" ხელწამოსაკრავი მეტოქე არასდროს ყოფილა. მახსოვს, ორი წლის წინ, მე სკუდეტო სუსტ მეტოქესთან სწორედ ბოლო შეხვედრაში დავკარგე (ცნობილი წვიმიანი მატჩი „პერუჯა" — —იუვენტუსი", სადაც ანჩელოტი „იუვენტუსს" წვრთნიდა). დღევანდელ თამაშზე კი იმის თქმა შემიძლია, რომ „ვერონამ" ძლიერად ითამაშა, თუმცა „მილანი" არასდროს ნებდება. ჩვენ შევძელით შეგვეტია და მასპინძელთათვის კონტრგამოხტომების საშუალება არ მიგვეცა.

„მილანის" ვიცე-პრეზიდენტი, ადრიანო გალიანი: „გასახდელში ბიჭებმა მხოლოდ ერთი წუთის მანძილზე იზეიმეს, რადგან წინ ბოლო ტურია, ანჩელოტიმ იცის „ლეჩეს" ამბავი. შეგახსენებთ, რომ როდესაც ჩვენი დღევანდელი მწვრთნელი „რომაში" თამაშობდა, სწორედ „ლეჩემ" დააკარგვინა სკუდეტო".

**ბაჩუნა ძიდია**



ფილიპო ინძაგის (მარცხნივ) კახა კალაძემ გაატანინა

## პოლონეთი
### პლეი ოფი
### XIII ტური

ლეგია — ოდრა 0:0; კატოვიცე — ვისლა 0:1; პოგონი — რუხი 1:1; ამიცა — პოლონია 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 13 | 7 | 6 | 0 | 18:9 | 41 |
| ვისლა | 13 | 7 | 3 | 3 | 21:14 | 38 |
| ამიცა | 13 | 7 | 3 | 3 | 21:10 | 36 |
| პოლონია | 13 | 5 | 3 | 5 | 16:19 | 31 |
| ოდრა | 13 | 2 | 4 | 7 | 11:18 | 26 |
| კატოვიცე | 13 | 4 | 4 | 5 | 10:15 | 25 |
| რუხი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:17 | 22 |
| პოგონი | 13 | 2 | 4 | 7 | 8:16 | 22 |

„ლეგია" ჩემპიონია

### პლეი აუტი
### XIII ტური

სტომილი — გროცლინი 1:2; ოსტროვეცი — რადომსკო 2:1; შლიონსკი — ვიძევი 1:1; გურნიკი — ზაგლები 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურნიკი | 13 | 7 | 4 | 2 | 21:11 | 31 |
| ზაგლები | 13 | 5 | 5 | 3 | 18:15 | 29 |
| ვიძევი | 13 | 5 | 7 | 1 | 15:7 | 28 |
| გროცლინი | 13 | 5 | 2 | 6 | 16:14 | 25 |
| რადომსკო | 13 | 3 | 6 | 4 | 13:16 | 23 |
| ოსტროვეცი | 13 | 3 | 5 | 5 | 13:19 | 22 |
| შლიონსკი | 13 | 2 | 4 | 7 | 13:20 | 19 |

## ავსტრია
### ბუნდესლიგა. XXXIII ტური

**შტურმი 3:0 რიდი**

1:0 შტრაფნერი (28), 2:0 მასუდი (76), 3:0 გრასლერი (81პ.)

შტურმი: ჰოფმანი, როხასი, ბოსნარი, პანაგიჩი, შტრაფნერი, მასუდი, ვეტლი, მაელიხი, ფასტინი (შელდტი 81), პაასი (დ. მუჰინი 76), საზაჩი (პრენელი 60)

მწვრთნელი: ივიცა ოსიმი

ავსტრია — გრაცერი 0:2; ბრეგენცი — ტიროლი 2:0; კერნტენი — ადმირა 3:1; ზალცბურგი — რაპიდი 6:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 33 | 22 | 6 | 5 | 56:13 | 72 |
| შტურმი | 33 | 16 | 11 | 6 | 60:35 | 59 |
| გრაცერი | 33 | 15 | 12 | 6 | 61:37 | 57 |
| კერნტენი | 33 | 14 | 7 | 12 | 38:45 | 49 |
| აუსტრია | 33 | 12 | 11 | 10 | 47:35 | 47 |
| ბრეგენცი | 33 | 12 | 8 | 13 | 48:61 | 44 |
| ზალცბურგი | 33 | 11 | 9 | 13 | 39:39 | 42 |
| რაპიდი | 33 | 9 | 9 | 15 | 30:46 | 36 |
| რიდი | 33 | 7 | 9 | 17 | 33:52 | 30 |
| ადმირა | 33 | 3 | 6 | 24 | 21:70 | 15 |

### ამხანაგური მატჩები

კორეა 0:0 ჩინეთი

იაპონია 1:0 სლოვაკეთი

## შოტლანდია
### პრემიერლიგა
### XXXVII ტური

**ჰიბერნიანი 2:2 დანდი**

1:0 ტოუნსლი (16), 1:1 კაბალიერო (32), 2:1 ოკონორი (76), 2:2 მილნი (87)

დანდი: სპერონი, სმიტი, მაროკო (დელ რიო 57), უოლკა, ბეგეტო, ნემსაძე (რომანო 57), ტორესი, რაე, მაკუე, კარანსა (მილნი 51), კაბალიერო

ზურაბ ხიზანიშვილი და თიმურ ძიგვაია ტრავმირებულნი არიან

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

მსაჯი: დუგალი

8 852 მაყურებელი

**რეინჯერსი 2:0 აბერდინი**

1:0 მაკკანი (40), 2:0 ფერგიუსონი (80)

რეინჯერსი: მაკგრეგორი, კ. მური, ტ. ვიდმარი, მალკოლმი, ნუმანი, ნერლინგერი, რ. დე ბური, მორის როსი, ბ. ფერგიუსონი, შ. არველაძე, კანიჯა (ფლო 67), მაკკანი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: ანდერსონი

48 878 მაყურებელი

**ჰარტსი 1:4 სელტიკი**

0:1 ლინჩი (12), 1:1 ფიულერი (33), 1:2 ლინჩი (41), 1:3, 1:4 მელოუნი (50, 66)

**ლივინგსტონი 4:1 დანფერმლაინი**

1:0 ლოველი (34), 1:1 დეირი (42), 2:1, 3:1 ქააუშა (61, 76), 4:1 კინო (82)

**დანდი იუნაიტედი 0:0 სენტ ჯონსტონი**

**კილმარნოკი 1:4 მოზერუელი**

0:1 დ. ადამსი (21), 1:1 ტ. ჯონსონი (68), 1:2 მაკფადენი (70), 1:3 ს. ელიოტი (72), 1:4 პირსონი (74)

# მზადება 4 მაისისთვის
## სელტიკი დუბლისთვის, რეინჯერსი შოთა-ფეხბურთით

**ჩემპიონ** „სელტიკის" ქულათა მარაგს ორი ციფრი ველარ აუვიდა — მარტინ ონილის გუნდი ასიან ზღურბლს გაუტოლდა და თანაც ისე, რომ მწვრთნელმა „ჰართსის" წინააღმდეგ ძირითადის ათი ფეხბურთელი არ გაიყვანა, მათ შორის არც ჰენრიკ ლარსონი.

კარგა ხანია, რაც „სელტიკმა" ჩემპიონობა გაინაღდა და ახლა მთელი შოტლანდია 4 მაისის მოლოდინშია — ასოციაციის თასის ფინალში ერთმანეთს „სელტიკი" და „რეინჯერსი" შეხვდებიან.

მარტინ ონილმაც ფაქტობრივად მთელი გუნდი 4 მაისის გამო დაასვენა, ემანდ არავინ დამიშავდეს და ბიჭებმაც ძალები კარგად მოიკრიფონო.

ფინალისთვის საგანგებოდ ემზადება ალექს მაკლიში და მისი „რეინჯერსიც". ბარი ფერგიუსონი, კრეიგ მური, კლაუდიო კანიჯა, რონალდ დე ბური და შოთა არველაძე — ეს ის ხალხია, რომელთაც ტრავმები სტანჯავდნენ, თუმც არცთუ მძიმე და მაკლიშმაც ეს ფეხბურთელები მხოლოდ 4 მაისის ფინალის წინ შეუშვა მინდორზე, სათამაშო პრაქტიკა გაიარონო.



რეინჯერსი — აბერდინი. ნილ მაკკანი შესვენებაზე უგოლოდ არ გავიდა

ნილ მაკკანმა კუთხურიდან ოსტატურად ჩაუხვია „აბერდინს", ხოლო ბარი ფერგიუსონმა ახლოდან გაუტანა სტუმრებს.

როგორც ბი-ბი-სი გვამცნობს, შოთა არველაძემ ფერგიუსონის გოლამდე დიდი ოსტატობა აჩვენა, როცა „აბერდინის" მცველი ჯიმი მაკალისტერი მოხდენილად გააბითურა, თუმც კარში არაზუსტად დაარტყაო.

ტრავმის შემდეგ ნელ-ნელა ეჩვევა ბურთსა და მოედანს გიორგი ნემსაძე. მისმა „დანდიმ" ქულა აწაპნა „ჰიბერნიანს".

დანდელთაგან გოლები შეცვლაზე შესულებმა გაიტანეს. ფაბიან კაბალიერომ 30 იარდიდან დააქუხა, ხოლო სტივენ მილნიმ „ჰიბერნიანის" დაცვის გამოშტერებით ისარგებლა და თავურით იხეირა.

„ჰიბერნიანი" მთელი მატჩი დომინირებდა, მაგრამ ბოლო წუთებზე მცველთა უხეშმა შეცდომამ გუნდის მთელი გარჯა უსარგებლო გახადაო, ესეც ბი-ბი-სის დასკვნა.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 37 | 32 | 4 | 1 | 93:18 | 100 |
| რეინჯერსი | 37 | 25 | 9 | 3 | 81:26 | 84 |
| აბერდინი | 37 | 16 | 7 | 14 | 51:48 | 55 |
| ლივინგსტონი | 37 | 15 | 10 | 12 | 47:45 | 55 |
| ჰართსი | 37 | 14 | 6 | 17 | 50:54 | 48 |
| დანფერმლაინი | 37 | 12 | 8 | 17 | 40:63 | 44 |
| კილმარნოკი | 37 | 13 | 9 | 15 | 42:52 | 48 |
| დანდი იუნ. | 37 | 12 | 9 | 16 | 36:57 | 45 |
| დანდი | 37 | 12 | 8 | 17 | 40:53 | 44 |
| ჰიბერნიანი | 37 | 9 | 11 | 17 | 50:56 | 38 |
| მოზერუელი | 37 | 10 | 7 | 20 | 47:68 | 37 |
| სენტ ჯონსტონი | 37 | 5 | 6 | 26 | 24:61 | 21 |

### პირველი დივიზიონი

36-ე ტური: არბროთი — კლაიდი 2:0; ინვერნესი — პარტიკ თისლი 3:0; რეით როვერსი — როს ქაუნთი 0:1; სტ. მირენი — ფოლკირკი 0:0. ეარი — ეირდრი გადაიდო

### მეორე დივიზიონი

36-ე ტური: ალოა — სტრენრარი 0:0; კლაიდბენკი — ბერიკი 1:2; ქოუდენბითი — ჰამილტონი 2:1; ქუინ ოფ საუთ — მორტონი 4:0; სტენჰაუზმური — ფორფარი 0:0

### მესამე დივიზიონი

36-ე ტური: ალბიონი — ელგინი 2:2; ისტ სტირლინგი — ისტ ფაიფი 1:2; ბრეჩინი — სტირლინგი 2:1; პიტერჰედი — მონტროუზი 3:1; დამბარტონი — ქუინზ პარკი 1:1

## დანია

29-ე ტური: ოლბორგი — მიდტიულანდი 0:1; ბრონდბიუ — აკადემისკი 5:0; ორჰუსი — ვიბორგი 4:3; ვაილე — ოდენსე 1:1; ესბიერგი — კოპენჰაგენი 1:3; სილკებორგი — ლიუნგბიუ 5:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 29 | 18 | 7 | 4 | 66:25 | 61 |
| კოპენჰაგენი | 29 | 17 | 8 | 4 | 53:20 | 59 |
| ოლბორგი | 29 | 14 | 6 | 9 | 46:38 | 48 |
| ოდენსე | 29 | 12 | 10 | 7 | 46:41 | 46 |
| მიდტიულანდი | 29 | 12 | 9 | 8 | 38:24 | 45 |
| აკადემისკი | 29 | 11 | 11 | 7 | 42:31 | 44 |
| ესბიერგი | 29 | 12 | 5 | 12 | 39:40 | 41 |
| ვიბორგი | 29 | 9 | 10 | 10 | 41:38 | 37 |
| სილკებორგი | 29 | 7 | 7 | 15 | 37:42 | 28 |
| ორჰუსი | 29 | 5 | 10 | 14 | 36:49 | 25 |
| ვაილე | 29 | 5 | 9 | 15 | 33:67 | 24 |
| ლიუნგბიუ | 29 | 2 | 8 | 19 | 23:85 | 14 |

## ჩეხეთი

28-ე ტური: ტეპლიცე — ლიბერეცი 2:0; დრნოვიცე — ოლომოუცი 1:2; ჰრადეც კრალოვე — სინოტი 2:1; ბოჰემიანსი — ბლშანი 0:1; ბანიკი — ოპავა 1:2; იაბლონეცი — სიგმა 0:1; სლავია — პრშიბრამი 0:0. ბრნო — სპარტა წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-16 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 28 | 19 | 6 | 3 | 51:21 | 63 |
| ოლომოუცი | 28 | 18 | 6 | 4 | 40:18 | 60 |
| სპარტა | 27 | 17 | 3 | 7 | 51:19 | 54 |
| ბოჰემიანსი | 28 | 13 | 6 | 9 | 38:32 | 45 |
| სლავია | 28 | 11 | 10 | 7 | 44:34 | 43 |
| ბანიკი | 28 | 11 | 8 | 9 | 38:33 | 41 |
| ბრნო | 27 | 10 | 9 | 8 | 30:36 | 39 |
| იაბლონეცი | 28 | 9 | 10 | 9 | 32:31 | 37 |
| სინოტი | 28 | 10 | 6 | 12 | 30:35 | 36 |
| ტეპლიცე | 28 | 10 | 5 | 13 | 34:41 | 35 |
| პრშიბრამი | 28 | 9 | 7 | 12 | 25:33 | 34 |
| ჰრადეც კრალოვე | 28 | 9 | 7 | 12 | 27:40 | 34 |
| სიგმა | 28 | 8 | 9 | 11 | 28:32 | 33 |
| ბლშანი | 28 | 7 | 4 | 17 | 32:49 | 25 |
| დრნოვიცე | 28 | 6 | 5 | 17 | 31:43 | 23 |
| ოპავა | 28 | 4 | 3 | 21 | 21:55 | 15 |

# მირჩა მორჩა



„გალათასარაი" საჩემპიონო ვარსკვლავს გაეთამაშა

## თურქეთი

33-ე ტური: ბურსა — ფენერბაჰჩე 0:1; ისთანბული — რიზე 3:1; იოზგათი — გაზიანთეფი 1:2; ქოჯაელი — გალათასარაი 0:2; ბეშიქთაში — გიოზთეფე 1:2; ტრაბზონი — გენჩლერბირლიგი 0:0; დიარბაქირი — მალათია 0:0; სამსუნი — ანთალია 2:0; ანკარაგიუჯიუ — დენიზლი 1:1

**სტამბოლში** დღეს წითელ-ყვითელი ფერები ზეობენ. „გალათასარაიმ" მეთხუთმეტედ აიშალა საჩემპიონო ფაფარი.

თურქეთში ხშირად ისე ხდებოდა, რომ 4-5 ტურით ადრე ჩემპიონის ვინაობა ყველაზე მიჩქმალულ სოფელშიც კი იცოდნენ. 1997 წელს „გალა" ფათიჰ თერიმის ხელში პირველად გაპირველდა და ზედიზედ ოთხი წელი მისი დამჩოქებელი არავინ ჩანდა. შარშან მუსტაფა დენიზლიმ თავის ლურჯ-ყვითელი „ფენერბაჰჩეთი" თერიმის „იმპერია" ისტორიის არქივში გადააგზავნა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, დროებით. მირჩა ლუჩესკუმ „ლომთა ლომი" ისევ ძველი გზითატარა. უკან მათ ბოლოსწინა ტურამდე ვერნერ ლორანტისეული „ფენერი" მისდევდა, მაგრამ ლომი ხაფანგში აღარ გაება. ტახტის მაძიებლები სტუმრად თამაშობდნენ. „გალამ" იზმირში „ქოჯაელი" მიაკნავლა, „ფენერბაჰჩემ" კი „ბურსასფორი" დასცა.

უკვე გაჩემპიონებული გუნდის პრეზიდენტი ენის ტარტარს მოჰყვა და თქვა, ფათიჰ თერიმი უნდა დავაბრუნოო. თერიმი ჯერჯერობით გასუსულია.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 33 | 23 | 6 | 4 | 70:31 | 75 |
| ფენერბაჰჩე | 33 | 23 | 3 | 7 | 67:30 | 72 |
| ბეშიქთაში | 33 | 18 | 8 | 7 | 69:38 | 62 |
| ანკარაგიუჯიუ | 33 | 15 | 8 | 10 | 70:55 | 53 |
| დენიზლი | 33 | 11 | 12 | 10 | 61:52 | 45 |
| გაზიანთეფი | 33 | 12 | 9 | 12 | 56:52 | 45 |
| ისთანბული | 33 | 12 | 8 | 13 | 33:36 | 44 |
| ბურსა | 33 | 13 | 5 | 15 | 46:57 | 44 |
| ქოჯაელი | 33 | 12 | 7 | 14 | 45:56 | 43 |
| გენჩლერი | 33 | 10 | 12 | 11 | 44:49 | 42 |
| გიოზთეფე | 33 | 11 | 9 | 13 | 34:54 | 42 |
| დიარბაქირი | 33 | 10 | 10 | 13 | 40:46 | 40 |
| ტრაბზონი | 33 | 11 | 7 | 15 | 47:56 | 40 |
| მალათია | 33 | 11 | 6 | 16 | 32:49 | 39 |
| სამსუნი | 33 | 10 | 7 | 16 | 31:42 | 37 |
| რიზე | 33 | 8 | 10 | 15 | 40:49 | 34 |
| ანთალია | 33 | 8 | 10 | 15 | 44:61 | 34 |
| იოზგათი | 33 | 6 | 9 | 18 | 46:62 | 27 |



REUTERS ლაინცელი

ლანსი — გენგამი. დანიელ მორეირამ სტუმრებს მეოთხე გაუტანა

# დივიზიონი ერთ მატჩამდე შემცირდა

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXXIII ტური

**ბორდო 0:1 ლიონი**

0:1 ს. ანდერსონი (70)

**ლანსი 4:1 გენგამი**

1:0 დიუფი (20), 2:0 კულიბალი (41), 3:0 დიუფი (55), 4:0 მორეირა (57), 4:1 დროგბა (69)

**ლორიანი 2:2 მარსელი**

0:1 ფერნანდო (35), 1:1 დარშევილი (76), 1:2 საკო (87), 2:2 ემე-ზზი (89)

**მონაკო 1:1 ოსერი**

1:0 ნონდა (18), 1:1 ჯ. სისე (66)

**მონპელიე 3:0 ნანტი**

1:0 ბამოგო (75), 2:0 ფუფე (81), 3:0 მანსარე (84)

**პსჟ 2:0 მეცი**

1:0 ფიორეზე (60), 2:0 რონალდინიო (68)

**რენი 1:0 სედანი**

1:0 მონტერუბიო (72)

**სოშო 0:0 ლილი**

**ტრუა 3:0 ბასტია**

1:0 გუსე (51), 2:0 ლოკო (59), 3:0 მენირი (81)

**კალენდარიც** ასეთი უნდა. ერთი, ბოლო ტური დარჩა. მომავალ უქმეებზე „ლიონი“ „ლანსს“ უმასპინძლებსო რომ ვთქვა, მართალი არ ვიქნებით. არა, მასპინძელი ამ შემთხვევაში ლიონი ნამდვილად არის, მაგრამ სტუმარი ეყოლება სამტროდ ჩასული და თავადაც ცხადია, სამტროდ დაუხვდება.

33 ტურის ჩატარების შემდეგ საქმე ერთ მატჩამდე მივიდა: „ლიონი“— „ლანსი“. ლანსელებს ახლა თავში ხელის საცემად გაახსენდებათ განიავებული ძვირფასი ქულები, თუმცა მათ ფრეც ჰყოფნით გვირგვინის დასაუფლებლად.

პირველადგილოსანი თითქმის განწირულ „გენგამს“ დაუხვდა და უკეთეს ლუკმას ვერც ინატრებდა. აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებანაბოძებმა დიუფმა ნელ-ნელა დაიწყო მეტოქის ღეჭვა. სენეგალელმა ადამა კულიბალის პასი მეოცე წუთზე გოლად აქცია. მერე თავად კულიბალიმ იხეირა და პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში გააორა.

მეორე ნახევარი კარგად არც იყო გახურებული, სტუმართა მეკარე კარიდან ბურთის გამოტანას ველარ ასწრებდა. ჯერ ელ ჰაჯი დიუფმა შეირგო სტეფან პედრონის პასი, მერე კი იმავ პედრონმა ერთი საგოლე დანიელ მორეირასაც გაუხერხა. საჩემპიონოდ შემართული „ლანსის“ მახვილი აქ გაჩერდა და ოთხ გოლს დასჯერდა, ხოლო მოჩაქჩაქე „გენგამი“ დიდიე დროგბას გოლსლა დასჯერდა.

თუ „ლანსს“ სანატრელი მოქიშპე ჰყავდა, „ლიონზე“ ამას ვერ ვიტყვით. „ბორდო“, თავისი პედრო პაულეტათი ვისაც გინდა გატანჯავს.

ლიდერის მდევარს უეჭველი სამი ქულა სჭირდებოდა, რისი მოხვეჭა საბოლოოდ შეძლო კიდეც. უკვე პირველი ტაიმის ოცდამეცამეტე წუთზე გუნდები კაცნაკლულნი დარჩნენ. მასპინძელი კრისტოფ დიუგარი და სტუმარი მარკ-ვივიენ ფოე ნერვებს და წითელ ბარათებს გაჰყვნენ. მათგან გამოთავისუფლებული სივრცეები კი სხვებზე უკეთ ლიონელთა კაპიტანმა სონი ანდერსონმა გამოიყენა. საამისოდ გვიანი გოლი კი გაიტანა, მაგრამ ეს დრო სამი ქულის მომტან ერთადერთ გოლად ღირდა.

მესამე, ჩემპიონთა ლიგაში გამავალ ადგილს შესჭიდებიან „ოსერი“ და პსჟ. „ოსერმა“ მონაკოში შაბანი ნონდას გატანილს ჯიბრილ სისეთი უპასუხა, რამაც ერთი ჰაერივით საჭირო ქულა გადაურჩინა.

პარიზელებმა „მეცი“ მიიღეს და როგორ მიიღეს, ისევე უქულოდ გაისტუმრეს. სენჟერმენელებმა პირველ ტაიმში მოჯაჯგურე მეტოქეს ვერაფერი მოუხერხეს, მაგრამ მეორე ნახევრის რვაწუთიან შუალედში ბურთი ორჯერ მიაბრძანეს „მეცის“ კარში.

გადასარჩენად მებრძოლთა შავ სიას კი სამნი შემორჩნენ. სამივეს ლიგის დატოვების თანაბარი შანსი აქვს. სხვებთან შედარებით უკეთეს დღეშია „გენგამი“, რომელიც შინ „ტრუას“ დაუხვდება. „მეცი“ და „ლორიანი“ კი საიქიო-სააქაოდ შეებმიან ერთმანეთს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 33 | 18 | 10 | 5 | 54:27 | 64 |
| ლიონი | 33 | 19 | 6 | 8 | 59:31 | 63 |
| ოსერი | 33 | 16 | 11 | 6 | 46:35 | 59 |
| პსჟ | 33 | 15 | 13 | 5 | 43:23 | 58 |
| ლილი | 33 | 14 | 11 | 8 | 38:32 | 53 |
| ბორდო | 33 | 14 | 8 | 11 | 33:29 | 50 |
| ტრუა | 33 | 13 | 8 | 12 | 40:34 | 47 |
| სოშო | 33 | 11 | 10 | 12 | 38:40 | 43 |
| მარსელი | 33 | 10 | 11 | 12 | 33:39 | 41 |
| მონპელიე | 33 | 9 | 13 | 11 | 28:30 | 40 |
| ნანტი | 33 | 11 | 7 | 15 | 33:40 | 40 |
| მონაკო | 33 | 9 | 12 | 12 | 36:38 | 39 |
| სედანი | 33 | 8 | 15 | 10 | 35:37 | 39 |
| ბასტია | 33 | 11 | 5 | 17 | 36:44 | 38 |
| რენი | 33 | 10 | 8 | 15 | 37:49 | 38 |
| მეცი | 33 | 9 | 5 | 19 | 30:46 | 32 |
| გენგამი | 33 | 8 | 8 | 17 | 33:57 | 32 |
| ლორიანი | 33 | 7 | 9 | 17 | 42:63 | 30 |

II დივიზიონი

37-ე ტური: აიაჩო — ბოვე 1:0; ამიენი — ნიმი 2:1; გრენობლი — კრეტეი 1:2; გენიონი — ნიორი 1:2; ლე ავრი — ლავალი 4:1; ლე მანი — კანი 1:2; ნიცა — ისტრი 3:0; სენტ ეტიენი — შატორუ 1:0; მარტიგი — სტრასბური 0:1; ვასკეალი — ნანსი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაჩო | 37 | 20 | 12 | 5 | 47:24 | 72 |
| ლე ავრი | 37 | 17 | 14 | 6 | 56:31 | 65 |
| სტრასბური | 37 | 18 | 11 | 8 | 46:27 | 65 |
| ნიცა | 37 | 19 | 6 | 12 | 52:37 | 63 |
| ლე მანი | 37 | 16 | 10 | 11 | 48:40 | 58 |
| ბოვე | 37 | 13 | 17 | 7 | 36:24 | 56 |
| კაენი | 37 | 15 | 10 | 12 | 56:53 | 55 |
| შატორუ | 37 | 14 | 8 | 15 | 38:40 | 50 |
| ლავალი | 37 | 14 | 8 | 15 | 47:52 | 50 |
| ნანსი | 37 | 11 | 15 | 11 | 41:38 | 48 |
| ამიენი | 37 | 11 | 13 | 13 | 45:49 | 46 |
| სენტ ეტიენი | 37 | 11 | 13 | 13 | 35:41 | 46 |
| ნიორი | 37 | 10 | 15 | 12 | 38:38 | 45 |
| გენიონი | 37 | 9 | 17 | 11 | 41:46 | 44 |
| ვასკეალი | 37 | 11 | 10 | 16 | 41:52 | 43 |
| გრენობლი | 37 | 10 | 12 | 15 | 36:52 | 42 |
| ისტრი | 37 | 7 | 17 | 13 | 33:43 | 38 |
| კრეტეი | 37 | 8 | 14 | 15 | 34:46 | 38 |
| მარტიგი | 37 | 7 | 11 | 19 | 31:51 | 32 |
| ნიმი | 37 | 4 | 17 | 16 | 30:47 | 29 |

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XXXIII ტური

**პსვ ეინდჰოვენი 3:0 სპარტა**

1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (30), 2:0 ვან ბომელი (45), 3:0 რამზი (62)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი (ლოდევეიქსი 78), ბოგელუნდი, ოიერი, ჰოფლანდი, ჰაინცე, ვან ბომელი, ფოგელი, რომედალი, კეჟმანი, ბრუგინკი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 22), ა. რამზი (ვახოკიძე 58)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

მსაჯი: ბრაამაარი

30 000 მაყურებელი

**ვიტესი 4:2 ტილბურგი**

0:1 მარიანა (11), 1:1 მარტელი (13), 2:1 მ. დიარა (30), 3:1 სტეფანოვიჩი (56), 3:2 სეკტოუ (78), 4:2 ამოა (82)

**ბრედა 3:1 სიტარდი**

1:0 ე. სტიუარტი (45), 1:1 ვან დიერენი (62), 2:1 ბობსონი (86), 3:1 ჩ. ფეპერი (89)

**ტვენტე 2:0 უტრეხტი**

1:0 ვან დერ დულენი (60), 2:0 დე გიერი (67)

**გრონინგენი 2:0 გრააფსხაპი**

1:0 რობენი (64), 2:0 ვან გესელი (90პ)

**ალკმაარი 5:0 ნაიმეგენი**

1:0, 2:0 ბოსმანი (4, 35), 3:0, 4:0, 5:0 ნელისე (56, 64, 74)

**როდა 1:0 ვალვაიკი**

1:0 ტომაშიჩი (88)

**ფეიენოორდი 3:2 ჰერენვენი**

1:0 ბოსველტი (26), 1:1 ოლბოკი (27), 1:2 ლურლინგი (47), 2:2, 3:2 ბოსველტი (58, 63)

**აიაქსი 2:0 დენ ბოსხი**

1:0, 2:0 მახლასი (5, 72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 33 | 21 | 7 | 5 | 71:34 | 70 |
| პსვ | 33 | 20 | 7 | 6 | 75:30 | 67 |
| ფეიენოორდი | 33 | 19 | 6 | 8 | 68:29 | 63 |
| ვიტესი | 33 | 16 | 12 | 5 | 43:31 | 60 |
| ჰერენვენი | 33 | 17 | 8 | 8 | 57:27 | 59 |
| ბრედა | 33 | 15 | 8 | 10 | 55:52 | 53 |
| უტრეხტი | 33 | 14 | 8 | 11 | 60:51 | 50 |
| ვალვაიკი | 33 | 13 | 6 | 14 | 46:42 | 45 |
| ნაიმეგენი | 33 | 13 | 6 | 14 | 38:57 | 45 |
| ტილბურგი | 33 | 10 | 12 | 11 | 54:61 | 42 |
| ტვენტე | 33 | 10 | 11 | 12 | 41:41 | 41 |
| ალკმაარი | 33 | 11 | 7 | 15 | 42:45 | 40 |
| როდა | 33 | 11 | 7 | 15 | 33:45 | 40 |
| გრააფსხაპი | 33 | 10 | 6 | 17 | 41:53 | 36 |
| გრონინგენი | 33 | 10 | 6 | 17 | 40:59 | 36 |
| დენ ბოსხი | 33 | 8 | 9 | 16 | 40:54 | 33 |
| სპარტა | 33 | 4 | 11 | 18 | 26:75 | 23 |
| სიტარდი | 33 | 3 | 7 | 23 | 27:71 | 16 |

II დივიზიონი

33-ე ტური: ვეენდამი — მაასტრიხტი 2:3; ოსი — ეინდჰოვენი 2:3; დენ ჰააგი — ვოლენდამი 1:1; კამბური — იგლსი 2:1; ზვოლე — ექსელსიორი 1:0; ჰაარლემი — ვენლო 0:0; ჰელმონდი — დოორდრეხტი 2:4; როზენდალი — ჰერაკლესი 2:0; ემენი — ტელსტარი 0:3

# რა დროს ფეხბურთია...

## რუსეთი

პრემიერლიგა. IX ტური

**ალანია 4:3 სპარტაკი**

1:0 პაულუ ემილიუ (14), 1:1 სიჩევი (24), 1:2 ციხმეისტრუკი (26), 2:2 პაულუ ემილიუ (45), 2:3 ბესჩასტნიხი (57), 3:3 გ. ბაზაევი (67), 4:3 იმედაძე (84)

ალანია: გაბულოვი, თეთრაძე, ა. პაგაევი, ფაიზიევი, სვიდერსკი, გ. ბაზაევი (ბითაროვი 69), ბესტაევი (იმედაძე 69), ძუევი (კუსოვი 40), დ. ბაზაევი, გ. პაგაევი, პაულუ ემილიუ

მწვრთნელი: ვლადიმირ მუნტიანი

**ლოკომოტივი 2:1 შინიკი**

1:0 იგნაშევიჩი (58), 1:1 ვერეშჩაკი (65), 2:1 ობიორა (81)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, იგნაშევიჩი, ლეკხეტო, პაშინინი, სენიკოვი, ლოსკოვი, მამინოვი, სირხაევი (ბუზნიკინი 46), იზმაილოვი, ობიორა, პიმენოვი (ევსეევი 85)

მწვრთნელი: იური სიომინი

**ტორპედო 3:0 ანჟი**

1:0 შირკო (28), 2:0 სარქისიანი (46), 3:0 სემშოვი (75)

ტორპედო: ვორობიოვი, ლუხვიჩი, მალაი, ზირიანოვი, ლებედენკო (გორინი 46), ი. სამხაძე, ლეონჩენკო, სარქისიანი (ოგანიანი 90), სემშოვი, შირკო, ჩერევჩენკო (ოლოვიჩი 22)

მწვრთნელი: ვიტალი შევჩენკო

ანჟი: არმიშევი, პრუდიუსი, აკაევი, გლოგოვაცი, ხოშიჩი, აგალაროვი (ირისმეტოვი 52), მშვენიაძე (რამაზანოვი 72), ბამატოვი (ციმბალარი 52), ბუდუნოვი, საველიევი, ადიევი

მწვრთნელი: ლეონიდ ტკაჩენკო

**კრილია სოვეტოვი 3:2 როსტსელმაში**

0:1 ადამუ (22), 1:1 კარიაკა (35), 2:1 პოშკუსი (49), 3:1 კარიაკა (56პ), 3:2 ადამუ (65)

**სოკოლი 0:0 ტორპედო ზილ**

**დინამო 0:2 ზენიტი**

0:1 არშავინი (42), 0:2 კერჟაკოვი (44)

**ურალანი 1:2 სატურნი**

0:1 როგაჩიოვი (69), 1:1 ჩუგაინოვი (75), 1:2 კუჩინოვი (82)

**ცსკა 2:0 როტორი**

1:0 გუსევი (29), 2:0 იანოვსკი (77)

**„სპარტაკმა“** ზედიზედ მეორედ წააგო, ამჯერად ვლადიკავკაზში „ალანიასთან“ და ლიდერს უკვე 9 ქულით ჩამორჩა. ოლეგ რომანცევის ბიჭებმა ბოლო ორ შეხვედრაში 7, სულ კი ჩემპიონატში 13 გოლი გაუშვეს, რაც რუსული ფეხბურთისთვის ერთობ იშვიათი მოვლენაა. საინტერესოა, რომ ამ მხრივ უარესი მაჩვენებელი მხოლოდ „ალანიასა“ და „როსტსელმაშს“ აქვთ...

ვლადიკავკაზური მატჩი დრამატული გამოდგა, ჯერ მასპინძლები იგებდნენ, მერე სტუმრები, მაგრამ ბოლოსკენ ყველაფერი ქართველი გია იმედაძის გოლმა გადაწყვიტა. თითქოს ადგილობრივთა ზეიმს წინ აღარაფერი უნდა დადგომოდა, „სპარტაკის“ დამარცხება ხომ ნებისმიერი პროვინციული რუსული გუნდისთვის ისტორიული მოვლენაა, მაგრამ საზეიმოდ არავის სცხელოდა. საქმე ისაა, რომ იმ დილით, ბზობა დღის 11 საათზე ქალაქის ბაზარში ტერაქტი მოხდა, მძლავრი აფეთქების შემდეგ შვიდი ადამიანი დაიღუპა და 39 საავადმყოფოში წევს. სამართალდამცავები ამ უბედურებას მეზობელ ინგუშეთში მიმდინარე არჩევნებს უკავშირებენ, თუმცა „ჩეჩნურ კვალზე“ ლაპარაკს ერიდებიან. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ასეთი ამბის მერე საფეხბურთო მატჩის გამართვაც მთლად უსაფრთხო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც ითამაშეს და ღვთის მადლით, ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა.

დამთავრებამდე ექვსი წუთი რჩებოდა, როცა მასპინძლებმა მეოთხე, გამარჯვებისა გაიტანეს: რობერტ ბითაროვმა აუტიდან ბურთი პაულუ ემილიუს გადაუგდო, ამან საჯარიმოში ჩააწოდა, მეკარემ თითქოს მოიგერია, მაგრამ მოულოდნელად ბურთი ხელიდან გაუვარდა, არეულობით კუსოვმა ისარგებლა და იმედაძეს დაუგორა, ქართველმაც ცარიელ კარში შეაგდო.

„რა უნდა გითხრათ, ჩვენმა მცველებმა საკუთარ საჯარიმოში ღია კარის დღე მოაწყვეს და რაღა გასაკვირია, რომ სამი გოლი გავიტანეთ და მაინც დავმარცხდით“ — ბრაზობდა თამაშის მერე სტუმართა მწვრთნელი ვიაჩესლავ გროზნი. ალანთა დამრიგებელ ვლადიმირ მუნტიანს კი, ცხადია, თავისიანების სასაყვედურო არაფერი ჰქონდა: „ეს გამარჯვება ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია და არა მარტო რთული სატურნირო ვითარების გამო. ჩემპიონთა დამარცხებას დილის ტრაგედიის მსხვერპლთ ვუძღვნით. თამაშზე კი იმას ვიტყვი, რომ უპირველესად ჩემი ფეხბურთელების ჟინითა და ბრძოლისუნარიანობით დავრჩი კმაყოფილი“.

ამასობაში „ლოკომოტივმა“ შინ იაროსლავლის „შინიკს“ სძლია და ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა. მოგება მოგებად, მაგრამ რკინიგზელებს ძალიან გაუჭირდათ. გამარჯვებისა დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე გაიტანეს და ოქროს ორი ქულა გადაარჩინეს. გიორგი დემეტრაძე თამაშს სათადარიგოთა სკამიდან უცქერდა, გადამწყვეტი კი ობიორამ შეაგდო. მერე მწვრთნელმა იური სიომინმა კი შეაქო, მაგრამ ნიგერიელმა პირველ ტაიმში იმდენი მომენტი გააცუდა, ორ-სამ თამაშს ეყოფოდა. სიომინმა კი დასძინა: თვე იწურება და შეგვიძლია, რაღაცრაღაცეები შევაჯამოთ. არ დაგიმალავთ, აპრილში მოგროვებული ქულებით ძალიან კმაყოფილი ვარო.

**სოლომონ ზულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 9 | 7 | 2 | 0 | 15:3 | 23 |
| ცსკა | 9 | 7 | 1 | 1 | 19:7 | 22 |
| სატურნი | 9 | 5 | 3 | 1 | 15:9 | 18 |
| კრილია | 9 | 4 | 3 | 2 | 11:9 | 15 |
| სპარტაკი | 9 | 4 | 2 | 3 | 16:13 | 14 |
| ტორპედო | 9 | 3 | 4 | 2 | 13:9 | 13 |
| ზენიტი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:9 | 12 |
| შინიკი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:13 | 11 |
| როტორი | 9 | 3 | 2 | 4 | 7:10 | 11 |
| ტორპედო ზილ | 9 | 2 | 4 | 3 | 4:10 | 10 |
| ურალანი | 9 | 1 | 6 | 2 | 11:12 | 9 |
| ანჟი | 9 | 1 | 5 | 3 | 8:12 | 8 |
| ალანია | 9 | 2 | 2 | 5 | 10:16 | 8 |
| როსტსელმაში | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | 8 |
| დინამო | 9 | 2 | 1 | 6 | 9:12 | 7 |
| სოკოლი | 9 | 1 | 2 | 6 | 4:10 | 5 |

## შვედეთი

30-4 ტური: იურგორდენი — გიოტებორგი 1:0; სუნდსვალი — იორებრო 1:1; ჰელსინგბორგი — კალმარი 0:0; ნორჩიოპინგი — ჰალმსტადი 0:0. ჰამარბი — მალმიო, ელფსბორგი — ლანდსკრონა, იორგრიტე — აიკ წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-16 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იორგრიტე | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| ლანდსკრონა | 3 | 2 | 1 | 0 | 11:5 | 7 |
| ელფსბორგი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| იურგორდენი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| სუნდსვალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| იორებრო | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| კალმარი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| გიოტებორგი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ნორჩიოპინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ჰელსინგბორგი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | 4 |
| მალმიო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 3 |
| ჰალმსტადი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| აიკ | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| ჰამარბი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:8 | 1 |

## ნორვეგია

30-3 ტური: რუსენბორგი — ლინი 5:1; ბოდიო გლიმტი — სტაბეკი 2:0; ბრინი — ლილესტრიომი 1:1; მოლდე — ვიკინგი 3:0; მოსი — ოდ გრენლანდი 0:1; სტარტი — ბრანი 2:2; ვოლერენგა — სოგნდალი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოდიო გლიმტი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 7 |
| მოლდე | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| ოდ გრენლანდი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ლინი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 |
| ვოლერენგა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| მოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ლილესტრიომი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| რუსენბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |
| სტარტი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ვიკინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| სოგნდალი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| სტაბეკი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| ბრანი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ბრინი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

# ჩვენ გავხადეთ ჩემპიონები
## ბენფიკა სპორტინგს დააყვედრებს




REUTERS

ლისაბონში ზეიმი „ბოავიშტას" დამარცხებამდე დაიწყო

### პორტუგალია
I ლიგა. XXXIII ტური

**ჟილ ვისენტე 3:2 სალგეირუში**
1:0 ლემოში (27), 2:0, 3:0 პაულუ ალვეში (44, 47პ), 3:1, 3:2 ჟოაუ პედრუ (89პ, 90)

**ლეირია 4:1 ფარენსე**
0:1 დიურდიევიჩი (22), 1:1 დერლეი სილვა (24), 2:1 ტაკეში (41), 3:1 კუნია (57), 4:1 ტაკეში (83)

**ბეირა მარი 0:2 ფეირეირა**
0:1 ბეტუ სანტუში (36), 0:2 ზე მანუელი (84)

**ვარზიმი 0:1 მარიტიმუ**
0:1 გაუჩუ გომეში (23)

**ბენფიკა 2:1 ბოავიშტა**
0:1 ე. სანჩესი (41), 1:1 ფუკსი (55), 2:1 მანტორაში (82)

**პორტუ 5:3 სანტა კლარა**
0:1 ტ. გონსალვესი (34), 1:1 მაკკარტი (37), 1:2 მ. გარსია (45), 2:2, 3:2 დეკო სოუზა (49, 54), 3:3 გაბორი (56), 4:3, 5:3 მაკკარტი (60, 74)

**სეტუბალი 2:2 სპორტინგი**
0:1 ჟარდელი (32), 1:1 მენდესი (40), 2:1 ალკანტარა (42), 2:2 ჟარდელი (49)

**ბელენენსეში 1:1 ბრაგა**
0:1 ჟოაუ ბარატა (67), 1:1 ბეზერა (90)

**ალვერკა — გიმარაეში**
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-16 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**მართალია**, პორტუგალიის ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ უმთავრესი საკითხი უკვე გარკვეულია — პირინეის ნახევარკუნძულის დასავლეთით მდებარე სახელმწიფოს ახალი ჩემპიონი ჰყავს. არადა, ბოლოსწინა ტური შარშანდელი ტრიუმფატორის, „ბოავიშტას" სასარგებლოდ დაიწყო. თავად განსაჯეთ:

პირველი — ტური შაბათს დაიწყო და „ბოავიშტას" კონკურენტმა ლისაბონის „სპორტინგმა" ოქროს ქულები დაკარგა „სეტუბალთან". ბრაზილიელი მეგოლის მარიო ჟარდელის დუბლს „სეტუბალმა" ორი გოლით უპასუხა და მატჩიც ფრედ, 2:2 დასრულდა.

მეორე — „ბოავიშტა" კვირას თამაშობდა და, შესაბამისად, კარგად იცოდა, რომ წინა დღით „სპორტინგს" ფეხი დაუცდა და მოსაგებად დამატებითი მოტივაცია მიეცა.

მესამე — „ბენფიკასთან" მატჩი „ბოავიშტასთვის" ისე დაიწყო, უკეთესს ვერ ინატრებდა. ბოლივიელმა ერვინ სანჩესმა ოციოდე მეტრიდან ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით მასპინძელთა მეკარე ჟოზე მორეირა სახტად დატოვა და საკუთარი გუნდი დააწინაურა. უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლმა „ბენფიკამ" 55-ე წუთზე არეელ ფუკსის გოლით კი გაათანაბრა, მაგრამ...

მეორეზე — 77-ე წუთზე „ბენფიკას" იტალიელმა ლეგიონერმა ემანუელ პეზარეზიმ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და თანაგუნდელები უმცირესობაში დატოვა. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ „ბოავიშტას" წისქვილზე ასხამდა წყალს...

...მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება. სტუმართა მეკარემ უილიამ ანდემმა, ალბათ, შესაძლო ჩემპიონობა ვერ გაათვითცნობიერა, მუხლები (უფრო სწორად ხელები) აუკანკალდა და... 82-ე წუთზე მორეირას ბურთი გაუვარდა, „ბენფიკას" ანგოლელმა პედრო მანტორაშმა კი ასეთი შანსი ხელიდან არ გაუშვა — 2:1.

ამით „ბოავიშტას" საჩემპიონო ილუზია საპნის ბუშტივით გასკდა.

„ჩვენ ჩემპიონები ვართ! მიხარია, რომ მეოთხედ გავხდი პორტუგალიის ჩემპიონი" — შამპანურის ბოთლით ხელში განაცხადა წლევანდელ სეზონში 40 გოლის გამტანმა ბრაზილიელმა ჟარდელმა.

შეგახსენებთ, რომ ჟარდელმა სამჯერ „პორტუს" შემადგენლობაში მოიპოვა ჩემპიონობა, „სპორტინგი" კი ბოლოს 2000 წელს შესწვდა ამ ჯილდოს...

კვირას ღამით მთელი ლისაბონი ზეიმობდა, ხოლო ქუჩებში მანქანებით გრიალი პედრო მანტორაშის გოლისთანავე დაიწყო. „სპორტინგი" მეთვრამეტედ გახდა ქვეყნის უპირველესი გუნდი.

**ტატა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 33 | 21 | 9 | 3 | 72:24 | 72 |
| ბოავიშტა | 33 | 20 | 7 | 6 | 49:19 | 67 |
| პორტუ | 33 | 20 | 5 | 8 | 64:33 | 65 |
| ბენფიკა | 33 | 17 | 12 | 4 | 64:34 | 63 |
| ბელენენსეში | 33 | 16 | 6 | 11 | 51:42 | 54 |
| მარიტიმუ | 33 | 16 | 5 | 12 | 45:33 | 53 |
| ლეირია | 33 | 14 | 10 | 9 | 48:33 | 52 |
| ფეირეირა | 33 | 12 | 10 | 11 | 40:42 | 46 |
| გიმარაეში | 32 | 11 | 9 | 12 | 31:34 | 42 |
| ბრაგა | 33 | 9 | 12 | 12 | 38:40 | 39 |
| ბეირა მარი | 33 | 10 | 9 | 14 | 47:54 | 39 |
| სეტუბალი | 33 | 9 | 11 | 13 | 39:42 | 38 |
| ჟილ ვისენტე | 33 | 10 | 8 | 15 | 40:53 | 38 |
| სანტა კლარა | 33 | 9 | 10 | 14 | 30:43 | 37 |
| ვარზიმი | 33 | 8 | 8 | 17 | 26:53 | 32 |
| *სალგეირუში* | 33 | 7 | 6 | 20 | 27:70 | 27 |
| *ფარენსე* | 33 | 6 | 7 | 20 | 26:61 | 25 |
| *ალვერკა* | 32 | 6 | 6 | 20 | 33:60 | 24 |

II ლიგა

33-ე ტური: პორტიმონენსე — რიუ ავე 1:0; კამპომაიორენსე — ლეცა 0:2; მაია — ამადორა 1:2; ფელგეირაში — აკადემიკა 3:1; მორეირენსე — ნასიონალი 5:1; ნავალი — ავეში 2:4; ოლივეირენსე — ლამაში 2:3; ოვარენსე — ქამინოუ 2:0; პენაფიელი — შავეში 1:0

### ბელგია
I დივიზიონი. XXXIII ტური

**მუსკრონი 2:0 ლიერსი**
1:0 მიხალ [illegible] (24), 2:0 [illegible] (62)
ლიერსი: მართულიე, ნაჟი, სმეტსი, კაცინი, დე როეკი, [illegible], [illegible] (მიკიმიჩი 68), ტომპსონი, [illegible]
მწვრთნელი: ვალტერ მეუსი
გაფრთხილება: დე როეკი, შიშილაძე, დე როეკი, მიკიმიჩი
გაძევება: ტომპსონი (40), დე როეკი (84)
მსაჯი: ბამერი
3 000 მაყურებელი

**გენკი 0:3 ლუვენი** [illegible]
0:1 რივენე (48), 0:2 ჯიმი (82), 0:3 რივენე (90)

**ანტვერპენი 2:3 ბეერსხოტი**
1:0 იატარა (4), 1:1 დეგრიზი (8), 2:1 გოოტსი (13), 2:2 კპაკა (64), 2:3 ჰიუსმანსი (67)

**ლოკერენი 0:1 ანდერლეხტი**
0:1 მაკდონალდი (78)

**მოლენბეკი 4:3 აალსტი**
0:1 ბრიჯი (17), 1:1 იარაკოვიჩი (40), 2:1 ორიგი (50), 2:2 ვან დერ ჰიდენი (70), 3:2 იარაკოვიჩი (75), 4:2 კოლოტილკო (76), 4:3 ჟოლი (77)

**სინტ ტრუიდენი 5:3 ბრიუგე**
0:1 მენდოსა (5), 1:1, 2:1 მბონაბუკია (16, 52), 2:2 მარტენსი (53), 3:2 ბოფინი (57), 3:3 სიმონსი (59), 4:3 პერეირა (71), 5:3 კალისა (80)

**სტანდარდი 0:1 გენტი**
0:1 კაკლამანოსი (35)

**ვესტერლო 0:0 გენკი**

**შარლერუა 1:3 ლომელი**
0:1 ვალენტე (39), 0:2 კულეკი (55), 1:2 პივალოვიჩი (64), 1:3 ტანკარი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 33 | 20 | 11 | 2 | 82:40 | 71 |
| ბრიუგე | 33 | 21 | 4 | 8 | 72:41 | 67 |
| ანდერლეხტი | 33 | 17 | 12 | 4 | 68:37 | 63 |
| გენტი | 33 | 16 | 10 | 7 | 59:46 | 58 |
| მუსკრონი | 33 | 17 | 5 | 11 | 68:38 | 56 |
| სტანდარდი | 33 | 15 | 11 | 7 | 56:37 | 56 |
| ლოკერენი | 33 | 15 | 9 | 9 | 40:30 | 54 |
| სენტ ტრუიდენი | 33 | 16 | 4 | 13 | 51:46 | 52 |
| ბეერსხოტი | 33 | 10 | 16 | 7 | 64:50 | 46 |
| მოლენბეკი | 33 | 12 | 5 | 16 | 45:56 | 41 |
| ლუვენი | 33 | 11 | 8 | 14 | 38:52 | 41 |
| შარლერუა | 33 | 11 | 6 | 16 | 39:59 | 39 |
| ლომელი | 33 | 10 | 8 | 15 | 53:65 | 38 |
| ვესტერლო | 33 | 9 | 9 | 15 | 48:57 | 36 |
| ლიერსი | 33 | 8 | 8 | 17 | 51:64 | 32 |
| ანტვერპენი | 33 | 7 | 10 | 16 | 47:64 | 31 |
| *აალსტი* | 33 | 4 | 8 | 21 | 31:72 | 20 |
| *ბევერენი* | 33 | 2 | 8 | 23 | 30:88 | 14 |

II დივიზიონი

34-ე ტური: დენდერი — ლიეჟი 3:0; ინგელმუნსტერი — დაინცე 1:0; დენდერლეეუ — ვირტონი 1:2; სერკლი — სტრომბეეკი 2:1; რუზელარე — ტიენენი 1:3; პატრო — გეელი 0:0; მეხელენი — ფლაანდერენი 5:0; ვიზე — მონსი 4:1; რონსი — ჰეუსდენი 1:2

### შვეიცარია
II ეტაპი. A ჯგუფი. XII ტური

**სიონი 1:1 ციურიხი**
1:0 ეკობო (87), 1:1 ჩინაბა (90)
ციურიხი: ტაინი, ს. კელერი, ფიშერი, კვენტინი, ჩინაბა, ჰ. ბაუმანი, პალასი, ალანი, ბაკლე (იასარი 79), ჯანაშია, გიგაქსი (ურსალი 68)

**ბაზელი 1:2 სენტ გალენი**
0:1 ტარე-მენსა (6), 1:1 ჩიპერფილდი (12), 1:2 განე (71)

**გრასჰოპერი 2:1 ლუგანო**
0:1 მანინი (63), 1:1 ნუნიესი (79), 2:1 კაბანასი (90)

**სერვეტი 0:0 იანგ ბოისი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 12 | 10 | 0 | 2 | 31:10 | 52 |
| ლუგანო | 12 | 7 | 2 | 3 | 19:12 | 42 |
| გრასჰოპერი | 12 | 6 | 4 | 2 | 21:13 | 41 |
| სერვეტი | 12 | 5 | 3 | 4 | 22:21 | 35 |
| იანგ ბოისი | 12 | 4 | 3 | 5 | 17:18 | 31 |
| სენტ გალენი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:17 | 30 |
| ციურიხი | 12 | 4 | 2 | 6 | 10:16 | 29 |
| სიონი | 12 | 0 | 1 | 11 | 6:32 | 18 |

II ეტაპი. A/B ჯგუფი. XII ტური

**აარაუ 3:0 ვინტერთური**
1:0 ხომბრიკაძე (69), 2:0 ტარონე (80), 3:0 ოკპალა (90)
ლევან ხომერიკაძე სრულად ითამაშა

**ლოზანა 1:0 ლუცერნი**
1:0 ლეანდრო (60)
გოჩა ჯამარაული „ლუცერნის" განაცხადში არ ყოფილა
თუნი — ქსამაქსი 2:0; ვილი — დელემონი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 12 | 7 | 4 | 1 | 24:10 | 25 |
| ლოზანა | 12 | 7 | 2 | 3 | 18:11 | 23 |
| ვილი | 12 | 6 | 3 | 3 | 14:10 | 21 |
| არაუ | 12 | 5 | 3 | 4 | 17:17 | 18 |
| თუნი | 12 | 5 | 2 | 5 | 15:15 | 17 |
| დელემონი | 12 | 3 | 4 | 5 | 10:16 | 13 |
| ლუცერნი | 12 | 2 | 3 | 7 | 21:23 | 9 |
| ვინტერთური | 12 | 1 | 3 | 8 | 10:27 | 6 |

II ეტაპი. B ჯგუფი. XII ტური

ბადენი — კონკორდია 1:2; ბელინცონა — ივერდონი 1:2; კრიენსი — ლოკარნო 2:0; ვადუცი — კაროუჯი 3:0

### საბერძნეთი
თასის ფინალი

**აეკ 2:1 ოლიმპიაკოსი**
1:0 კონსტანტინიდისი (53), 1:1 ჯოვანი (70), 2:1 იერჩი (83)


# ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადააბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

## ახალთახალი «რენო მეგანი»

საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58



საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოსის" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე: 34-41-84, 34-79-81, 92-38-93

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა ნახევარფინალი საპასუხო მატჩი დღეს

# ლევერკუზენი — მანჩესტერი (2:2)

ლევერკუზენი. „ბაიარენა“. მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

## სავარაუდო შემადგენლობები

ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, პლასენტე, შნაიდერი, ბალაკი, ბაშთურქი, ზე რობერტო, ბრდარიჩი, ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

ბარტეზი, ფ. ნევილი, ბრაუნი, ბლანი, სილვესტრი, კინი, ბათი, ვერონი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროოი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

# გახსოვდეს, რაც დაგავიწყდა დაივიწყე, რაც გახსოვს



REUTERS

გერმანიაში ჩასული მანჩესტერელები ჩინებულ გუნებაზე არიან

რა შეიძლება, ეწოდოს იმას, რაც ლევერკუზენის „ბაიერს“ ბუნდესლიგის ბოლოსწინა ტურში დაემართა? პირობითად „უნტერჰახინგის კომპლექსი“ დავარქვათ. თუ რატომ, ქომაგს ეს კარგად მოეხსენება. გავიხსენოთ, „ბილდმა“ ლევერკუზენელებს „მანჩესტერთან“ თამაშის წინ „ვერდერის“ და „ნიურნბერგის“ დავიწყებისკენ მოუწოდა. მაშინ „ლევერკუზენს“ უკვე წაგებული ჰქონდა „ვერდერთან“, რაც მისთვის პირველი იყო ზედიზედ ათმატჩიანი წაუგებელი სერიის შემდეგ. „მანჩესტერთან“ კი გამოჩნდა, რომ კლაუს ტოპმიოლერმა გუნდი ბრემენული ალიყურისგან მოასულიერა და „ოლდ ტრეფორდზე“ თავისი ძალის ნიშანიც დატოვა.

„ნიურნბერგი“ კი, უნდა ითქვას, რომ „ბაიერმა“ საჭიროზე მეტად „დაივიწყა“. დაივიწყა, რომ „ნიურნბერგს“ საქმე თავის გადასარჩენად ჰქონდა (გუნდს ბუნდესლიგიდან გავარდნა ემუქრებოდა). ჰოდა, ამიტომაც არ მოირგო ლევერკუზენელთა ყულფი კისერზე.

ერთი სიტყვით, ფარმაცევტებს „ვერდერთან“ ახსოვდათ „მანჩესტერ იუნაიტედი“, მანჩესტერში დაივიწყეს „ვერდერი“, ნიურნბერგში ისევ ალექს ფერგიუსონი გაახსენდათ და ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, დღეს „ბაიერი“ „ნიურნბერგს“ დაივიწყებს.

კლაუს ტოპმიოლერს, ცხადია, არ სურს, რომ მისმა გუნდმა დღევანდელი მატჩის გარდა რამეზე იფიქროს: „ეს ისეთი მატჩია, სადაც ყველაფერია მოსალოდნელი. უნდა დავივიწყოთ ზედიზედ ორი მარცხი ბუნდესლიგაში, ვირწმუნოთ საკუთარი ძალა და თამაშს მაქსიმალურად კონცენტრირებულნი შევხვდეთ.“

მთავარ „ფარმაცევტს“, კლუბის მენეჯერ რაინერ კალმუნდს „ნიურნბერგთან“ ჩავარდნის შემდეგ ზღაპრების აღარ სჯერა: „მოვლენებს რეალურად თუ შევხედავთ, ჩემპიონობის შანსი თითქმის აღარც გვაქვს. კი, შეიძლება, ბოლო ტურში მოვიგოთ კიდეც, მაგრამ დორტმუნდის „ბორუსიაზე“ ვართ დამოკიდებულები. ნიურნბერგში ცაში აფრენილნი მიწაზე დავეცით, რაც ძალიან მტკივნეული იყო. ბუნდესლიგის ასეთმა ბოლომ ნოკაუტში ჩაგვაგდო.“

განაწყენებული მრგვალკაცას დარჩენილი იმედი კი გერმანიის თასის ფინალსა და დღევანდელ მატჩში ცოცხლობს.

ხოლო კლაუს ტოპმიოლერს, როგორმე რაინერ კალმუნდის შრომის დაფასება განუზრახავს (რამოდენაა, ეს კალმუნდი, სვამს, ჭამს და არავინ უფასებს) და წლეულს რაიმე ჯილდოს მირთმევას აპირებს. „რაინერი დიდი კაცია — თქვა ტოპმიოლერმა — მან მთელი თავის შესაძლებლობა, ფული, გული და ჯიგარი გუნდს შესწირა. ამიტომ იგი ნამდვილად იმსახურებს სულ ცოტა ერთ თასს მაინც. მჯერა, რომ დღეს გუნდი სულის სიმტკიცეს გამოიჩენს და სეზონსაც მაჟორულ ნოტაზე დავასრულებთ.“

მასპინძელთა მთავარი იმედი მიხაელ ბალაკი მსუბუქად დაშავდა და მისი თამაში გუნდის ექიმზე, დიტერ ტრჟოლეკზე ჰკიდია: „ვერ დავიჩემებ, რომ ბალაკი ასი პროცენტით იქნება მზად, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რათა მან თამაში შეძლოს.“

სხვა ყველა ფეხბურთელი ტოპმიოლერს მწყობრში ჰყავს, ოღონდ ერთი ეგაა, „ასპირინი“ ძალიან „გაყვითლდა“. აი, ის ცხრა ფეხბურთელი, რომელთაც ერთი ყვითელი ბარათის მიღება ფინალის (თუ გავიდნენ, რა თქმა უნდა) გამოტოვებად დაუჯდებათ: ოლივერ ნოივილი, მიხაელ ბალაკი, ტომაშ ბრდარიჩი, დიეგო პლასენტე, ზოლტან სებესკენი, ლუსიო, იენს ნოვოტნი, ზე რობერტო და ბორის ჟივკოვიჩი. ვგონებ, მხოლოდ კლაუს ტოპმიოლერს არ მიუღია გაფრთხილება.

სერ ალექს ფერგიუსონის სამწყსოში მშვიდობაა. ცხვირწითელა შოტლანდიელმა „იფსვიჩთან“ მატჩში ძირითადის ექვსი ფეხბურთელი დაასვენა. უამათოდაც „მანჩესტერმა“ მეტოქის ძლევა ვან ნისტელროოის პენალტით მოახერხა.

ჰოლანდიელი მეგოლე ამჯერადაც მზად არის, თავისი საქმე ლევერკუზენშიც გააკეთოს: „ჩვენ ბოლო ტურში მოვიგეთ, მეტოქემ კი წააგო. შეიძლება ითქვას, რომ უკეთეს ხასიათზე ვართ, თუმცა დღევანდელ მატჩში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება. ვიცი, ურთულესი ბრძოლა გველის, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედს“ თავისი გამოცდილებით, თამაშის ხარისხით და შემადგენლობით ოდნავ უფრო მეტი შანსი აქვს ფინალში გასვლისა, ვიდრე „ბაიერს“.

ფინალი, მოგეხსენებათ, გლაზგოში გაიმართება. თავის დროზე „ჰემპდენ პარკზე“, ალექს ფერგიუსონს „რეალი“ — „აინტრახტის“ მატჩი ფეხზე დგომით უნახავს. შოტლანდიელი მწვრთნელი, ცხადია, არც ამჯერად იქნება წინააღმდეგი, კიდევ ერთი ფინალი იხილოს გლაზგოში „მანჩესტერის“ მონაწილეობით: „ყველამ ნახა, თუ როგორ გაიხარეს ლევერკუზენელებმა მანჩესტერში ნათამაშები ფრით. ისინი თითქმის ეიფორიაში ჩაცვივდნენ. მერე ისიც ვნახეთ, რომ „ნიურნბერგთან“ წაიფორხილეს. დღეს ორ ფრონტზე მოუწევთ ბრძოლა, ჩვენთან და საკუთარ თავთან. სტუმრად გატანილი ორი გოლი „ბაიერისთვის“ მართლაც საკმაო ფორაა, მაგრამ გასვლით მატჩებში გოლების გატანა ჩემს გუნდსაც არანაკლებ შეუძლია.“

გამორიცხული არაა, „მანჩესტერის“ თავკაცმა, პირველი მატჩის მსგავსად, წყვილი ფორვარდით შეუტიოს.

არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონი მზადაა, მანჩესტერელ ქომაგებს სითბოსა და სიყვარულის ნაცვლად საკადრისი თავის თამაშით მიაგოს: „ტრავმა ორი თვის წინ მივიღე. რომში ნაცნობ ექიმთან სამკურნალოდ ვიყავი, სადაც შევიტყვე კიდეც ბექემისა და კინის დამშავების ამბავი. იქ დამირეკა ფერგიუსონის თანაშემწემ, ჯიმ რაიანმა. მან მკითხა, შევძლებდი თუ არა თამაშს, რაზეც თანხმობა განვუცხადე, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე მომჯობინებული არ ვარ. მსურს, დავეხმარო გუნდს და ამიტომაც ვრისკავ. ალექს ფერგიუსონი ყველასგან განსხვავებული მწვრთნელია, მასთან მუშაობა კი ერთი სიამოვნებაა.“

როცა ტრავმირებულებზე ვლაპარაკობთ, ცხადია, დევიდ ბექემიც უნდა ვახსენოთ. ბექემის მამამ, ტედმა, შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული კმაყოფილება გამოხატა: „დევიდი იმედიანადაა განწყობილი. მას ჩემპიონთა ლიგაში თამაშის იმედიც კი გაუჩნდა, თუ, რა თქმა უნდა, „მანჩესტერი“ ფინალში გავა. ხალხი მიეჩვია იმას, რომ დევიდის ტრავმები ყოველთვის მალემოშუშებადი იყო. ამჯერად კი ყველაფერი გაცილებით უფრო სერიოზულია, ამიტომ ფეხზე დადგომას მეტი დრო დასჭირდება.“

სასიხარულო კიდევ ისაა მანჩესტერში, რომ მწყობრში ჩადგა რონი იონსენი, რომელიც „დეპორტივოსთან“ დაშავდა. სამკვირიანი შესვენების შემდეგ იგი შესაძლოა კვლავ დაუბრუნდეს გუნდის დაცვის ხაზს.

რაც შეეხება ყვითელბარათიანებს, აქ საქმე „ბაიერთან“ შედარებით უკეთესადაა. ისინი მხოლოდ ოთხნი არიან: როი კინი, ლორან ბლანი, ნიკი ბათი და რუუდ ვან ნისტელროოი.

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS

გერმანულ ლუდზე ვერც ალექს ფერგიუსონმა თქვა უარი



REUTERS

ბუნდესლიგაში წამხდარი ხასიათის გამოსწორებას
კლაუს ტოპმიოლერი (მარჯვნივ) დღეს ლიგაში ეცდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტური. 4 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | მიონხენგლადბახი-მიუნხენი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 18.30 | 002 | შალკე-ფრაიბურგი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 18.30 | 003 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 18.30 | 004 | სტ. პაული-ნიურნბერგი | 2,1 | 3,2 | 2,9 | 1,25 | 1,2 | 1,5 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ვერდერი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 18.30 | 006 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 18.30 | 007 | კოტბუსი-კიოლნი | 1,65 | 3,5 | 4,2 | 1,1 | 1,15 | 1,9 |
| 18.30 | 008 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 18.30 | 009 | ბაიერნი-ჰანზა | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXIV ტური. 5 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 010 | კარლსრუე-უნტერჰახინგი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 18.00 | 011 | საარბრიუკენი-როიტლინგენი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 18.00 | 012 | აინტრახტი-ბაბელსბერგი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 18.00 | 013 | არმინია-ალენი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| 18.00 | 014 | დუისბურგი-ობერჰაუზენი | 2,0 | 2,8 | 3,5 | 1,15 | 1,25 | 1,55 |
| 18.00 | 015 | ფიურტი-ჰანოვერი | 2,0 | 3,2 | 3,1 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| 18.00 | 016 | უნიონი-მაინცი | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 18.00 | 017 | ალემანია-ბოხუმი | 3,4 | 3,4 | 1,7 | 1,7 | 1,1 | 1,1 |
| 18.00 | 018 | შვაინფურტი-ვალდჰოფი | 2,5 | 3,2 | 2,3 | 1,4 | 1,1 | 1,3 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXI ტური. 30 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 019 | ვატენშაიდი-ვერდერი (მ) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 22.00 | 020 | დიუსელდორფი-ლიუბეკი | 4,2 | 3,6 | 1,5 | 1,9 | 1,1 | 1,05 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 17.00 | 021 | ლევერკუზენი(მ)-პადერბორნი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 18.00 | 022 | ესენი-ფორტუნა | 1,05 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXI ტური. 30 აპრილი** | | | | | | |
| 21.15 | 032 | ზიგენი-კაიზერსლაუტერნი | 1,8 | 3,2 | 3,2 | 1,1 | 1,1 | 1,6 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **გადადებული მატჩი. 5 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 042 | ლივერპული-ბლეკბერნი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები. 1 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 043 | ვულვერჰემპტონი-ნორვიჩი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 044 | მილუოლი-ბირმინგემი | 2,1 | 3,0 | 3,3 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები. 1 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 045 | ბრენტფორდი-ჰადერსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 23.45 | 046 | კარდიფი-სტოკი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები. 30 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 047 | ჩელტენჰემი-ჰარტლპული | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 23.45 | 048 | რაშდენი-როჩდეილი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXIV ტური. 4 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 050 | გენგამი-ტრუა | 1,5 | 3,5 | 4,0 | 1 | 1,05 | 1,85 |
| 23.00 | 051 | სოშო-მონაკო | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 23.00 | 052 | ლილი-პსჟ | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| 23.00 | 053 | მეცი-ლორიანი | 1,65 | 3,4 | 4,2 | 1,1 | 1,15 | 1,85 |
| 23.00 | 054 | სედანი-ბასტია | 1,9 | 2,9 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| 23.00 | 055 | ნანტი-ბორდო | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 23.00 | 056 | ლიონი-ლანსი | 1,95 | 3,0 | 3,6 | 1,15 | 1,25 | 1,6 |
| 23.00 | 057 | ოსერი-რენი | 1,1 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 23.00 | 058 | მარსელი-მონპელიე | 1,8 | 3,2 | 3,4 | 1,1 | 1,15 | 1,6 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVIII ტური. 3 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 059 | სტრასბური-ლე ავრი | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| 23.00 | 060 | ისტრი-სტ. ეტიენი | 2,5 | 2,6 | 2,9 | 1,25 | 1,3 | 1,35 |
| 23.00 | 061 | შატორუ-ვალანსი | 1,8 | 3,0 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 23.00 | 062 | ნიორი-მარტიგი | 1,6 | 2,9 | 6,0 | 1 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 063 | ნანსი-აიაჩო | 2,6 | 2,7 | 2,7 | 1,3 | 1,3 | 1,3 |
| 23.00 | 064 | კანი-გრენობლი | 1,6 | 2,9 | 6,0 | 1 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 065 | ნიმი-გენიონი | 2,6 | 2,8 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,3 |
| 23.00 | 066 | ბოვე-ამიენი | 1,85 | 2,8 | 4,4 | 1,1 | 1,3 | 1,7 |
| 23.00 | 067 | კრეტეი-ლე მანი | 2,6 | 2,8 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,3 |
| 23.00 | 068 | ლავალი-ნიცა | 2,4 | 2,9 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| | | **იტალია. სერია „ა". XXXIV ტური. 5 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 069 | ბრეშა-ბოლონია | 2,3 | 3,4 | 2,3 | 1,35 | 1,1 | 1,35 |
| 18.00 | 070 | კიევო-ატალანტა | 1,25 | 3,5 | 6,5 | 1 | 1 | 2,25 |
| 18.00 | 071 | ლაციო-ინტერი | 3,0 | 3,1 | 2,0 | 1,5 | 1,2 | 1,2 |
| 18.00 | 072 | მილანი-ლეჩე | 1,02 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 18.00 | 073 | პარმა-ვენეცია | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 18.00 | 074 | პერუჯა-ფიორენტინა | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,1 | 2,45 |
| 18.00 | 075 | პიაჩენცა-ვერონა | 2,0 | 2,6 | 3,8 | 1,1 | 1,3 | 1,5 |
| 18.00 | 076 | ტორინო-რომა | 4,4 | 3,5 | 1,5 | 1,9 | 1,1 | 1 |
| 18.00 | 077 | უდინეზე-იუვენტუსი | 7,0 | 3,8 | 1,35 | 2,45 | 1,1 | 1 |
| | | **იტალია. სერია „ც1-ა". XXXIV ტური. 5 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 088 | ლივორნო-ალძანო | 1,01 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 19.00 | 089 | სპალ-არეცო | 1,75 | 2,8 | 4,0 | 1,05 | 1,2 | 1,6 |
| 19.00 | 090 | ლუკეზე-ჩეზენა | 1,3 | 3,3 | 7,0 | 1 | 1 | 2,2 |
| 19.00 | 091 | პადოვა-ლუმეცანე | 2,7 | 2,8 | 2,4 | 1,35 | 1,25 | 1,25 |
| 19.00 | 092 | ტრიესტინა-მონცა | 1,02 | 3,5 | 9,0 | 1 | 1 | 2,5 |
| 19.00 | 093 | რეჯანა-პიზა | 2,1 | 2,3 | 3,8 | 1 | 1,3 | 1,4 |
| 19.00 | 094 | ალბინოლეფე-სპეცია | 4,2 | 3,0 | 1,5 | 1,7 | 1,1 | 1 |
| 19.00 | 095 | ლეკო-ტრევიზო | 3,8 | 3,0 | 1,7 | 1,65 | 1,15 | 1,05 |
| 19.00 | 096 | კარარეზე-ვარეზე | 2,2 | 2,9 | 2,6 | 1,2 | 1,15 | 1,35 |
| | | **იტალია. სერია „ც1-ბ". XXXIV ტური. 5 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 097 | კროტონე-ბენევენტო | 1,8 | 3,0 | 1,8 | 1,1 | 1 | 1,1 |
| 19.00 | 098 | აველინო-კატანია | 2,6 | 2,6 | 2,6 | 1,2 | 1,2 | 1,2 |
| 19.00 | 099 | ჯულია-ფერმანა | 2,0 | 2,6 | 3,8 | 1,1 | 1,3 | 1,5 |
| 19.00 | 100 | ლანჩანო-ჩივიტანოვა | 1,95 | 2,8 | 3,8 | 1,1 | 1,25 | 1,6 |
| 19.00 | 101 | ტარანტო-[illegible] | 1,02 | 3,8 | 8,0 | 1 | 1 | 2,55 |
| 19.00 | 102 | დი სანგრო-ნოჩერინა | 1,7 | 2,9 | 4,4 | 1,05 | 1,2 | 1,7 |
| 19.00 | 103 | ტერამო-პესკარა | 3,0 | 1,3 | 3,0 | 1 | 1,5 | 1 |
| 19.00 | 104 | პალერმო-სორა | 1,02 | 3,8 | 8,0 | 1 | 1 | 2,55 |
| 19.00 | 105 | ასკოლი-ვიტერბეზე | 1,5 | 3,3 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,1 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVII ტური. 5 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 106 | რეალი-მალიორკა | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 24.00 | 107 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| 24.00 | 108 | დეპორტივო-სარაგოსა | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 24.00 | 109 | სელტა-სევილია | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 24.00 | 110 | ალავესი-რაიო | 1,8 | 2,8 | 4,4 | 1 | 1,25 | 1,7 |
| 24.00 | 111 | ბილბაო-ოსასუნა | 2,0 | 3,0 | 2,5 | 1,2 | 1,1 | 1,35 |
| 24.00 | 112 | ლას პალმასი-ტენერიფე | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,8 |
| 24.00 | 113 | ვალიადოლიდი-სოსიედადი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 24.00 | 114 | ბეტისი-ვილიარეალი | 2,4 | 2,9 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 24.00 | 115 | მალაგა-ვალენსია | 3,4 | 2,9 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,2 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXIX ტური. 5 მაისი** | | | | | | |
| 15.00 | 116 | ხერესი-ალბასეტე | 1,9 | 3,0 | 3,2 | 1,15 | 1,15 | 1,5 |
| 21.00 | 117 | ეიბარი-ნუმანსია | 1,9 | 2,9 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| 21.00 | 118 | ბურგოსი-კორდობა | 2,0 | 2,8 | 3,8 | 1,15 | 1,3 | 1,6 |
| 21.30 | 119 | სერესი-სალამანკა | 1,6 | 3,1 | 5,3 | 1,05 | 1,2 | 1,95 |
| 21.30 | 120 | ლევანტე-უელვა | 2,9 | 2,5 | 2,6 | 1,3 | 1,35 | 1,25 |
| 21.30 | 121 | ლეგანესი-სპორტინგი | 2,2 | 2,7 | 3,4 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| 21.30 | 122 | ფეროლი-ბადახოსი | 1,9 | 2,9 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| 21.30 | 123 | რასინგი-ელჩე | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1 | 1,2 | 1,85 |
| 21.30 | 124 | ექსტრემადურა-მურსია | 1,95 | 2,8 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| 21.30 | 125 | ოვიედო-ატლეტიკო | 2,0 | 2,9 | 3,1 | 1,15 | 1,2 | 1,4 |
| 21.30 | 126 | ხიმნასტიკი-პოლი ეხიდო | 2,1 | 2,8 | 3,5 | 1,1 | 1,3 | 1,55 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. XXXIV ტური. 5 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 127 | ფარენსე-გილ ვისენტე | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 20.00 | 128 | გიმარაეში-ლეირია | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 20.00 | 129 | ბრაგა-ალვერკა | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 20.00 | 130 | სანტა კლარა-ბელენენსეში | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 20.00 | 131 | ფერეირა-პორტუ | 4,7 | 3,3 | 1,6 | 1,9 | 1,15 | 1,05 |
| 20.00 | 132 | სპორტინგი-ბეირა მარი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| 20.00 | 133 | ბოავიშტა-სეტუბალი | 1,05 | 5,6 | 10,0 | 1 | 1 | 3,55 |
| 20.00 | 134 | მარიტიმუ-ბენფიკა | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 20.00 | 135 | სალგეიროში-ვარზიმი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XXXIV ტური. 5 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 136 | ლეცა-მაია | 2,2 | 3,0 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 20.00 | 137 | რიუ ავე-კამპომაიორენსე | 2,2 | 2,9 | 3,2 | 1,2 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 138 | ლეიშოეში-პორტიმონენსე | 2,0 | 1,8 | 3,3 | 1 | 1,2 | 1,15 |
| 20.00 | 139 | ესპინიო-ოლივეირენსე | 1,65 | 3,4 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,8 |
| 20.00 | 140 | შავეში-ოვარენსე | 1,65 | 3,0 | 3,0 | 1,05 | 1,05 | 1,5 |
| 20.00 | 141 | ავეში-პენაფიელი | 1,9 | 3,3 | 2,4 | 1,2 | 1,05 | 1,35 |
| 20.00 | 142 | ნაციონალი-ნავალი | 1,05 | 4,2 | 9,0 | 1 | 1 | 2,85 |
| 20.00 | 143 | სანჟოანენსე-ფელგეირაში | 1,15 | 4,0 | 5,0 | 1 | 1 | 2,2 |
| 20.00 | 144 | ამადორა-მოურეირენსე | 1,7 | 3,3 | 3,5 | 1,1 | 1,1 | 1,6 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXXIV ტური. 5 მაისი** | | | | | | |
| 16.00 | 145 | ტილბურგი-ფეიენოორდი | 3,5 | 3,0 | 2,0 | 1,6 | 1,25 | 1,2 |
| 16.00 | 146 | გრააფშაპი-პსვ | 4,4 | 3,0 | 1,7 | 1,75 | 1,2 | 1,05 |
| 16.00 | 147 | დენ ბოსხი-ალკმაარი | 1,6 | 3,4 | 4,0 | 1,05 | 1,1 | 1,8 |
| 16.00 | 148 | უტრეხტი-ბრედა | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 16.00 | 149 | სიტარდი-როდა | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,25 |
| 16.00 | 150 | ნაიმეგენი-აიაქსი | 5,6 | 2,1 | 1,6 | 1,5 | 1,2 | 1 |
| 16.00 | 151 | ვალვაიკი-ვიტესი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 16.00 | 152 | ჰერენვენი-ტვენტე | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 16.00 | 153 | სპარტა-გრონინგენი | 3,0 | 2,0 | 2,0 | 1,2 | 1,2 | 1 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XXXIV ტური. 3 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 154 | ტელსტარი-ოსი | 1,35 | 4,0 | 6,0 | 1 | 1,1 | 2,4 |
| 23.00 | 155 | მაასტრიხტი-ემენი | 2,3 | 3,2 | 2,3 | 1,3 | 1,1 | 1,3 |
| 23.00 | 156 | ჰერაკლესი-ვენდამი | 2,1 | 3,2 | 2,9 | 1,25 | 1,2 | 1,5 |
| 23.00 | 157 | იგლსი-ჰაარლემი | 2,1 | 3,2 | 2,9 | 1,25 | 1,2 | 1,5 |
| 23.00 | 158 | ვენლო-დენ ჰააგი | 2,3 | 3,4 | 2,1 | 1,35 | 1 | 1,2 |
| 23.00 | 159 | ვოლენდამი-როზენდალი | 2,3 | 3,2 | 2,3 | 1,3 | 1,1 | 1,3 |
| 23.00 | 160 | ექსელსიორი-ჰელმონდი | 1,4 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,1 | 2,3 |
| 23.00 | 161 | ეინდჰოვენი-ზვოლე | 3,4 | 3,2 | 1,8 | 1,6 | 1,15 | 1,1 |
| 23.00 | 162 | დორდრეხტი-კამბური | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXXIV ტური. 4 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 163 | ბეერსხოტი-შარლერუა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **5 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 164 | ლომელი-სტანდარდი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 18.00 | 165 | გენტი-მოლენბეკი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 18.00 | 166 | აალსტი-სტ. ტრუიდენი | 3,2 | 3,2 | 1,8 | 1,6 | 1,1 | 1,1 |
| 18.00 | 167 | ბრიუგე-მუსკრონი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 18.00 | 168 | ლოკერენი-ვესტერლო | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 18.00 | 169 | გენკი-ლიერსი | 1,5 | 3,8 | 4,7 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 18.00 | 170 | ანდერლეხტი-ბევერენი | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 18.00 | 171 | ლეუვენი-ანტვერპენი | 1,75 | 3,4 | 3,5 | 1,15 | 1,15 | 1,7 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. XXXIV ტური. 5 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 172 | ჰეუსდენი-ეუპენი | 1,5 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,1 | 2,05 |
| 18.00 | 173 | მონსი-მეხელენი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 18.00 | 174 | ზელე-რუსელარე | 1,7 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,75 |
| 18.00 | 175 | ტიენენი-სერენი | 2,0 | 3,0 | 2,5 | 1,2 | 1,1 | 1,35 |
| 18.00 | 176 | სტრომბეკი-დენდერლეუვი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 18.00 | 177 | ვირტონი-ინგელმუნსტერი | 2,6 | 2,9 | 2,0 | 1,35 | 1,1 | 1,15 |
| 18.00 | 178 | დაინცე-დილბეკი | 1,7 | 3,0 | 3,0 | 1,05 | 1,05 | 1,5 |
| 18.00 | 179 | ლიეჟი-რონსე | 1,8 | 3,1 | 2,8 | 1,1 | 1 | 1,45 |
| | | **პოლონეთი. პლეი-ოფი. XIV ტური. 4 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 188 | ვისლა-ამიცა | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 20.00 | 189 | რუხი-ლეგია | 3,0 | 2,7 | 2,1 | 1,4 | 1,2 | 1,15 |
| 20.00 | 190 | ოდრა-პოგონი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 20.00 | 191 | პოლონია-კატოვიცე | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| | | **პოლონეთი. პლეი-აუტი. XIV ტური. 5 მაისი** | | | | | | |
| 20.15 | 192 | გროცლინი-შლიონსკი | 1,4 | 3,2 | 4,7 | 1 | 1,05 | 1,9 |
| 20.15 | 193 | ზაგლემბე-ოსტროვეცი | 1,65 | 2,1 | 3,8 | 1 | 1,1 | 1,3 |
| 20.15 | 194 | გორნიკი-სტომილი | 1,45 | 3,6 | 5,0 | 1 | 1,1 | 2,05 |
| 20.15 | 195 | რადომსკო-გარბარნია | 1,5 | 3,2 | 3,4 | 1 | 1 | 1,6 |
| | | **ავსტრია. XXXIV ტური. 1 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 205 | ბრეგენცი-ავსტრია | 2,7 | 3,0 | 2,3 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| 18.30 | 206 | რაპიდი-ადმირა | 1,15 | 4,4 | 8,0 | 1 | 1 | 2,8 |
| 18.30 | 207 | რიდი-ზალცბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 19.00 | 208 | გრაცერი-კერნტენი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 21.00 | 209 | ტიროლი-შტურმი | 2,0 | 3,2 | 2,4 | 1,2 | 1,05 | 1,35 |
| | | **შვეიცარია. „ა" ჯგუფი. XIII ტური. 4 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 215 | ლუგანო-სერვეტი | 1,9 | 3,2 | 3,3 | 1,15 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 216 | სტ. გალენი-სიონი | 1,2 | 4,4 | 8,0 | 1 | 1 | 2,8 |
| 21.00 | 217 | იანგ ბოისი-გრასჰოპერი | 2,2 | 3,2 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,45 |
| 21.00 | 218 | ციურიხი-ბაზელი | 2,5 | 3,2 | 2,3 | 1,4 | 1,1 | 1,3 |
| | | **შვეიცარია „ა-ბ" ჯგუფი XIII ტური. 4 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 219 | დელემონი-აარაუ | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 21.00 | 220 | ლუცერნი-თუნი | 2,7 | 3,0 | 1,8 | 1,4 | 1,05 | 1,1 |
| 21.00 | 221 | ქსამაქსი-ლოზანა | 1,85 | 2,9 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| 21.00 | 222 | ვინტერთური-ვილი | 3,4 | 3,2 | 1,7 | 1,6 | 1,1 | 1,1 |
| | | **შვეიცარია. „ბ" ჯგუფი XIII ტური. 4 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 223 | კონკორდია-კრიენსი | 2,1 | 3,2 | 2,9 | 1,25 | 1,2 | 1,5 |
| 21.00 | 224 | ლოკარნო-ბადენი | 2,1 | 3,1 | 3,0 | 1,2 | 1,2 | 1,5 |
| 21.00 | 225 | კარუჟი-ბელინცონა | 2,3 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| 21.00 | 226 | ივერდონი-ვადუცი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | **დანია. XXX ტური. 1 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 227 | აკადემისკი-ოლბორგი | 2,6 | 3,3 | 2,3 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 22.00 | 228 | ოდენსე-ორჰუსი | 1,6 | 3,5 | 4,2 | 1 | 1,15 | 1,9 |
| 22.00 | 229 | კოპენჰაგენი-ვაილე | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| 22.00 | 230 | სილკებორგი-მიდტიულანდი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| 22.00 | 231 | ვიბორგი-ბრიონბი | 4,0 | 3,4 | 1,75 | 1,8 | 1,2 | 1,15 |
| | | **შვედეთი. V ტური. 1 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 245 | სუნდსვალი-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 20.00 | 246 | გეტებორგი-ნორჩეპინგი | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1 | 1,15 | 2 |
| | | **ნორვეგია. IV ტური. 1 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 257 | ბრანი-ვალერენგა | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 258 | ლილესტრომი-როზენბორგი | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 21.00 | 259 | ოდ გრენლანდი-სტარტი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 21.00 | 260 | ხაუგესუნდი-ბუდო გლიმტი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 |
| 21.00 | 261 | სტაბეკი-ბრინი | 1,35 | 4,2 | 7,0 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 21.00 | 262 | ვიკინგი-მოსი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 21.00 | 263 | ლინი-მოლდე | 2,9 | 3,4 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,2 |
| | | **ფინეთი. II ტური. 1 მაისი** | | | | | | |
| 17.00 | 271 | ჰაკა-ჯაზი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 20.30 | 272 | ჰაამეენლინა-ინტერი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 20.30 | 273 | კუპსი-მიპა | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,25 |
| 20.30 | 274 | ლაჰტი-იარო | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 20.30 | 275 | ტამპერე-ალიანსი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,15 | 2,05 |
| 20.30 | 276 | ვაასა-მიუპა | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| | | **ინგლისი. თასი. ფინალი. 4 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 277 | არსენალი-ჩელსი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | **შოტლანდია. თასი. ფინალი. 4 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 278 | სელტიკი-რეინჯერსი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი II წრე. 30 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 401 | ლევერკუზენი-მანჩესტერი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 402 | რეალი-ბარსელონა | 1,75 | 3,1 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | **ლიბერტადორესის თასი. მერვედფინალი. II წრე. 30 აპრილი.** | | | | | | |
| 04.05 | 403 | პენიაროლი-უანდერერსი (ურუგვაი) | 1,6 | 3,2 | 4,4 | 1,05 | 1,15 | 1,8 |
| 07.30 | 404 | მონარკას მორელია-ოლიმპია | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 01.30 | 405 | ამერიკა (მექსიკა)-სიენსიანო | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 03.10 | 406 | ბოკა ხუნიორსი-ნასიონალი (ეკვადორი) | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 05.40 | 407 | სან კაეტანო-უნივერსიდად კატოლიკა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 02.00 | 408 | ოლიმპია-კობრელოა | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 05.40 | 409 | გრემიო-რივერ პლეიტი | 1,75 | 3,1 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 07.50 | 410 | ამერიკა(კოლუმბ.)-ნასიონალი(ურუგვაი) | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1 | 1,2 | 1,85 |
| | | **კალათბურთი. ნბა პლეი-ოფი. 30 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 501 | ორლანდო-შარლოტი | 1,6 | 12,0 | 1,8 | | | |
| 06.30 | 502 | ინდიანა-ნიუ ჯერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 05.00 | 503 | ფილადელფია-ბოსტონი | 1,45 | 12,0 | 2,1 | | | |
| 07.30 | 504 | სიეტლი-სან ანტონიო | 1,9 | 12,0 | 1,55 | | | |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. (ბოლონია.) 3 მაისი (ნახევარფინალი).** | | | | | | |
| 21.00 | 510 | პანათინაიკოსი-მაკაბი | 1,6 | 12,0 | 1,8 | | | |
| 23.30 | 511 | ბენეტონი-კინდერი | 3,1 | 12,0 | 1,25 | | | |
| | | **ჰოკეი. ნჰლ პლეი-ოფი. 30 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 513 | ტორონტო-აილენდერსი | 1,75 | 3,6 | 3,2 | | | |
| | | **ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 30 აპრილი.** | | | | | | |
| 19.00 | 516 | სლოვაკია-ავსტრია | 4,0 | 4,7 | 1,45 | | | |
| 23.00 | 518 | შვედეთი-რუსეთი | 1,85 | 4,0 | 3,0 | | | |
| | | **შემდეგ ეტაპზე გასვლა. 30 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 801 | ლევერკუზენი-მანჩესტერი | 1,45-2,0 | | | | | |
| 23.45 | 802 | ჩელტენჰემი-ჰარტლპული | 1,35-2,5 | | | | | |
| 23.45 | 803 | რაშდენი-როჩდეილი | 1,4-2,3 | | | | | |
| | | **1 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 804 | რეალი-ბარსელონა | 1,01-10,0 | | | | | |
| 23.45 | 805 | ვულვერჰემპტონი-ნორვიჩი | 3,5-1,15 | | | | | |
| 23.45 | 806 | ბრენტფორდი-ჰადერსფილდი | 1,35-2,5 | | | | | |
| 23.45 | 807 | კარდიფი-სტოკი | 1,02-6,5 | | | | | |
| | | **2 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 808 | მილუოლი-ბირმინგემი | 1,5-2,0 | | | | | |

**კვირას, 5 მაისს, აღდგომა დღეს კროკო არ იმუშავებს**

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **30 აპრილი** | | | | | | | | | | | |
| 23.45 | 701 | ლევერკუზ.-მანჩესტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4, | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| **1 მაისი** | | | | | | | | | | | |
| 23.45 | 702 | რეალი-ბარსელონა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |


**გაიხსნა «კროკოს» ახალი ბიურო**

**ქალაქი ახმეტა. ჩოლოყაშვილის ქუჩა №49**

## საქართველოს ჩემპიონატი

# პლეი ოფში

## მიწისძვრამ რუსთაველებს რუსი გაუქცია

27 აპრილი. სპორტის სასახლე

**აზოტი 70:74 სტუ**

20:16, 16:16, 19:19, 15:23

აზოტი: იამჩუ (9), გაბისონია (9), გოგობერიშვილი (20), კურილჩუკი (18), შპუნტი (7); კოკოლიშვილი (6), მაჭარაძე (1), ბოისა
სტუ: ხოშტარია (22), აბრამიძე (12), დავითულიანი (1), ბაბიაშვილი (9), შენგელია (16); გაგნიძე (5), ლოსაბერიძე (4), მინაშვილი (4), სულაძე (1), ოთიურიძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

**ბასკო 94:90 თსუ**

24:20, 28:20, 21:27, 21:23

ბასკო: როჯერსი (11), მ. მარკოიშვილი (13), ბეჟანიშვილი (26), დილონი (15), როტუნდა (8); საყვარელიძე (6), ტუჯანი (6), ორმოცაძე (4), თორთლაძე (3), არხიპოვი (2)
თსუ: ნიკოლაძე (18), ხეცურიანი (7), გ. მარკოიშვილი (12), კილაძე (12), ახალკაცი (6); შანიძე (29), ვეფხვაძე (4), არსიაშვილი (2)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ანდრიაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**დინამო 106:83 მაკაბი**

26:26, 31:14, 23:21, 26:22

დინამო: ქლენტი (23), მაისურაძე (32), ჩხეიძე (6), მუპე (7), ოგანესიანი (14); ჯაფარიძე (17), ნაცვლიშვილი (7), წოწელია
მაკაბი: დ. ბერიშვილი (19), ი. ბერიშვილი (10), სარიშვილი (4), ფიცხელაური (13), სუხიშვილი (28); კეიდია (9), ანდღულაძე
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

28 აპრილი. სპორტის სასახლე

**აზოტი 85:81 თსუ**

21:20, 18:20, 19:18, 27:23

აზოტი: იამჩუკ (3), გაბისონია (7), გოგობერიშვილი (28), შპუნტი (14), ბერუაშვილი (12); მაჭარაძე (8), კოკოლიშვილი (7), არწივაძე (4), ბოისა (2), ჯიმშელეიშვილი
თსუ: ნიკოლაძე (14), ხეცურიანი (13), გ. მარკოიშვილი (25), კილაძე (16), ახალკაცი (4); შანიძე (7), ვეფხვაძე (2), სანიკიძე, არსიაშვილი
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**სტუ 113:88 მაკაბი**

31:26, 29:20, 24:18, 29:24

სტუ: ხოშტარია (19), აბრამიძე (10), ლოსაბერიძე (11), ბაბიაშვილი (16), შენგელია (21); გაგნიძე (14), მინაშვილი (13), სულაძე (5), ოთიურიძე (4)
მაკაბი: დ. ბერიშვილი (17), ი. ბერიშვილი (23), კეიდია (13), ფიცხელაური (18), სუხიშვილი (15); ანდღულაძე (2), სარიშვილი
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით ანდრიაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**ბასკო 82:87 დინამო**

18:21, 22:22, 27:16, 15:28

ბასკო: როჯერსი (9), მ. მარკოიშვილი (16), ბეჟანიშვილი (2), დილონი (21), როდენი; ტუჯანი (19), თორთლაძე (13), საყვარელიძე (2), ორმოცაძე
დინამო: მუპე (7), ნაცვლიშვილი (10), ნინიაშვილი (2), კორძაძე, ჯაფარიძე (29); მაისურაძე (15), ქლენტი (9), ოგანესიანი (4), ჩხეიძე (6), წოწელია (5)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: მურმან ქურიძე

ირაკლი პერტაია

**გადაწყდა:** პლეი ოფში ადგილდაბევებულ „ბასკოს" „დინამო", სტუ და „აზოტი" შეემატნენ. თსუ-სა და „მაკაბის" შერჩენილი თეორიული შანსიც ჩაეფერფლათ და რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე სტატისტებად ყოფნა მოუწევთ.

ნახევარფინალური წყვილებიც თითქმის გაირკვა. შარშან ჩემპიონობისთვის მებრძოლნი — „ბასკო" და „აზოტი" ფინალში გასაღწევად შეიბმებიან, ვერცხლისმედალოსანი სტუ კი ფერფლიდან აღდგენილ „დინამოს" შეერკინება. მაგრამ ეს არ მოხდება, თუ რუსთაველები დარჩენილ მატჩებში „დინამოსაც" მოუგებენ და „ბასკოსაც", სტუ კი ორივე შეხვედრას წააგებს, რაც ძნელად წარმოსადგენია.

ყველაფერ ამას ნათელი ბოლო სამ დღეში გამართულმა 9 მატჩმა მოჰფინა, თქვენს ყურადღებას კი საკვანძო შეხვედრებზე შევაჩერებთ, თუმც მანამდე ერთ ამბავს გიამბობთ, მით უფრო, იგი პირდაპირ კავშირშია ჩვენთვის საინტერესო შეხვედრასთან.

ხუთშაბათს თბილისში მომხდარმა მიწისძვრამ კალათბურთსაც დარია ხელი. სტიქიამ სპორტის სასახლის ინტერიერი გვარიანად შელახა და ფედერაციის მუშაკთ ძილის გატეხვა მოუხდათ, რათა შეხვედრების გადადება თავიდან აეცილებინათ. მაგრამ, როგორც გაირკვა, სტიქიამ ყველაზე მეტად რუსთაველები დააზარალა. ხუთიოდ თვის წინ „სამარიდან" „აზოტში" გადმობარგებული ვიქტორ კურილჩუკი თბილისში ცხოვრობდა და მიწისძვრას ისე შეუშინებია, მეორე დღესვე რუსეთისკენ უქნია პირი. მისი არყოფნა კი „აზოტს" ამოცანას ურთულებდა შაბათს სტუ-ს წინააღმდეგ. მეოთხეზე მყოფი რუსთაველები თუ გაიმარჯვებდნენ, სტუდენტებს ასწრებდნენ და შესაძლოა, ბათუმისკენ მიმავალ საპლეიოფო გზას ასცდენოდნენ. იბრძოლეს კიდეც აზოტელებმა, ტოლი არ დაუდეს მეტოქეს, ბევრ კომპონენტშიც აჯობეს, მაგრამ ყველაზე საპასუხისმგებლო ეპიზოდში წაიფორხილეს და ბრწყინვალედ ჩატარებულ მატჩს მოხდენილი წერტილი ვერ დაუსვეს.

აუგს ვერ ვიტყვით აზოტელ მიხეილ ბერუაშვილზე. მისი დიდი დამსახურება იყო, რუსთაველები მთელი თამაში რომ იგებდნენ, მაგრამ ჯობდა, იმისთვის დაეთმო გადამწყვეტი სროლა, ვინც ბოლო წუთებზე თითქმის მარტო უძალიანდებოდა სტუდენტებს. ყველაფერი კი ასე განვითარდა: ბოლო მეოთხედში ირაკლი ხოშტარიამ „აზოტის" მედგარ დაცვას სუსტი წერტილი უპოვა და იქამდე არ მოისვენა, სანამ თამაშის დასრულებამდე 57 წამით ადრე სტუ პირველად არ დააწინაურა. ამგვარადვე ყოჩაღობდა რამაზ გოგობერიშვილიც, ვინც ეულად პასუხობდა მეურვის ქულებს, მაგრამ როცა გადამწყვეტი სროლის ჯერი დადგა, ამის გაკეთება ბერუაშვილმა ითავა. მან დასრულებამდე 30 წამით ადრე მიყოლებით ორი სამქულიანი გააცუდა, რამაც სტუ-ს მოგება გაუნაღდა.

მეორე დღეს რუსთაველებმა თუმც გაჭირვებით, მაგრამ მაინც სძლიეს თსუ-ს და ზეოთხეულიც გამოკვეთეს. სხვა მატჩებთან კი „ბასკო" — „დინამოა" გამოსარჩევი. თბილისელებმა რის ვაივაგლახით მოუგეს კარგა ხანია, უმოტივაციოდ მყოფ ჩემპიონებს და მათი თქმით, ფინალში ბათუმელებთან საბრძოლველად საჭირო ფსიქოლოგიური განწყობა შეიქმნეს. ფინალამდე ჯერ ბევრი რამაა გასარკვევი, მათი ბრძოლა კი ამ ეტაპზე მართლა ომს ჰგავდა.

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 29 | 26 | 3 | +538 | 55 |
| დინამო | [illegible] | 20 | 9 | +316 | 49 |
| სტუ-ჯეოსელი | 29 | 18 | 11 | +207 | 47 |
| აზოტი | 29 | 17 | 12 | +136 | 46 |
| თსუ | 29 | 12 | 17 | -26 | 41 |
| მაკაბი | 29 | 11 | 18 | -177 | 40 |




ბასკო — დინამო. ბათუმელი ვლადიმერ ბეჟანიშვილი (მარცხნივ) და თბილისელი გოგი ნაცვლიშვილი

29 აპრილი. სპორტის სასახლე

**მაკაბი 95:99 აზოტი**

18:20, 27:22, 33:22, 17:35

მაკაბი: დ. ბერიშვილი (20), ი. ბერიშვილი (36), კეიდია (2), ფიცხელაური (10), სუხიშვილი (17); სარიშვილი (10)
აზოტი: გაბისონია (3), გოგობერიშვილი (41), შპუნტი (2), ბერუაშვილი (12), მაჭარაძე (6); ბოისა (12), არწივაძე (9), კოკოლიშვილი (7), ჯიმშელეიშვილი (7), დანელიანი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ანდრიაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**თსუ 92:99 დინამო**

23:30, 25:30, 16:20, 28:19

თსუ: ნიკოლაძე (21), ხეცურიანი, გ. მარკოიშვილი (17), კილაძე (22), ახალკაცი (11); შანიძე (11), არსიაშვილი (7), სანიკიძე (3), ვეფხვაძე, ზანგურაშვილი
დინამო: ქლენტი (5), ნაცვლიშვილი, ჩუბინიძე (16), ნინიაშვილი (7), ოგანესიანი (21); ჩხეიძე (14), მაისურაძე (11), მუპე (8), წოწელია (6), კორძაძე (6), ტურაშვილი (3), ჯაფარიძე (2)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: მურმან ქურიძე

**სტუ 65:81 ბასკო**

21:24, 15:26, 16:10, 13:21

სტუ: სულაძე, აბრამიძე (14), ლოსაბერიძე (3), ბაბიაშვილი (26), ოთიურიძე (10); მინაშვილი (8), გაგნიძე (4)
ბასკო: თორთლაძე (14), მ. მარკოიშვილი (17), ორმოცაძე (8), დილონი (8), როდუნტა (3); ბეჟანიშვილი (14), ტუჯანი (8), არხიპოვი (7), ბერძენიშვილი (2)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: როლანდ ხომერიკი

NBA PLAYOFFS | პლეი ოფში პირველი წრე, სამ მოგებამდე




ტორონტოელმა ანტონიო დევისმა „დეტროიტს" არ დაუჩოქა



კევინ გარნეტი და სხვა „მგლები" „დალასმა" ცხვრებივით შეჭამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შიში და ბურთი: განაგდე-ჩააგდე

## აღმოსავლეთი

26 აპრილი

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 2 |
| ინდიანა | 1 |

**ინდიანა 84:85 ნიუ ჯერსი**

ინდიანა: რ. მილერი (30), ონილი (12)
ნიუ ჯერსი: კიდი (24), მარტინი (21)

27 აპრილი

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 2 |
| ტორონტო | 1 |

**ტორონტო 94:84 დეტროიტი**

ტორონტო: დევისი (30), კლერკი (18)
დეტროიტი: ეტკინსი (21)

| | |
|---|---|
| შარლოტი | 2 |
| ორლანდო | 1 |

**ორლანდო 100:110 შარლოტი**

ძირითადი დრო 92:92
ორლანდო: მაკგრეიდი (37)
შარლოტი: დევისი (33 ქულა, 14 მოხსნა)

28 აპრილი

| | |
|---|---|
| ბოსტონი | 2 |
| ფილადელფია | 1 |

**ფილადელფია 108:103 ბოსტონი**

ფილადელფია: აივერსონი (42), სნოუ (23)
ბოსტონი: პირსი (29), უოლკერი (27)

## დასავლეთი

27 აპრილი

| | |
|---|---|
| საკრამენტო | 2 |
| იუტა | 1 |

**იუტა 87:90 საკრამენტო**

იუტა: მელოუნი (23), სტოქტონი (15)
საკრამენტო: ბიბი (26), სტოიაკოვიჩი (21)

| | |
|---|---|
| სან ანტონიო | 2 |
| სიეტლი | 1 |

**სიეტლი 75:102 სან ანტონიო**

სიეტლი: პეიტონი (20)
სან ანტონიო: დანკანი (27), პარკერი (23)

28 აპრილი

| | |
|---|---|
| დალასი | 3 |
| მინესოტა | 0 |

**მინესოტა 102:115 დალასი**

მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 17 მოხსნა), შჩერბიაკი (20), პილერი (20)
დალასი: ნოვიცკი (39 ქულა, 17 მოხსნა), ფინლი (30), ნეში (25 ქულა, 11 პასი)

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 3 |
| პორტლენდი | 0 |

**პორტლენდი 91:92 ლეიკერსი**

პორტლენდი: ვოლესი (20), ველსი (19), პიპენი (18 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი)
ლეიკერსი: ბრაიანტი (25), ონილი (21 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), ფოქსი (16)

ამ უქმეებზე ოთხივე აღმოსავლურმა წყვილმა მოილია სერიის მესამე მატჩები, პლეი ოფის ზედა საფეხურზე ამხტომი კი ვერ გამოავლინა. მეზობელი ქვეყნის მეზობელ ქალაქ ტორონტოში ჩაფრენილმა დეტროიტელებმა, ცხადია, საქმის ადრეულად მოთავება მოინდომეს და ორი შინაური ძლევის შემდეგ სტუმრადაც გასამარჯვებლად იბრძოლეს. არაფერი გამოუვიდათ, ამჯერად „ტორონტომ" იყოჩაღა და მეტოქეს შემდეგ წრეში გასვლა გადაუვადა. ამაში ლომის წილი „ტორონტოს" თავდამსხმელ-ცენტრმა ანტონიო დევისმა დაიდო, რომელმაც დეტროიტელ ტკიპა-მეურვეს, სეზონის უყოჩაღეს დამცველ ბენ ვოლესს სიქა გააცალა და ვინს კარტერის გარეშე დარჩენილ თავისიანთა გულებში მბჟუტავი იმედის ნაპერწკალი ააგიზგიზა.

ვერც „ბოსტონმა" მოითავა საქმე. ფილადელფიაში ჩასულმა „კელტებმა" ჭინკა ალენ აივერსონს წამოჰკრეს ფეხი. ხელმტკივანმა აივერსონმა მაინც დაიგრუხუნა, 42 ქულა უთავაზა პლეი ოფში ბოლო შვიდ წელიწადში პირველად გამძვრალ და უკვე თავსგასულ „ბოსტონს" და ვიცე-ჩემპიონებს ნაღრევი მარცხი აარიდა.

აღმოსავლეთის პლეიოფამდელ ყოჩ „ნიუ ჯერსის" კვლავ აუწეწა ნერვები „ინდიანამ". პირველ შინაურ მატჩში „ინდიანას" თილისმამ რეჯი მილერმა ბევრი გააკეთა მეტოქის დასაჩოქებლად, მთელი მატჩის განმავლობაში ნაწვალებს 30 ქულა მოუგროვდა, მაგრამ მერე დაიღალა და „ნიუ ჯერსი" გადაურჩა ბოლო წამებზე რეჯის განთქმულ მკვლელ სამანებს.

უჯამალმაშბურნო „შარლოტი" „ორლანდოსთან" სერიაში ბაირონ დევისმა დააწინაურა. ბაირონმა სამმაგი დუბლიც შეასრულა და ოვერტაიმში თავისიანთა 18 ქულიდან ნახევარი თავად მოიხვეჭა. ამასთან, როგორც გაირკვა, დევისმა ძირითად დროშივე მოაგებინა თავისიანებს, მეოთხე მეოთხედის ბოლო წამზე, 92:92 ანგარიშზე, სამიანი ჩააგდო. მსაჯებმა არ ჩაუთვალეს, სირენის შემდეგ ისროლაო, მოგვიანებით კი დააზუსტეს და თავი იმართლეს, სირენამდე ჩაუგდია, შევცდითო.

უქმეების შემდეგ ორ დასავლურ წყვილში ყველაფერი გაირკვა. ზედიზედ მესამე ჩემპიონობის მნდომი ოფლისმღვრელი „ლეიკერსი" ზედიზედ მესამე წელია, „პორტლენდს" ჩაგრავს. ამ უკანასკნელს როცა შეეძლო (ორი წლის წინ), მაშინ ვერ აჯობა „ლეიკერსს", და ახლა, სულიერად გატეხილი, რაღას უზამდა? პორტლენდელები ორი მარცხის შემდეგ კარის გაჯახუნებას, თუნდაც ერთხელ მოგებას თუ ლამობდნენ და არც ეს გამოუვიდათ: მატჩის დამთავრებამდე ორი წამით ადრე 91:89 ანგარიშზე ლეიკერსელმა რობერტ ჰორიმ სამქულიანი ჩაუგდო და პლეი ოფიდან უსახელოდ გაისტუმრა. ისე, ნამატჩევს თავს ბედნიერად არ გრძნობდა შეხვედრის გმირი რობერტ ჰორი. უდიდესი გამოცდილების პატრონს, ოთხგზის ჩემპიონს ხელი აჰკანკალებია და სროლამდე გულში გაუვლია, რა ჯანდაბად მომაჩეჩა კობი ბრაიანტმა ეს ბურთიო და ალალბედზე უსვრია. მასპინძელთა სავალალოდ, ბურთი კალათში ჩაეშვა.

„დალასმა" მესამე თამაშიც მოუგო ბედშავ მინესოტელ „მგლებს", „მინესოტა" ზედიზედ მეექვსე წელია, პლეი ოფის პირველივე წრიდან ვარდება და თუ „მემფისს" არ ჩავთვლით, ლიგაში ერთადერთია, რომელსაც პლეი ოფის თუნდაც ერთი ეტაპი არ დაუძლევია.

„საკრამენტო" კვლავ გადაურჩა „იუტას" და ამისთვის მადლობა თავის გამთამაშებელ მაიკ ბიბის უნდა მოახსენოს. ბიბიმ აჯობა მხცოვან მეურვე ჯონ სტოქტონს, ექვსი პერსონალურით თამაშიდან ადრეულად გაისტუმრა, თავად კი 23 ქულა შეაწია ქულამწირ და მადაალძრულ „საკრამენტოს".

ასევე 23 ქულა მოიხვეჭა და კარიერის ახალი რეკორდი დაამყარა „სან ანტონიოს" ახალბედა გამთამაშებელმა ტონი პარკერმა. გასაოცარია, მას ხომ ჯადომცველი გერი პეიტონი მეურვეობდა.

ირაკლი ფირუზიშვილი

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეხუთე ეტაპი

# დიდი შუმის დიდი სლემი

**ესპანური ეტაპი,** წინა რბოლის მსგავსად, ერთფეროვანი და საკმაოდ უინტერესო გამოდგა. მოვლენები ზუსტად ისე წარიმართა, როგორც ორი კვირის წინ „იმოლაზე".

პოული მიხაელ შუმახერმა თანაგუნდელ რუბენს ბარიკელოს ზედ საკვალიფიკაციო საათის გასრულებისას ცხვირწინ აართვა, კვირის რბოლაშიც თავიდანვე ადვილად ჩამოიტოვა ქარავანი, ისე, რომ მის ფანტასტიკურ ბედაურს მცირედი წინააღმდეგობაც ვერავინ გაუწია და დამთრგუნველი უპირატესობით მოიპოვა მორიგი დიდი პრიზი. ოღონდ ეგაა, მიხაელმა ამჯერად საკუთარ თავსაც კი გადააჭარბა — ძნელად შესასრულებელი „დიდი სლემი" გააზერხა.

ყველაფერზე მიმდევრობით. ბარსელონის ულტრათანამედროვე ავტოდრომის ჩინებულსაფარიანი, 4,7 კილომეტრი სიგრძის წრე საკმაოდ სწრაფი და უხიფათოა ფართო დამცავი ზონებით, იმავდროულად გასასწრებად რთული. მრბოლები „კატალუნია — მონტმელოს" ყველა სხვა ტრეკზე უკეთ იცნობენ, რადგან თითქმის ყველა გუნდი სწორედ იქ ატარებს წინასასეზონო ტესტების უმეტესობას და შემდეგაც, ჩემპიონატის მსვლელობაში, არაერთხელ ესტუმრებიან ხოლმე მორიგი ტექნიკური პრობლემის მოსაგვარებლად.

საკვალიფიკაციო შეჯიბრს მზიანი ამინდი დაერთო, ამიტომაც პირველ გასვლამდე კარგა ხანს ყველანი წელს ითრევდნენ. მიხაელ შუმახერი ყველაზე გვიან, ნახევარი საათის შემდეგ გაქანდა პირველად და, ბუნებრივია, გეგმიური ოთხივე ცდის გამოყენება არც უცდია. ორი უხეირო წრის შემდეგ ბოლო წუთებზე ისეთი „გაისროლა", რომ თავისივე შარშანდელ მიღწევას ორი წამი(!) ჩამოაჭრა — 1 წთ; 16,364 წმ (223,0 კმ/სთ საშუალო სიჩქარე). იმასაც ვიტყვით, რომ ის წინა რეკორდი კიდევ ათმა პილოტმა გააუმჯობესა, 21 წლის ახალბედა ფელიპე მასამაც კი.

მიხაელ შუმახერი: „მე და ჩემმა პირადმა ინჟინერმა ჯერ კიდევ პარასკევს ვარჯიშისას შევატყვეთ, რომ ქარს შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა. და თუ მას ზუსტად „დავიჭერდით", საკმაო დროსაც მოვიგებდით. ასეც მოხდა. გარდა ამისა, როგორც ბოლო დროის მოვლენებმა დაგვანახა, ოთხივე ცდის გამოყენება სულაც არაა აუცილებელი. თუ ყველაფერი ასე გაგრძელდება, სეზონის ბოლომდე მხოლოდ სამი სწრაფი წრის ტაქტიკას გამოვიყენებთ, ამით საბურავებსაც დავზოგავთ".

თავიდან ცუდად ჰქონდა საქმე შუმის ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტ ხუან პაბლო მონტოიას — ძრავში უწესრიგობის გამო სათადარიგო მანქანაში მოუხდა გადაჯდომა. ბოლოს, როგორც იქნა, მოასწრო და არცთუ ურიგო, მეოთხე შედეგი აჩვენა.

მოკლედ, რბოლის სტარტზე პირველ რიგში მიხაელის და რუბენსის „ფერარები" იდგნენ, მეორეში — პატარა შუმისა და ხუანის „უილიამსები", ხოლო მათ უკან ორი „მაკლარენის" ტანდემი ჯენსონ ბატონმა დაარღვია და მესამე რიგში კიმი რაიკონენის გვერდით მოკალათდა. ედი ირვინს თავისი ჯაგლაგი „იაგუარით" არც თუ ურიგო, მე-15 დრო ჰქონდა, მაგრამ შემოწმებისას საწვავის ხარისხი არასტანდარტული აღმოჩნდა, რასაც სტანდარტული სანქცია მოჰყვა — ირლანდიელს შედეგი გაუუქმეს და ბოლო სასტარტო პოზიცია მიუჩინეს, რბოლაში კი მხოლოდ ოცნი ჩაებნენ. ვარჯიშისას ორივე „მინარდის" უკანა ფრთები მოტყდა, რაც სამასკილომეტრიანი სიჩქარისას მანქანას უმართავს ხდის და მრბოლს უდიდეს საფრთხეს უქმნის, ამიტომ „პატარა სკუდერიის" შეფმა ჯანკარლო მინარდიმ არ გარისკა და ორივე ბოლიდი შეჯიბრებიდან მოხსნა.

ისე, მომძვრალი წინა-უკანა ფრთების პრობლემა მთელ ასპარეზობას თან სდევდა. სწორედ ამ მიზეზით უკვე მეოთხე წრეზე შეწყვიტა რბოლა რაიკონენმა. შუა დისტანციაზე რალფ შუმახერსაც თითქმის იგივე შეემთხვა: ერთ-ერთ მოსახვევში შეცდომის გამო მისი „უილიამსი" გზიდან გადავიდა, დროც დაკარგა და წინა ელერონიც. ბოქსებში ახალი ცხვირის მორგებას და დაზიანებული საბურავის შეცვლას თითქმის ნახევარი წუთი დასჭირდა, რამაც გერმანელი მე-13 პოზიციაზე გადაისროლა და ექვსეულის ყოველგვარი შანსი გადაუწურა. არადა, ამ ფათერაკამდე მისი საქმე მშვენივრად მიდიოდა — მეორე იყო ძმის ზურგს უკან და მოცილეც არავინ ჩანდა, რადგან კოლუმბიელი თანაგუნდელი მას საკმაოდ ჩამორჩებოდა, მეორე ფერარელი ბარიკელო კი ისე გამოეთიშა ბრძოლას, ორიოდე მეტრიც ვერ გაიარა. ბრაზილიელის ბედაურს ჯერ კიდევ გასახურებელ წრეზე სიჩქარეთა კოლოფმა უმტყუნა.

ერთი სიტყვით, სტარტი ბარიკელოსა და ორი მინარდელის გარეშე აიღეს. დასაწყისი ამჯერადაც გასაკვირად მშვიდობიანი გამოვიდა და პირველ, ურთულეს მოსახვევში შეხლა-შემოხლა არ ყოფილა. რაიკონენის გამოთიშვას თუ არ ჩავთვლით, დაწინაურებულ ექვსეულში — მიხაელი, რალფი, მონტოია, ბატონი, კულტჰარდი და ტრული — პირველ პიტსტოპამდე, ანუ 100 კილომეტრის მანძილზე ერთი ცვლილებაც არ მომხდარა. მიხაელი ყოველ წრეზე თითო წამს უგებდა უმცროს ძმას და საბოქსე გასეირნების წინ სხვაობამ 20 წამს გადააჭარბა. მონტოია ბევრად შორს იყო. საწვავ-საბურავისთვის პირველად უილიამსელები შეყოვნდნენ, მერე მიხაელი, ასე რომ, ჩემპიონს ლიდერობა დროებითაც კი არ დაუთმია.

მონტოიას მეორე პიტსტოპს კინაღამ ტრაგედია მოჰყვა: საკუთარი შეცდომის მიზეზით „უილიამსის" ერთ-ერთი მექანიკოსი, კარლ ჰეიდენი, კლინიკაში აღმოჩნდა. მან კოლუმბიელს დაძვრის ნიშანი მისცა და მერეღა შენიშნა, რომ მანქანაში ბენზინის ჩასხმა ჯერ არ დაესრულებინათ, ამიტომ დაძრულ ბოლიდს შინ გადაუდგა. ხუანმა დამუხრუჭება მოასწრო, კარლს მხოლოდ ოდნავ ეტაკა ფეხზე და იგი საკმაოდ იოლად გადარჩა.

ფინიშზე მონტოიამ თავისი შარშანდელი ესპანური შედეგი გაიმეორა, ცხრილში მეორე საფეხურზე აინაცვლა და მიხაელთან ერთად ყველაზე სტაბილურ პილოტად რჩება. აღსანიშნავი კიდევ ისაა, რომ წლეულს მეორედ ორივე „ზაუბერი" ჩასათვლელ ექვსეულშია და ისიც, რომ სადღეისოდ ერთ-ერთმა უხნესმა, 34 წლის ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა როგორც იქნა, პირველი ქულა მოიპოვა ზედიზედ 15 ხელმოცარვის შემდეგ.

ბოლოს ისევ გამარჯვებულზე: მიხაელ შუმახერმა პოულის მოგებას უსწრაფესი წრე, სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობა და რბოლაში პირველობა დაურთო. სწორედ ეს ოთხი მონაცემია საფორმულო „დიდი სლემის" კომპონენტები. მსგავსი მიღწევა მეტად იშვიათია, ბოლო წლებში მხოლოდ მიხაელს და მიკა ჰაკინენს ჰქონიათ. მანამდე ესპანეთში სლემი სულ ორჯერ შესრულდა — 1989 წელს ეს ბრაზილიელმა „ჯადოქარმა" აირტონ სენამ („მაკლარენი") შეძლო, ხოლო 1992 წელს ინგლისელმა ნაიჯელ მენსელმა („უილიამსი"). შუმის სამი სლემი დაუგროვდა, საუკეთესო შედეგიანობა კი ორ ორგზის ჩემპიონს აქვს — ბრიტანელ ჯიმ კლარკს (8) და იტალიელ ალბერტო ასკარის (5).

მიხაელი საჭის ფორმის უზარმაზარი პრიზით ესპანეთის მეფე ხუან კარლოსმა დააჯილდოვა.

**გია ახალაძე**


REUTERS

„უილიამსის" მექანიკოსი კარლ ჰეიდენი კინაღამ საკუთარ შეცდომას შეეწირა

## რბოლის შედეგები

**ესპანეთის დიდი პრიზი**
28 აპრილი. ბარსელონა
დისტანცია — 65 წრე — 307,450 კმ

| | |
|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:30.29,981 (203,753 კმ/სთ) |
| 2. მონტოია (უილიამსი) | ჩამორჩა 35,630 |
| 3. კულტჰარდი (მაკლარენი) | 42,623 |
| 4. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1.06,697 |
| 5. მასა (ზაუბერი) | 1.18,973 |
| 6. ფრენცენი (ეროუსი) | 1.20,430 |
| 7. ვილნევი (BAR) | 1 წრით |
| 8. მაკნიში (ტოიოტა) | 1 წრით |
| 9. სალო (ტოიოტა) | 1 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| 10. ტრული (რენო) | გაიარა 63 წრე |
| 11. რ. შუმახერი (უილიამსი) | 63 |
| 12. ბატონი (რენო) | 60 |
| პანი (BAR) | 43 |
| ირვინი (იაგუარი) | 41 |
| ბერნოლდი (ეროუსი) | 40 |
| სატო (ჯორდანი) | 10 |
| ფიზიკელა (ჯორდანი) | 5 |
| რაიკონენი (მაკლარენი) | 4 |
| დე ლა როსა (იაგუარი) | 2 |
| ბარიკელო (ფერარი) | 0 |
| ვებერი (მინარდი), იონგი (მინარდი) | სტარტზე არ გავიდნენ |

**საუკეთესო წრე**

მ. შუმახერი 1.20,355 (211,909 კმ/სთ)

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 3 მარტი | მალაიზია 17 მარტი | ბრაზილია 31 მარტი | სან მარინო 14 აპრილი | ესპანეთი 28 აპრილი | ავსტრია 12 მაისი | მონაკო 26 მაისი | კანადა 9 ივნისი | ევროპა 23 ივნისი | დ.ბრიტანეთი 7 ივლისი | საფრანგეთი 21 ივლისი | გერმანია 28 ივლისი | უნგრეთი 18 აგვისტო | ბელგია 1 სექტემბ. | იტალია 15 სექტემბ. | აშშ 29 სექტემბ. | იაპონია 13 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი (ფერარი, გერმანია) | 10 | 4 | 10 | 10 | 10 | | | | | | | | | | | | | 44 |
| 2 მონტოია (უილიამსი, კოლუმბია) | 6 | 6 | 2 | 3 | 6 | | | | | | | | | | | | | 23 |
| 3 რ. შუმახერი (უილიამსი, გერმანია) | – | 10 | 6 | 4 | – | | | | | | | | | | | | | 20 |
| 4 კულტჰარდი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | – | – | 4 | 1 | 4 | | | | | | | | | | | | | 9 |
| 5 ბატონი (რენო, დ. ბრიტანეთი) | – | 3 | 3 | 2 | – | | | | | | | | | | | | | 8 |
| 6 ბარიკელო (ფერარი, ბრაზილია) | – | – | – | 6 | – | | | | | | | | | | | | | 6 |
| 7 ჰაიდფელდი (ზაუბერი, გერმანია) | – | 2 | – | – | 3 | | | | | | | | | | | | | 5 |
| 8 რაიკონენი (მაკლარენი, ფინეთი) | 4 | – | – | – | – | | | | | | | | | | | | | 4 |
| 9 ირვინი (იაგუარი, დ. ბრიტანეთი) | 3 | – | – | – | – | | | | | | | | | | | | | 3 |
| 10 მასა (ზაუბერი, ბრაზილია) | – | 1 | – | – | 2 | | | | | | | | | | | | | 3 |
| ვებერი (მინარდი), სალო (ტოიოტა) — 2, ფრენცენი (ეროუსი) — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 10 | 4 | 10 | 16 | 10 | | | | | | | | | | | | | 50 |
| 2 უილიამსი | 6 | 16 | 8 | 7 | 6 | | | | | | | | | | | | | 43 |
| 3 მაკლარენი | 4 | – | 4 | 1 | 4 | | | | | | | | | | | | | 13 |
| 4 რენო | – | 3 | 3 | 2 | – | | | | | | | | | | | | | 8 |
| 5 ზაუბერი | – | 3 | – | – | 5 | | | | | | | | | | | | | 8 |
| იაგუარი — 3; მინარდი — 2; ტოიოტა — 2; ეროუსი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## ძალოსნობა

# ასანიძის ევროსამება

**თავისთვის** იღბლიან ანთალიაში საჩხერელმა გიორგი ასანიძემ მესამე ევროტიტული მიითვალა. კონტინენტის ჩემპიონატზე იგი 85-კილოგრამიანთა შორის გამოდიოდა და პოლონელ მარკუშ რიტკოვსკისთან მეტად მძიმე ბრძოლა გადახდ[illegible] სხვები ძლიერ ჩამორჩნენ. ასანიძემ [illegible]ტოქეს ატაცი მოუგო 2,5 კილოგრამით, მაგრამ აკვრისას [illegible]ლონელმა სხვაობა მოსპო და ყველაფერი შტანგის კი არა, სხეულის გრამებმა გადაწყვიტა: ქართველ[illegible] უფრო მსუბუქი ყოფილა.

ამ მისალოც ამბავთან ერთად შეგახსენებთ, რომ წინ არის უმნიშვნელოვანესი მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც ასანიძეს დუბლის შესრულებას ვუსურვებთ.

ევროპის ჩემპიონატი კვირას დასრულდა. 105-მდე და ზემოთ წონებში მშრომელმა ქართველებმა, ალეკო ნოზაძემ და ზურაბ ავთანდილაშვილმა ბევრი ვერაფერი მოახერხეს. აქ ისევე როგორც სხვა წონებში, ძალოსნობის ტრადიციული ქვეყნები ძალობდნენ, ესე იგი, ბულგარეთი, თურქეთი, რუსეთი და ცოტა სხვებიც. მსუბუქ წონებში არცთუ იღბლიანობის შემდეგ რუსებს ჩემპიონიც გაუჩნდათ. ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ალექსეი პეტროვმა 94-კილოგრამიანთა კატეგორია დაიპყრო. მან აჯობა ბულგარელ მილენ დობრევს და აზერბაიჯანელ ნიზამი ფაშაევს. უნდა ითქვას, რომ ანთალიაში არ ყოფილან სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი კახი კახიაშვილი, ვინც საბერძნეთის სახელით ძალოსნობს და ვიცე-ჩემპიონი პოლონეთიდან, სიმონ კოლეცკი, თორემ პეტროვის საჩემპიონო გზაზე ეკლები უფრო ხშირი, იქნებ გაუვალიც იქნებოდა.

**დავით გულუა**

**ვაჟები**

**77 კგ**

1. გეორგი მარკოვი (ბულგარეთი) 367,5 კგ (ატაცი 167,5 + აკვრა 200)
2. ზლატან ვანევი (ბულგარეთი) 362,5 (155+207,5)
3. მეჰმეტ ილ-მაზი (თურქეთი) 360 (165 +195)

**85 კგ**

1. გიორგი [illegible] (საქართველო) 380 ([illegible]5 +205)
2. [illegible] [illegible]ოვსკი (პოლონეთი) 380 ([illegible]2,5+[illegible])
3. [illegible] ედიევი (რუსეთი) 367,5 ([illegible]+202,5)

**94 კგ**

1. [illegible] პეტროვი (რუსეთი) 400 (185 [illegible])
2. მილენ დობრევი (ბულგარეთი) 397,5 (187,5+230)
3. ნიზამი ფაშაევი (აზერბაიჯანი) 395 (180+215)

**105 კგ**

1. ალ[illegible] კონსტანტინოვიჩი (ბულგარეთი) 420 (185+235)
2. [illegible]ნის გოტფრიდი (უკრაინა) 417,5 (187,5+230)
3. [illegible]ნიამინ რუდასი (თურქეთი) 417,5 (1[illegible]+232,5)

**+105 კგ**

1. რონი ველერი (გერმანია) 450 (202,5 +247,5)
2. პაველ ნაიდეკი (პოლონეთი) 430 (185 +245)
3. ოლექსი კოლოვოლცევი (უკრაინა) 427,5 (187,5+240)

**ქალები**

**75 კგ**

1. შულე შახბაზი (თურქეთი) 245 (112,5 +132,5)
2. აისელ ოზგური (თურქეთი) 240 (110 +130)
3. ილონა დანკო (უნგრეთი) 235 (107,5 +127,5)

**+75 კგ**

1. აგატა ვრობელი (პოლონეთი) 282,5 (125 +145)
2. ვიქტორია ვარგა (უნგრეთი) 275 (120 +155)
3. ალბინა ხომიჩი (რუსეთი) 270 (125+145)

## სროლა

# სალუქვაძე მეორეში მეხუთეა

**შანხაიში** დასრულდა ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს თასის ეტაპი. 10 მეტრიდან პნევმატური პისტოლეტით სროლაში გამარჯვებისა და ამით ათენის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვების მერე ნინო სალუქვაძემ 25-მეტრიდან სპორტული პისტოლეტით სროლაში გადაინაცვლა.

ძირითად ვარჯიშში ნინომ 583 ქულა დააგროვა, რასაც ფინალში 103 დაუმატა და ჯამური მონაგარით მეხუთე ადგილი დაიკავა. მსოფლიოს თასის ბოლო ორ ეტაპს ატლანტა და მილანი უმასპინძლებენ, მსროლელთა სეზონი კი ივლისის დამლევს დასრულდება ფინეთის ქალაქ ლახტიში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატით.

**ბაჩო სვანიძე**

## ჩოგბურთი

# სამპრასის მსხვერპლი გაუდიომ ბოლომდე გაუტია



გასტონ გაუდიო

**ბარსელონა. თიხნარი**
**საპრიზო 955 ათასი $**

**მეოთხედფინალი**

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — იუნეს ელ აინაუი (6, მაროკო) 6:4, 6:2; **ალბერტ კოსტა** (15, ესპანეთი) — ალექს კორეჩა (7, ესპანეთი) 5:7, 7:6 (8:6), 7:6 (7:4); **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) — ალბერტ მარტინი (ესპანეთი) 6:2, 6:4; **გილერმო კანასი** (5, არგენტინა) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 7:6 (8:6), 6:3

**ნახევარფინალი**

**გაუდიო** — ჰიუიტი 6:4, 7:5; **კოსტა** — კანასი 6:2, 2:6, 6:3

**ფინალი**

**გაუდიო** — კოსტა 6:4, 6:0, 6:2

23 წლის არგენტინელმა გასტონ გაუდიომ ბარსელონაში კარიერის პირველი ტიტული მიითვალა. ტურნირზე განუთესავად მოთამაშეს, მას კვირის განმავლობაში ერთი სეტიც არ წაუგია, მეტოქეებს მხოლოდ 38 გეიმი დაუთმო და ფინალისკენ სავალ გზაზე მიჯრით ისეთ ღონიერ მეჩოგნეებს გაუსწორდა, როგორებიც ალბერტ მონტანესი, ტომას ენკვისტი (8), კარლოს მოია (12), ალბერტ მარტინი და, განსაკუთრებით, ლეიტონ ჰიუიტი (1) არიან.

ფინალში კი მასთან გადავება 26 წლის ალბერტ კოსტამ, ბარსელონის 1997 წლის ჩემპიონმა სცადა. საქმეში ჩაუხედავი მკითხველი ანგარიშში ჩახედვისთანავე მიხვდება, რომ კოსტამ არგენტინელს წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ სეტში გაუწია. მომდევნო სეტებში კი უკვე ცალკორტა თამაში წავიდა — აქეთ კოსტას მიერ წინა ეტაპებზე ნაბულრავები სამსეტიანი მატჩების ეფექტმა იჩინა თავი, იქით კიდევ გაუდიოს არაფერია მიუქარია და...

მატჩის დაწყებიდან ძალიან მალე გაუჩომ გამარჯვებულისთვის კუთვნილი 136 ათასი ჩაიჯიბა, მუჩაჩომ კი ფინალისტითვის განსაზღვრული 72 ათასი.

ამა თუ იმ ფინალში გაუდიოს აქამდე ორჯერ ეთამაშა. ვინა დელ მარის შარშანდელ ტურნირზე მას გადამწყვეტ მატჩში თვისტომმა გილერმო კორიამ აჯობა, შტუტგარტის შარშანწინდელ ჩემპიონატზე კი თვისტომმავე ფრანკო სკილარიმ დაჩოგნა.

საამბარსელონოდ მას ასევე არგენტინელი მარტინ ხაიტე ეხმარებოდა, ერთადერთი გაუჩო, ვისაც გაუდიომდე ბარსელონურ თიხნარზე გაემარჯვებოდა (1987).

მთელი კვირა კაცურად ვთამაშობდი და რამდენიმე უძლიერეს მეჩოგნესაც მოვერიეო, იძახდა ნაფინალევს გაუდიო. ამ ბედნიერების აღსაწერად სიტყვებიც არ მყოფნისო, დასძენდა. და მართლაც — ჯილდოს მიღებისას არგენტინელი ისე ბედნიერად გამოიყურებოდა, რომ სიხარულისგან საჯილდოე თასის სარქველი გადმოუვარდა და იქვე დაემსხვრა...

რაც შეეხება კოსტას, ვისაც სათიხნარო ტიტული 1999 წელს ეშტორილში, გსტაადსა და კიცბიუელში გამარჯვებების შემდეგ აღარ მოუგია, ნამატჩევს ერთთავად გაუდიოს ქებაში იყო და ჰალალად აღიარებდა, რომ გაუჩომ მას ძალიან მაგრად გადაუარა.

და კიდევ — კვირას დიდი ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ განაცხადა ორგზის მეროლანგაროსე ესპანელმა სერხი ბრუგერამ, ვისაც მისი იშვიათი ტალანტის ბოლომდე გასაფურჩქნად ჩოგანი გაუთავებელმა ტრავმებმა წაუმურდლეს. ვარჯიშის, მოგზაურობის და მატჩებზე ნერვიულობის თავი აღარ მაქვს, ოჯახურ იდილიას უნდა მივეცეო, განუმარტავს ვეტერანს.

მისი უკანასკნელი შეხვედრა მეორე წრეში გილერმო კანასთან წაგება გამოდგა. სახელოვან კარიერაში მას 18 ფინალში უთამაშია, 14 ტიტული მოუგია (აქედან 13 თიხნარზე) და პირადი ანგარიში 11 მილიონი დოლა[illegible] გაუმდიდრებია.

**ჰიუსტონი. თიხნარი**
**საპრიზო 400 ათასი $**

**მეოთხედფინალი**

**ანდრე აგასი** (2, აშშ) — კრისტიან პლესე (დანია) 6:3, 6:3; **ენდი როდიკი** (3, აშშ) — ჯეიმს ბლეიკი (5, აშშ) 6:2, 6:4; **პიტ სამპრასი** (4, აშშ) — ტოდ მარტინი (7, აშშ) 6:2, 7:6 (7:3); **გილერმო კორია** (არგენტინა) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 7:6 (8:6), 7:5

**ნახევარფინალი**

**როდიკი** — კორია 6:3, 2:6, 6:2; **სამპრასი** — აგასი 6:1, 7:5

**ფინალი**

**როდიკი** — სამპრასი 7:6 (11:9), 6:3

აშშ-ის თიხნარჩემპიონატის ფინალში ბედმა და ჩოგანმა ერთმანეთს უნიჭიერესი და უსახელოვნესი ამერიკელები — 19 წლის ენდი როდიკი და 30 წლის პიტ სამპრასი შეჰყარა. თავის ბავშვობის გმირთან ბრძოლაში მხოლოდ როდიკი გაუსწორდა რაიმე სახით, არამედ ისიც ... ვერაფერს გაუ... ამერიკელი... უკვე მატჩას ესწრებოდა ... 27 წლის ... [illegible]

ნა და მას თვით ნაპრეზიდენტალი მამა ბუშიც ესწრებოდა. უფრო სწორად მისტერ ბუში მატჩს მეორე სეტის მერვე გეიმიდან შეესწრო, ზუსტად იმ მომენტში, როცა სამპრასმა როდიკს თავისი ჩაწოდება ჩააბარა (3:5) და პრეზიდენტს საცქერად მხოლოდ კინკილა გეიმიღა დაუტოვა...

როდიკმა კარიერაში პირველად შეძლო, წინა წელს მოგებული ტიტული მეორე სეზონშიც შეენარჩუნებინა. ამასთან იგი პირველი მეჩოგნე გახდა არგენტინელი ხოსე-ლუის კლერკის შემდეგ, ვისაც აშშ-ის თიხნარჩემპიონატზე გამარჯვება ზედიზედ ორჯერ გამოუვიდა. კლერკმა ეს 1980-81 წლებში გააკეთა.

სხვათა შორის, სამპრასთან ნათამაშებ მეორე შეხვედრაში მან უკვე მეორე გამარჯვება მიითვალა. დიად თანამემამულეს იგი პირველად შარშან, მაიამის მაგარსაფარზე მოერია.

„ფინალურ შეხლაში პიტ სამპრასის ძლევა ჩემთვის გამორჩეული ამბავი გახლავთ. იგი ხომ ჩემი ბავშვობის გმირი, კერპი და, რა ვიცი, ალბათ ყველაფერი იყო — ამბობდა ნამატჩევს როდიკი — მსურს ვისარგებლო შემთხვევით და ერთხელ კიდევ დიდი მადლობა ვუთხრა მას იმის გამო, რომ იგი ჩემი და მილიონობით ჩემნაირი ბიჭუნასთვის ყოველთვის სწორუპოვარი მაგალითი იყო".

მილიონობით ბიჭუკელას „სწორუპოვარ მაგალითს" კი უკვე 25 ტურნირია, თავისი 63-ტიტულიანი მარაგისთვის ერთი ქაცაინი ჯილდოც აღარ დაურთავს. მისი ტიტულყაბზობა, ეგებ ვინმეს არ ახსოვდეს და, 2000 წლის უიმბლდონზე ხეირის შემდეგ გრძელდება.

თუმცა მის ჰიუსტონურ გამოსვლას წარუმატებელი ნაღდად არ ეთქმის. სხვა თუ არაფერი, პიტმა გასულ კვირაში ორი ისეთი სახელოვანი ბებრის ძვლები დაყარა, ტოდ მარტინი და ანდრე აგასი რომ არიან. ამათგან განსაკუთრებით შთამბეჭდავი ჩაუქ ფორმაში მყოფ, ოღონდ თიხნარზე ჯერაც ვერ აჩოგნავებულ აგასისთან გალაღება იყო.

სამპრასი თავადაც კმაყოფილია და ევროპაში სათიხნაროდ გამგზავრებამდე — სადაც დარჩენილი კარიერის უმთავრესი მიზანიც, საფრანგეთის აქამდე ვერმოგებული ღია პირველობაც ელის — თვლის, რომ ყველაფერი რიგზეა.

ხოლო ენდი როდიკზე თუ შეეკითხებით, გიპასუხებთ, რომ ეგ ბიჭი ახლა ამერიკული ჩოგბურთის უმთავრესი ფალავანია. „არავის გაუკვირდეს, თუკი ენდიმ როლან გაროსის მოგებაც მოახერხა" — დასძენს პიტი და ამ დროის განმავლობაში შესამჩნევად დაფანჩულ ყბებს ქალაქურად იფხანს.

**ლევან ძელაურაძე**

**ფედერაციის თასი**

**მეოთხედფინალი**

**იტალია** — შვედეთი 5:0; **ესპანეთი** — უნგრეთი 4:1; **სლოვაკეთი** — შვეიცარია 3:2; **ხორვატია** — ჩეხეთი 3:2; **გერმანია** — რუსეთი 3:2; არგენტინა — **საფრანგეთი** 2:3; **ბელგია** — ავსტრალია 3:1; აშშ — **ავსტრია** 2:3

## ფეხბურთი

**ინგლისი**
**პრემიერლიგა. XXXVII ტური**
ბოლტონი 0:2 არსენალი

**პორტუგალია**
**პირველი ლიგა**
**XXXIII ტური**
ალვერკა 3:2 გიმარაეში

**ჩეხეთი**
**XXVIII ტური**
ბრნო 0:1 სპარტა

**შვედეთი**
**IV ტური**
ჰამარბი 3:1 მალმიო
ელფსბორგი 0:3 ლანდსკრონა
იორგრიტე 2:2 აიკ

**იტალია**
**სერია B. XXXIII ტური**
სიენა 1:1 ემპოლი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## ჰოკეი

**NHL**
**სტენლის თასი. კონფერენციების მეოთხედფინალი**

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| ფილადელფია | 1 |
| ოტავა | 4 |

26 აპრილი
ფილადელფია 1:2 ოტავა 1:1 0:0 0:0 0:1

| | |
|---|---|
| ტორონტო | 3 |
| აილენდერსი | 3 |

26 აპრილი
ტორონტო 6:3 აილენდერსი 2:1 3:1 1:1
28 აპრილი
აილენდერსი 5:3 ტორონტო 2:2 1:0 2:1

| | |
|---|---|
| კაროლინა | 4 |
| ნიუ ჯერსი | 2 |

ნიუ ჯერსი 0:1 კაროლინა 0:0 0:1 0:0

| | |
|---|---|
| ბოსტონი | 2 |
| მონრეალი | 3 |

ბოსტონი 1:2 მონრეალი 0:2 1:0 0:0

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 4 |
| ვანკუვერი | 2 |

ვანკუვერი 4:6 დეტროიტი 2:2 0:3 2:1

| | |
|---|---|
| კოლორადო | 3 |
| ლოს ანჯელესი | 3 |

ლოს ანჯელესი 3:1 კოლორადო 2:0 1:1 0:0

| | |
|---|---|
| სან ხოსე | 4 |
| ფინიქსი | 1 |

სან ხოსე 4:1 ფინიქსი 0:0 2:1 2:0

უქმეებამდე ნახევარფინალში გასულ სენტ ლუისს დეტროიტი, სან ხოსე, ოტავა და კაროლინა მიემატნენ.

**მსოფლიოს ჩემპიონატი. შვედეთი**

26 აპრილი

**A ჯგუფი**
ჩეხეთი 5:0 შვეიცარია
გერმანია 9:2 იაპონია

**C ჯგუფი**
რუსეთი 8:1 სლოვენია
შვედეთი 5:3 ავსტრია

27 აპრილი

**B ჯგუფი**
სლოვაკეთი 7:0 პოლონეთი
ფინეთი 3:0 უკრაინა

**D ჯგუფი**
აშშ 5:2 იტალია
კანადა 4:1 ლატვია

28 აპრილი

**A ჯგუფი**
ჩეხეთი 5:3 იაპონია
გერმანია 3:0 შვეიცარია

**C ჯგუფი**
რუსეთი 6:3 ავსტრია
შვედეთი 8:2 სლოვენია

29 აპრილი

**A ჯგუფი**
ჩეხეთი 7:5 გერმანია
იაპონია 1:5 შვეიცარია

**B ჯგუფი**
სლოვაკეთი 5:4 უკრაინა
ფინეთი 8:0 პოლონეთი

**D ჯგუფი**
კანადა 5:0 იტალია
აშშ 3:2 ლატვია

## რაგბი

**ჰაინეკენის თასი**

ნახევარფინალი, 27-28 აპრილი
**კასტრი 17:25 მანსტერი**
**ლესტერი 13:12 ლანელი**
ფინალი **ლესტერი — მანსტერი**
25 მაისს კარდიფში

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან ძელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge